# არსენალი

№18 (139). 2-15 სექტემბერი, 2011 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ აპირებდა ქართველი ბრიტანული ფლოტის ჩაძირვას...

## რეზერვისტის ჩანაწერებიდან

1425
2011



## ომში დაჭრილის გაურკვეველი სიკვდილი

## ჯარში 4-ჯერ მეტს გაიწვევენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავიაკოსმოსური სალონი МАКС-2011 22



ხერუსკების ტომის ბელადი არმინიუსი 46



რა საერთო ჰქონდა ტრიპოლისა და ცხინვალის ოპერაციებს 8

მანევრი თანამედროვე ომებში 14





ისლამისტური დაჯგუფებები საფრანგეთში 25

რითი დაიცავს „ჰეკლერ-კოჰი“ ჩვენს ოჯახებს 51



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 სამხედრო სიახლეები

**არმია**

7 ჯარში ოთხჯერ მეტს გაიწვევენ

**ლიბიის ომი**

8 რა საერთო ჰქონდა ტრიპოლისა და ცხინვალის ოპერაციებს

**ვითანამშრომლოთ**

10 ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ!

**მეზობელ ქვეყნებში**

11 „კავკასია 2012“ - რისთვის ემზადებიან სომხეთი და რუსეთი

**ტაქტიკა**

14 მანევრი თანამედროვე ომებში

**სპეცსამსახურების არქივებიდან**

17 სტალინ-ბერიას აგენტურა ქართულ ემიგრაციაში

**რეგიონი**

20 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

**ავიასალონი**

22 МАКС-2011

**ტერორისტული ორგანიზაციები**

25 „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფება“ ფრანგული შავი სამყაროს მეფეები

**ტანკმშენებელი ქვეყნები**

30 რუსული ჯავშანტექნიკა — სატანკო ჯარები გერმანიასთან ომის წინ

**გამომგონებლები**

35 როგორ აპირებდა ქართველი ბექაური ბრიტანული ფლოტის ჩაძირვას

**ავიაცია**

38 ჩინური ავიაცია წინ „გაიჭრა“...

**რეზერვისტის ჩანაწერები**

42 რა ხდებოდა რეზერვში

**100 დიდი მხედართმთავარი**

46 არმინიუსი

**ჯარისკაცის ბედი**

48 ომში დაჭრილი ჯარისკაცის გაურკვეველი სიკვდილი

**სისხლით დაწერილი**

50 მერფის კანონები სამხედროებისთვის

**„არსენალის“ იარაღის მაღაზია**

51 რითი დაიცავს „პეკლერ-კოპი“ ჩვენს ოჯახებს

გარეკანზე — გერმანული ძირითადი ტანკი Leopard 2A


პალიტრა მედია

## რედაქციისგან

კავკასია პრობლემური რეგიონია და შესამჩნევია ერთი ტენდენცია, — სხვა ქვეყნები ძალის დემონსტრირებითა თუ ჩარევით საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობენ.

ალბათ, ამ კუთხით უნდა შეფასდეს ის სწავლებები, რომელთაც რუსეთის საოკუპაციო არმია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ატარებს. მომავალ წელს მოსკოვი დიდ სამხედრო წვრთნებს ჩვენს მეზობელ ქვეყანაში — სომხეთში გეგმავს. იარაღის ჟღარუნი მშვიდობის საქმეს არასოდეს ემსახურებოდა და არც მოემსახურება.


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი



ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
30.08.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრიტანელები სუპერაგენტების აქსესუარებს ყიდიან



დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ საიდუმლო სამსახურებისა და სპეცრაზმების თანამშრომელთა აქსესუარების გაყიდვას მიჰყო ხელი. ბრიტანელები ამით 36 მილიონი გირვანქა სტერლინგის მოზიდვას ეშურებიან, რითაც უწყების საბიუჯეტო დეფიციტის აღმოფხვრა სურთ.

ორგანიზაცია Disposal Services Authority-ის საიტის კატალოგში სარეალიზაციოდ წარმოდგენილ სამხედრო საქონელში ყველაფერია თავმოყრილი — დაწყებული კამუფლირებული ქურთუკით, აგენტთა ძვირფასი მაჯის საათებით, დაჯავშნული ავტომობილებითა და შვეულმფრენებით დამთავრებული.

მაგალითად, საიტზე წარმოდგენლი Maurice Lacroix-ის, Raymond Weil-ის, Christian Dior-ის საათების პრესტიჟული მოდელების შეძენა 1000 გირვანქა სტერლინგად შეიძლება. რთულ ბუნებრივ პირობებში წყლის გასაფილტრი სისტემა — 3 ათასი, ხოლო დაჯავშნული „იაგუარი“ 12-იდან 25 ათასამდე ღირს და იმისდა მიხედვით ფასობს, თუ როგორი კომპლექტაციის არის. 25 ათასად შეიძლება ჯავშანტრანსპორტიორ „საქსონის“ ყიდვაც.

ბრიტანელ სამხედროთა ამ ნაბიჯს ქვეყანაში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. განსაკუთრებით ვეტერანები განაწყენდნენ, რომლებიც „ყველაფრის ფულზე დახურდავებამ“ გააღიზიანა.

სხვათა შორის, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო ამ წლის მარტიდან ჩამოწერილი „ინვინსიბლის“ სერიის ავიამზიდ „არკ როიალის“ გაყიდვასაც აპირებს. ამბობენ, რომ მის მყიდველს 3,5 მილიონი გირვანქის გაღება მოუწევს.



# „ალ ქაიდას“ იემენური დაჯგუფება მცენარის თესლისგან ბომბებს ამზადებს

„ალ ქაიდას“ იემენური დაჯგუფება აშშ-ზე თავდასასხმელად შხამიანი ნივთიერება რიცინისგან სასიკვდილო იარაღის შექმნას ცდილობს. ამ დასკვნამდე მივიდნენ კონტრტერორისტული საქმიანობით დაკავებული ამერიკელი ექსპერტები.

მათი ცნობით, უკვე წელიწადზე მეტია იემენელი ბოევიკები მცენარე აბუსალათინის თესლს აგროვებენ, საიდანაც ამ შხამიანი ნივთიერების მიღება შეიძლება. ტერორისტთა მიზანი ნივთიერება რიცინით მცირე ბომბების დამზადება და მათი დახურულ სივრცეებში, მაგალითად, აეროპორტებში, მაღაზიებსა და მეტროსადგურებში აფეთქებაა.

ამ საშიშროების შესახებ აშშ-ის პრეზიდენტსა და ეროვნული უშიშროების სამსახურებს ჯერ კიდევ 2010 წლის ბოლოს აცნობეს, მაგრამ ეჭვი ეჭვად დარჩა. ექსპერტთა თქმით, საფრთხე სავსებით რეალურია, რადგან ექსტრემისტებს რიცინზე დამზადებულ ეფექტურ ქიმიურ იარაღზე მუშაობა ჯერ არ დაუსრულებიათ.

აღსანიშნავია, რომ რიცინი სიცხესა და სინათლეზე თვისებებს კარგავს. ის სასიკვდილო მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ ადამიანის სისხლში ან სასუნთქ გზებში მოხვდა.

„ალ-ქაიდას“ იემენურ ფრთას ამერიკული სპეცსამსახურები საკმაოდ საშიშ ძალად მიიჩნევენ, მის ლიდერ ანვარ ალ-ავლაკს კი ახალ №1 ტერორისტად მოიხსენიებენ.



# ამერიკელებმა 5 მილიონი დაწუნებული ჯავშანჟილეტი ჩამოწერეს

აშშ-ის არმიამ 5 მილიონამდე ჯავშანჟილეტი ჩამოწერა, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც სამხედროები ერაყსა და ავღანეთშიც ბოლო დრომდე იყენებდნენ. ამერიკის არმიის სარდლობის განმარტებით, ჯავშანჟილეტებმა უსაფრთხოებაზე საჭირო ტესტირება ვერ გაიარა.

მათი შემოწმება პენტაგონმა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საზღვაო ქვეითებმა ჯავშანჟილეტებში უამრავი წუნი აღმოაჩინეს, — უმრავლესობას კერამიკული ფირფიტები, რომლებმაც ტყვია უნდა შეაკავონ, დახეთქილი ჰქონდა.

ჯავშანჟილეტების უსაფრთხოების ხარისხით პენტაგონი პირველად არ დაინტერესებულა. 2009 წელს გაზეთმა The New York Times-მა პუბლიკაცია გამოაქვეყნა, საიდანაც ირკვეოდა, რომ 2003-დან 2005 წლამდე ერაყში დაღუპულ ამერიკელ ჯარისკაცთა 80%-ს ჭრილობა სხეულის ჯავშანჟილეტით დაცულ მონაკვეთში ჰქონდა და უკეთესი მოდელის შემთხვევაში, მსხვერპლი გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

# ამერიკულ არმიაში თვითმკვლელობა გახშირდა



2011 წლის ივლისის მონაცემებით, აშშ-ის არმიაში, 2009 წლის შემდეგ თვითმკვლელობისა და მისი მცდელობის რეკორდულად მაღალი რიცხვი დაფიქსირდა.

პენტაგონის მონაცემებით, ამა წლის ივლისში აშშ-ის არმიაში 32 თვითმკვლელობა მოხდა, მთელი წლის მანძილზე კი 151 ასეთი შემთხვევა აღინიშნა. კიდევ 12 საქმეზე, რომელიც სავარაუდოდ თვითმკვლელობას ეხება, გამოძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

სხვათა შორის, აშშ-ის არმია ერთადერთია, რომელიც მსგავს სტატისტიკას ოფიციალურად აქვეყნებს, ქვეყნის შეიარაღებული ძალების დანარჩენი სამი სახეობა კი თავის რიგებში თვითმკვლელობათა რიცხვს მხოლოდ განსაკუთრებული მოთხოვნის შემთხვევაში ახმაურებს. CNN-ის ცნობით, ამ წელს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში თვითმკვლელობის — 28, საზღვაო ქვეითებში – 21, ხოლო სამხედრო-საზღვაო ძალებში კი 33 შემთხვევა მოხდა.

თვითმკვლელობათა რიცხვში ასეთი დიდი განსხვავება არმიასა და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებს შორის, სავარაუდოდ, სახმელეთო ჯარების მაღალი რიცხოვნობითაა განპირობებული. Defence-ის ცნობით, სადღეისოდ ეს რიცხვი 1.1 მილიონი კაცით განისაზღვრება. თავად ამერიკელ ჯარისკაცთა შორის თვითმკვლელობის გახშირებას კი ექსპერტები ერაყისა და ავღანეთის შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეობას უკავშირებენ.

# ბრიტანელებს ზღვის ფსკერიდან ნაცისტური ბომბდამშენის ამოღება სურთ

დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სამეფო მუზეუმმა შემოწირულობის მიღება დაიწყო, რათა ზღვის ფსკერიდან მეორე მსოფლიო ომისდროინდელი გერმანული ბომბდამშენი Dornier 17 ამოიღოს. აქციის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ 600 ათასი გირვანქა სტერლინგის შეგროვებას უპრობლემოდ შეძლებენ და ჩაძირული თვითმფრინავის ამოღების ოპერაცია მომავალი წლის გაზაფხულზე ჩატარდება.

გერმანული ბომბდამშენი Dornier 17, რომელსაც ფიუზელაჟის წაგრძელებული ფორმის გამო „მფრინავ ფანქარს“ უწოდებდნენ, წყალქვეშ 70-წლიანი ყოფნის მიუხედავად, კარგადაა შემონახული.

თვითმფრინავი წყალქვეშა არქეოლოგებმა 2008 წელს აღმოაჩინეს და ის Dornier 17-ის დღემდე შემორჩენილი უკანასკნელი ეგზემპლარია.

თვითმფრინავი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა 1940 წლის 26 აგვისტოს, კენტის საგრაფოს ახლოს ჩამოაგდეს. პილოტმა ვილი ეფმერტმა ავარიული დაშვება ნაპირზე სცადა, თუმცა თვითმფრინავი ფრთით წყლის ზედაპირს წამოედო, ამობრუნდა და ჩაიძირა. ეფმერტი და მისი შტურმანი გადარჩნენ და ისინი ტყვედ აიყვანეს, ხოლო ეკიპაჟის სხვა ორი წევრი დაიღუპა.



# მომავლის ჰიბრიდული გამანადგურებელი ლაზერის სხივით იბრძოლებს

ახალი ამერიკული გამანადგურებელი, რომელიც F-35-ისა და F-22-ის მემკვიდრე უნდა გახდეს, ლაზერული იარაღით აღიჭურვება. ამასთან, რადიოლოკაციური საშუალებებისთვის ამოუცნობი იქნება. ახალ გამანადგურებელს (F-X), რომლის შეიარაღებაში მიღება 20 წლის შემდეგ იგეგმება, მოწინააღმდეგის კომპიუტერების მწყობრიდან გამოყვანა და კომპიუტერული სისტემის დავირუსებაც შეეძლება. პროგრამის თანახმად, გამანადგურებლის ენერგიით კვება ჰიბრიდული სქემით — აკუმულატორებითა და ელექტროძრავით უნდა მოხდეს. მიუხედავად ამისა, ახალ გამანადგურებელ F-X-ზე, როგორც პროექტზე, ლაპარაკი ნაადრევია, ის უფრო მომავალი თაობის საფრენი აპარატისთვის წაყენებული მოთხოვნების კრებულია.

# გერმანიის პოლიცია გერმანულ ნაგაზს ბელგიურს ამჯობინებს



როგორც ჩანს, განთქმულ გერმანულ ნაგაზს სამშობლოშიც აღარ სწყალობენ. მაგალითად, ჩრდილოეთ რაინის პოლიციაში ამ ჯიშის ძაღლს ბელგიურს ამჯობინებენ. ამის დასტურად ციფრებიც გამოდგება – სამართალდამცველთა ძაღლსაშენში 281 მალინუა (ბელგიური ნაგაზის ერთ-ერთი ჯიში) „მსახურობს“, მაშინ როცა გერმანული ნაგაზი მხოლოდ 26-ია. ბელგიურ ნაგაზს გერმანიის ფედერალურ პოლიციაშიც უფრო სწყალობენ, თუმცა ამბობენ, რომ მხოლოდ ამ ჯიშის იმედად დარჩენას არ აპირებენ, და მეორე, გერმანულ ნაგაზზე უარს პოლიციელები მეტწილად მისი სიძვირის გამო ამბობენ. რადგან სამართალდამცველთათვის ძაღლების მოშენება-გაწვრთნით პოლიციის სამმართველოები არ არიან დაკავებულნი და მათი ყიდვა უხდებათ, ამიტომ უპირატესობას შედარებით იაფ ბელგიურ ნაგაზს ანიჭებენ.

ჩრდილოეთ რაინის პოლიციელები კი, რომლებმაც ბელგიური ნაგაზების მოშენება 1988 წლიდან დაიწყეს, ირწმუნებიან, რომ გერმანულთან შედარებით ბელგიური ჯიშის ძაღლები უფრო ამტანები და უშიშარნი არიან. კინოლოგთა მტკიცებით კი ბელგიური ნაგაზი არა მხოლოდ სადარაჯოდ, საძიებო საქმიანობისთვისაც გამოსადეგია.



საქართველოს პარლამენტის

# პენტაგონს „ბრედლისა“ და „სტრაიკერის“ ჩანაცვლება სურს



აშშ-ის არმიის სარდლობამ ახალი საბრძოლო მანქანა GCV-ის შექმნაზე გამოცხადებული ტენდერი დაასრულა და კონტრაქტი ორ გამარჯვებულ კომპანიასთან გააფორმა. შეთანხმება, რომელიც 890 მილიონი დოლარით განისაზღვრება, ბრიტანულ კომპანია BAE Systems-სა და ამერიკულ General Dynamics-თან გაფორმდა.

საბრძოლო მანქანაზე მუშაობა, რომელიც 9 მებრძოლის გადაყვანაზე იქნება გათვლილი, სავარაუდოდ, 2017 წელს დასრულდება, ერთი წლის შემდეგ კი ამერიკის არმიის შეიარაღებაში მიიღებენ. GCV-მა მოძველებული M2 Bradley და Stryker ICV უნდა ჩაანაცვლოს.

აშშ-ის არმიის მოთხოვნისამებრ ახალ საბრძოლო მანქანას Bradley-სთან შედარებით ბევრად გაუმჯობესებული ბალისტიკური დაცვა უნდა ჰქონდეს, ხოლო მისი გამძლეობა მინებისა და თვითნაკეთი მოწყობილობებისადმი ამჟამინდელი MRAP-ისას უნდა ჯობდეს. ამასთან, GCV უფრო მოქნილი, მობილური და უნივერსალური უნდა იყოს.

# რობოტი-საჭურველმტვირთველი ხმოვან ბრძანებასაც ემორჩილება

თანამედროვე არმიის ჯარისკაცის ამუნიცია სულ უფრო მძიმდება. გარდა იარაღისა და საბრძოლო მასალისა, მეომარს კომპიუტერის, გაჯეტების ნაკრებისა და კვების ელემენტების თრევა უწევს. სწორედ ამიტომ შექმნა კომპანია Lockheed Martin-მა რობოტი, რომელიც მეომრის ტვირთს მორჩილად ზიდავს.

რობოტიზებული პლატფორმა (SMSS) იაფი სულაც არ ჯდება და თითო ეგზემპლარი ნახევარ მილიონამდე ღირს, მაგრამ თუკი კომპანია მის საჭიროებაში პენტაგონის დარწმუნებას შეძლებს, „რობოტი-სახედრები“ შეიძლება ავღანეთში ამ შემოდგომაზევე გამოჩნდეს. თუმცა, SMSS-ი სულაც არ ჰგავს არც ვირსა და არც რომელიმე პირუტყვს. ის ჩვეულებრივ ყველგანმავალს მოგაგონებთ — ექვსი ბორბალი აქვს. რობოტი-საჭურველმტვირთველი, რომელიც ბორტზე 300 კგ ტვირთს ითავსებს, ლაზერის გამოყენებით „თავისიანი“ მებრძოლისა თუ სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირებას ახდენს და მას მორჩილად მიჰყვება და რაც ყველაზე საინტერესოა, დავალებებს არა მხოლოდ დისტანციური მართვის პულტით, არამედ ხმოვანი ბრძანებითაც იღებს.



# ახალი ელექტროშოკური იარაღი 30 მეტრზე ისვრის



ე.წ. თაზერებს (ელექტროშოკური იარაღი) ერთი ნაკლი აქვთ — მათი მოქმედების არეალი რამდენიმე მეტრით განისაზღვრება. სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად Taser International-ი ავსტრიულ კომპანია Metal Storm-ს გაურიგდა, რომელიც ელექტრული იარაღის წარმოებაზეა სპეციალიზებული. ამ ორი კომპანიის ძალისხმევით ახალ იარაღზე — ავტონომიური ელექტროშოკური ტყვიების მსროლელ MAUL-ზე მუშაობა დასრულდა.

12-კალიბრიანი იარაღი ელექტროშოკური კარტრიჯებით ისვრის და მისი მოქმედების პრინციპი განსხვავებულია ტრადიციული ცეცხლსასროლი იარაღისგან. ამ შემთხვევაში გასროლა არა დენთის, არამედ ელექტროენერგიით ხდება. ეს კლასიკური რეილგანია, ოღონდ პატარა სიმძლავრის.

იარაღის მჭიდში ხუთი ელექტროშოკური ვაზნაა, რომლებიც გასროლისას 30 მეტრზე მიფრინავენ. თითოეულ ტყვიას თავისი კვების წყარო აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლულასთან სადენით არ არიან დაკავშირებული. კომპანია Taser-ის ახალი პროდუქტი არალეტალურია და სამართალდამცავი ორგანოებისა და სამხედროებისთვის არის განკუთვნილი.

# ჯარში ოთხჯერ მეტს გაიწვევენ

## სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულთა რიცხვმა „ვარდების რევოლუციამდე“ არსებულს გადააჭარბა

2003 წლის 6 ნოემბერს მაშინდელმა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მოასწრო ბრძანებულების გამოცემა საქართველოს სამხედრო ძალებში 2003 წლის საშემოდგომო სავალდებულო სამხედრო გაწვევის შესახებ. ამ ბრძანებულების თანახმად, 2003 წლის 10 ნოემბრიდან 2004 წლის 26 თებერვლამდე სამხედრო ძალებში სულ 6880 კაცი უნდა გაეწვიათ, მათგან 3750 შეიარაღებულ ძალებში, 2000 — შინაგან ჯარებში, 1000 კი მესაზღვრეებში.

ორ კვირაში „ვარდების რევოლუციის“ „სიომ“ დაუბერა და ქვეყანაში ახალი ხანა დაიწყო. ამიტომაც, სავარაუდოდ, გადამდგარი თუ გადაყენებული, უკვე ექსპრეზიდენტის ეს ბრძანებულებაც, ეტყობა, არ შესრულდა.

თუმცა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა წელიწადში ორჯერ მიმდინარეობს და 2003 წლის გაზაფხულის გაწვევას 7651 კაცი ექვემდებარება. სულ (გაზაფხულსა და შემოდგომაზე) „ვარდების რევოლუციამდე“ სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოველ წელს 14 ათასზე მეტ ახალგაზრდას იწვევდნენ, რაც საქართველოს სამხედრო ძალების (თავდაცვის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარები, უშიშროების სამინისტრო, დაზვერვის დეპარტამენტი) პირადი შემადგენლობის დაკომპლექტების (განსაკუთრებით შეიარაღებულ ძალებსა და შინაგან ჯარებში) ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ახალმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირველი საგაზაფხულო გაწვევა 2004 წლის 20 აპრილს გამოაცხადა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევი კონტინგენტი 8430 კაცით (4000 შეიარაღებულ ძალებში და 2800 შინაგან ჯარებში) განსაზღვრა.

იმავე წლის შემოდგომაზე გასაწვევთა რიცხვი გაზაფხულთან შედარებით ოთხჯერ შემცირდა და 2025 კაცი შეადგინა, თანაც თავდაცვის სამინისტროს არც ერთი ახალგაწვეული არ წაუყვანია.

2005 წლის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ბრძანებულებას პრეზიდენტმა 16 იანვარს მოაწერა ხელი, მაგრამ შემდეგ კიდევ ოთხჯერ შეიტანა მასში ცვლილებები. თუკი თავდაპირველად სამხედრო ძალებში 4300 კაცის გაწვევას აპირებდნენ, საბოლოოდ ეს ციფრი 4955-ს გაუტოლდა, აქედან შეიარაღებულ ძალებში 4500-მდე. ისევე როგორც 2005 წელს, შემდგომ 2006 წელსაც გაწვევა ერთიანი იყო, საგაზაფხულო და საშემოდგომო ეტაპების გარეშე. 2006 წლის აგვისტოში პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიარაღებულ ძალებში 2500 ახალგაზრდა ექვემდებარებოდა გაწვევას.

ამ ბრძანებულებამ რეკორდული ცვლილება განიცადა — ის 6-ჯერ ჩაასწორეს და დაამატეს 1400 კაცი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულების გარე დაცვის სამსახურისთვის.

2007 წელს თავდაცვის სამინისტრო ისევ დაასვენეს ახალწვეულებისგან და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას ძირითადად შსს (1200 კაცი) და სასჯელაღსრულების სამინისტრო და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ახორციელებდნენ.

2008 წელს ისევ აღდგა წელიწადში ორჯერ გაწვევის პრაქტიკა. გაზაფხულის გაწვევა 2800 კაცით განისაზღვრა, საიდანაც 1900 თავდაცვაზე მოდიოდა. საშემოდგომო გაწვევა კი ისევ არ შეეხო შეიარაღებულ ძალებს.

2009 წლის პირვანდელ ბრძანებულებაში ასევე არ იყო გათვალისწინებული ახალწვეულების შეიარაღებულ ძალებში გაგზავნა, მაგრამ ორიოდე თვეში (თებერვლის დასაწყისში) თავდაცვისთვის გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 1400-ით განისაზღვრა. იგივე განმეორდა იმავე წლის შემოდგომის გაწვევაზეც. თავდაპირველი ბრძანებულებით (2009 წლის 12 აგვისტო) 1300-1300 ახალწვეული მხოლოდ შსს-სა და სასჯელაღსრულებას მიჰყავდა, თუმცა 8 დეკემბერს პრეზიდენტმა ცვლილებები და დამატებები შეიტანა თავისივე ბრძანებულებაში და შეიარაღებულ ძალებში გასაწვევთა რიცხვი 717-ით განსაზღვრა.

2010 წლის საგაზაფხულო გაწვევას უკვე 2000-ზე მეტი ახალგაზრდა დაექვემდებარა და თავიდანვე იქნა განსაზღვრული თავდაცვის სამინისტროს კვოტა — 1269 ახალწვეული.

იმავე წლის შემოდგომაზე ახალწვეულთა საერთო რიცხვმა 2400-ს მიაღწია, საიდანაც შეიარაღებულ ძალებზე 738 კაცი მოდიოდა. თუმცა 2010 წლის 30 ივლისის ეს ბრძანებულება ერთ თვეში პრეზიდენტმა ისევ შეცვალა და შეიარაღებულ ძალებში გასაწვევთა რიცხვი 738-დან 1204-მდე გაზარდა.

ძნელი სათქმელია, რამ განაპირობა თავდაცვის ახალწვეულების მოთხოვნის თითქმის ორჯერ გაზრდა, მაგრამ სწორედ აქედან იწყება თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში ახალწვეულების მოთხოვნის მუდმივად მზარდი ტენდენცია.

2011 წელს საგაზაფხულო გაწვევის საერთო რიცხვმა 3200 მიაღწია, საიდანაც თავდაპირველად თავდაცვა 1286 წვევამდელს ითხოვდა. 14 იანვრის პრეზიდენტის ეს ბრძანებულება 9 მარტის დამატებით შემდეგნაირად შეიცვალა — თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნილება თითქმის სამჯერ — 3275 ახალწვეულამდე გაიზარდა.

2011 წლის 4 აგვისტოს გამოვიდა პრეზიდენტის ბრძანებულება საშემოდგომო სამხედრო სავალდებულო სამსახურში 31 დეკემბრამდე საერთო ჯამში 7591 ახალგაზრდის გაწვევას ითვალისწინებს, აქედან თავდაცვაში — 4891 კაცისას.

მკითხველს ციფრების ეს კორიანტელი შეიძლება მოსაწყენადაც ეჩვენება, მაგრამ ამ დეტალებს იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ სახეზეა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში ახალწვეულთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელმაც გაუსწრო კიდევაც „ვარდების რევოლუციამდე“ არსებულ მონაცემებს.

საქმე ის არის, რომ ხელისუფლება დიდი ხანია აცხადებს საქართველოს კონტრაქტის საფუძველზე დაკომპლექტებული პროფესიონალი არმია უნდა ჰყავდესო. კონტრაქტით მომსახურეთა რიცხვი დღეისათვის მართლაც ძირითადია დღევანდელ ქართულ არმიაში, თუმცა სავალდებულო სამხედრო სამსახურის ახალწვეულთა რიცხვის მნიშვნელოვან ზრდას (2010 წელს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში გაიწვიეს 2473 ახალწვეული, ხოლო 2011 წლის ბოლომდე გაწვეული უნდა იყოს 8166 ახალგაზრდა) რაღაც მიზეზი უნდა ჰქონდეს — ან ხელისუფლება აპირებს ახალწვეულების ხარჯზე მთლიანად შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის გაზრდას, ან ფინანსური პრობლემების გამო (შეიძლება ოთხწლიან კონტრაქტზე ხელის მომწერთა შემცირების მიზეზითაც) ახალწვეულებით ჩანაცვლებას აპირებს.

**ირაკლი ალადაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა საერთო ჰქონდა ტრიპოლისა და ცხინვალის ოპერაციებს

ლიბიის სამოქალაქო ომი, როგორც ჩანს, დასასრულისკენ მიდის. ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილსა და დედაქალაქს უკვე აჯანყებულები აკონტროლებენ და იქ ბენღაზიდან ეროვნული გარდამავალი საბჭოს გადასვლა იგეგმება.

თებერვალში კადაფის რეჟიმის დასამხობად დაწყებული შეიარაღებული გამოსვლები აგვისტოს დასაწყისამდე გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. აჯანყებულთა სუსტად მომზადებულ-ორგანიზებული რაზმები კადაფის არმიას გააფთრებულ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ და წარმატებასაც ცვალებადი ხასიათი ჰქონდა.

მარტიდან საბრძოლო მოქმედებებში NATO-ს ავიაცია ჩაერთო. საჰაერო დარტყმები მიაყენეს სამთავრობო ძალების ჯავშანკოლონებს, სამხედრო ტექნიკასა და იარაღის საწყობებს, კადაფის რეზიდენციებსა და სამხედრო მნიშვნელობის სხვა ობიექტებს.

კადაფის არმია აქტიურ მოქმედებებს მაინც განაგრძობდა, ხოლო აჯანყებულები ბრძოლებში გარდატეხის შეტანას ვერ და ვერ ახერხებდნენ.

დროდადრო ლიბიის რევოლუციის ლიდერი-პოლკოვნიკი ინტერვიუებითა და მუქარის შემცველი განცხადებებით მსოფლიო საზოგადოებრიობას ახსენებდა, რომ ის ცოცხალი იყო და ბრძოლას განაგრძობდა.

ვითარება 20 აგვისტოს შემდეგ მოულოდნელად შეიცვალა. მიზეზი აჯანყებულთა არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში ან NATO-ს ავიაციის ეფექტურ მოქმედებებში არ უნდა ვეძებოთ.

როგორც ჩანს, კოალიციის სარდლობამ გაეროს რეზოლუციის მანდატის დარღვევით აჯანყებულთა დასახმარებლად ბრძოლებში ქვეითი ქვედანაყოფები ჩართო.

აჯანყებულთა ფორმირებებს რომ უცხოელი სამხედრო ინსტრუქტორები წვრთნიან, ამის შესახებ ბევრი დაიწერა. ასევე ცნობილი იყო, რომ საჰაერო დაბომბვების სიზუსტის ასამაღლებლად აჯანყებულთა შორის ბრიტანელი, ფრანგი და, ალბათ, სხვა ქვეყნების ავიამიმმართველები იმყოფებიან.

ამის აუცილებლობა და საჭიროება იმანაც განაპირობა, რომ NATO-ს ავიაციამ აჯანყებულთა რაზმები რამდენჯერმე შეცდომით დაბომბა.

უცხოური მედიის ცნობით კი აჯანყებულთა ბოლოდროინდელ გააქტიურებაში არცთუ მცირე როლს კატარისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების სპეცქვედანაყოფები, ბრიტანელი და ფრანგი სპეცრაზმელები თამაშობენ.

თუმცა არც კადაფი იჯდა ხელდაკრეფილი. სამთავრობო ქვედანაყოფების რიგებში აფრიკული ქვეყნიდან ჩამოსული ბევრი მოხალისე თუ დაქირავებული იბრძვის. **ლიბიის ლიდერისთვის დახმარების გაწევას ჩრდილოკავკასიელებიც აპირებდნენ.**

**საინიციატივო ჯგუფში 50-მდე ყაბარდო-ბალყარელი და 20-მდე ყარაჩა-**



ლიბიელთა სამხედრო თვითშემოქმედება

**ელ-ჩერქეზი ახალგაზრდა გაერთიანდა და კონსულტაციებისთვის აფხაზეთის ომის აქტიურ მონაწილესა და ყაბარდოელთა ბატალიონის ყოფილ მეთაურს იბრაჰიმ იაგანოვს მიმართეს.**

ლიბიის სამოქალაქო ომში რუსეთის მოქალაქეების მონაწილეობასა და აფხაზური გამოცდილების გამოყენებას NATO შემთხვევით გადაურჩა — ლიბიელ ჩერქეზთა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჩრდილოკავკასიელებს წერილი გამოუგზავნა და შეატყობინა, რომ კადაფის რეჟიმი ლიბიელებსაც და ჩერქეზებსაც ერთნაირი სისასტიკით უსწორდებოდა.

21 აგვისტოს საღამოს აჯანყებულთა ჯიპების კოლონები ტანკების თანხლებითა და NATO-ს ავიაციის დაცვით ტრიპოლში რამდენიმე მხრიდან შევიდნენ და რამდენიმე საათში ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს.

ტრიპოლში წინასწარ შეგზავნილი ჯგუფებიდან კოალიციის სარდლობა იქ არსებულ ვითარებაზე სრულ სურათს ფლობდნენ და იცოდნენ, რომ დედაქალაქი სუსტად იყო დაცული.

მას შემდეგ, რაც დედაქალაქში აჯანყებულები გამოჩნდნენ, კადაფის ერთ-ერთმა შვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სამთავრობო ძალების მოწყობილ ხაფანგში აჯანყებულები შეიტყუეს და ახლა მათ ანადგურებენ.

ამ ტყუილს საფუძველი მეორე დღესვე გამოეცალა, როცა ბრძოლებმა კადაფის რეზიდენციის — ბაბ ალ-აზიზიას მიდამოებში გადაინაცვლა და NATO-ს თვითმფრინავების წერტილოვანი დარტყმების შემდეგ აჯანყებულებმა მისი აღება შეძლეს.

ეს ოპერაცია აჯანყებულებმა, კოალიციის სახმელეთო ძალებისა და NATO-ს ავიაციის სარდლობამ ერთობლივად დაგეგმეს და ჩაატარეს. მასში აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული რამდენიმე მომენტი:

— ქვეყნის სხვადასხვა რაიონში მიმდინარე ბრძოლები და ჰაერში NATO-ს ავიაციის ბატონობა კადაფის არმიის შესაძლებლობებს ზღუდავდა;

— ამ დროს სამთავრობო ძალების ავიაცია და საჰაერო თავდაცვის საშუალებები განადგურებულია, ხოლო სახმელეთო ძალების გადაჯგუფება ან საჭირო ადგილას გამოყენება დიდ რისკთან არის დაკავშირებული;

— არმიაში ნელ-ნელა გაჩნდა საწვავის, საბრძოლო მასალებისა და მომზადებული რეზერვების ნაკლებობა;

— კადაფის რეჟიმის უპერსპექტივობა არმიის სამეთაურო შემადგენლობის ერთ ნაწილზე დამთრგუნველ გავლენას ახდენდა;

— მოხერხდა ზოგიერთი მეთაურის მოსყიდვა და აჯანყებულთა მხარეზე გადაყვანა;

ალბათ, განვლილმა ბრძოლებმა აჯანყებულთა რაზმებსაც ცოდნა-გამოცდილება შესძინა.

ამჟამად ბრიტანელი და ფრანგი სპეცრაზმელების ამოცანა პოლკოვნიკ კადაფის შეპყრობა-ნეიტრალიზაციაა, რადგან ის წინააღმდეგობის ერთადერთ ობიექტად რჩება და მის ბრძანებებს არმია ისევ ასრულებს.

ტრიპოლის 2011 წლისა და ცხინვალის 2008 წლის ოპერაციები მართალია ერთმანეთისგან განსხვავებულ რეგიონებსა და სრულიად სხვადასხვა ომში ჩატარდა, მაგრამ შინაარსის მხრივ მათში საერთოს მონახვა მაინც შეიძლება.

რუსები კოკოითის ფორმირებებსა და მოლაშქრეებს სუსტი ბრძოლისუნარიანობის გამო არ ენდობოდნენ და მხოლოდ შეიარაღებული პროვოკაციებისთვის იყენებდნენ. ამიტომაც ე. წ. სამშვიდობო ძალები გააძლიერეს რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარი სადაზვერვო სამმართველოს დაქვემდებარებაში მყოფი ჩეჩნური ბატალიონი „ვოსტოკის“ ასეულითა და მე-10 სპეცდანიშნულების ბრიგადის ერთი რაზმით.

თუმცა სამშვიდობო ჯარების სტატუსი ამ მისიის შესრულებისთვის სპეციალურად მომზადებული სამხედროების გამოყენებას მოითხოვს.

**რუსული გეგმის მიზანი ქართული ქვედანაყოფების ქალაქის ცენტრში შეტყუება და ქუჩის ბრძოლებში მისი განადგურება იყო.**

ცხინვალის ცენტრი (ე. წ. სამთავრობო კომპლექსი) მთავარი სადაზვერვო სამმართველოს 22-ე ბრიგადის დანაყოფებით იყო დაცულ-გამაგრებული.

ლიბიელი აჯანყებულებისგან განსხვავებით ქართული ქვედანაყოფები საჰაერო მხარდაჭერას მოკლებული იყვნენ და ქალაქის ცენტრში რუსების წინააღმდეგობის დაძლევა ვერ მოახერხეს.

**თეიმურ ჩაჩანიძე**





ომი ტრიპოლის ქუჩებში

ეროვნული ბიბლიოთეკა




შებისგან (რაც კონსტიტუციაშიც არის ჩაწერილი), მაგრამ დასანანია, რომ ასე არ არის.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ დღეს საქართველოში ადვილია დამოუკიდებელი სამხედრო ჟურნალის თვეში ორჯერ გამოშვება, ცდება. როგორ გგონიათ, როდესაც თავდაცვის სამინისტრო მიუდგომელ ციხესიმაგრეს დაემსგავსა, სამხედრო ნაწილებში კი მხოლოდ ხელისუფლებასთან დაახლოებულ მასმედიის წარმომადგენლებს უშვებენ და ისიც ათასში ერთხელ, ადვილია მასალების მოპოვება ქართული არმიის ცხოვრებაზე, მის განვითარებასა თუ პრობლემებზე?!

საყოველთაო პიარით გადაფარულმა პრობლემებმა რა მდგომარეობამდე მიიყვანა აგვისტოს ომის დროს ქართული არმია და ქვეყანა, სამი წლის წინ ვნახეთ და თუ ვინმეს ამის დანახვა არ სურს, მისი პრობლემაა.

# ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ!

შვიდ წელზე მეტია, რაც ჩვენი და იმედია, თქვენიც, ჟურნალი „არსენალი“ გამოდის. მიუხედავად ობიექტური და სუბიექტური პრობლემებისა, „არსენალი“ ინარჩუნებს სტაბილურობას, სამწუხაროდ, არც რომელიმე ბეჭდური სამხედრო ორგანოს (გინდ დამოუკიდებლის და გინდ უწყებრივის) კონკურენცია გვემუქრებოდა. ამ ხნის განმავლობაში ვეცადეთ „არსენალის“ მკითხველს ელემენტარული ცოდნა შეეძინა სამხედრო საკითხებში და გასჩენოდა სურვილი გამხდარიყო პროფესიონალი სამხედრო.

ვიცით, რომ „არსენალმა“ გარკვეულწილად იმოქმედა (შეიძლება, ქვეცნობიერადაც) არაერთ ახალგაზრდაზე, თავისი მომავალი დაეკავშირებინათ საქართველოს სამხედრო ძალებისთვის, რაც ჩვენთვის სასიხარულოა და იმედია, ეს პროცესი არც შეწყდება.

მაგრამ არსებობენ პირები, რომლებიც სისტემურად და საკმაოდ ღვარძლიანადაც მოიხსენიებენ „არსენალს“. შეუცდომელი არავინ არის, მათ შორის არც ჩვენი „არსენალი“, მაგრამ ერთია ღვარძლი და მეორე ობიექტური კრიტიკა.

ის, ვინც ვებსაიტებზე მეტსახელებს ამოფარებული თავს უფლებას აძლევს არაკორექტულად (უფრო მეტიც — უცენზუროდ) გაგვაკრიტიკოს, ვერ ხვდება, რომ მათგან განსხვავებით „არსენალის“ ფურცლებზე ყველა ავტორი თავისი გვარ-სახელით აგებს პასუხს თავისივე სტატიის ყოველ სიტყვაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენივე სიტყვებზე, განსხვავებით ზოგიერთი „კლავიატურის ვირტუოზისგან“.

თავის დროზე სამხედრო-ანალიტიკურმა ჟურნალმა „არსენალმა“ დაიწყო ვებსაიტებზე სამხედრო თემით დაინტერესებულთა კომენტარების გადმობეჭდვა, რათა მათი საინტერესო აზრები ჟურნალის მრავალრიცხოვან მკითხველსაც გაეცნო.

„არსენალის“ რედაქცია შეხვდა ვებსაიტებზე სამხედრო თემით დაინტესებულ პირთა ერთ ნაწილსაც და თანამშრომლობა შესთავაზა. სამწუხაროდ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა (მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრაზე მათაც გამოთქვეს თანამშრომლების სურვილი), ეს პროცესი არ განვითარდა. შეიძლება იმიტომ, რომ ვებსაიტებზე მეტსახელებს ამოფარებული ზოგიერთი „კლავიატურის ვირტუოზი“ მიხვდა, რომ ჟურნალში სტატიის დაწერა და თითოეულ სიტყვაზე პასუხისმგებლობის აღება (ვებსაიტისგან განსხვავებით, სადაც სამწუხაროდ ხშირად ერთმანეთს შეურაცხყოფენ) არ შეეძლოთ.

ყოველივე ამას ემატება ზოგიერთის პოლიტიკური განწყობა. მათთვის მიუღებელია თავდაცვის სამინისტროსა თუ შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე პროცესების გაკრიტიკება. მათთვის გასაგონად ვამბობთ, რომ სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“ დაარსების დღიდან აპოლიტიკურია და მიაჩნია, რომ შეიარაღებული ძალებიც შორს უნდა იდგნენ პარტიული თამა-

„არსენალის“ გამოცემისას ვცდილობთ, ვიყოთ რაც შეიძლება ობიექტური, რის გამოც ჩვენს ერთგულ მკითხველს ზოგჯერ ვერ ვაწვდით ისეთ ინფორმაციას, რომელიც მავანმა შეიძლება პირად დაპირისპირებად მონათლოს. არადა, არმიაში არცთუ იშვიათია მართლაც შემზარავი ფაქტები, რომლებიც გამოძიებასა და კონკრეტული პირების (მათ შორის — მაღალჩინოსნების) დასჯას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტები უწყებაშივე იჩქმალება და ვფიქრობთ, ქვეყნის პირველი პირისთვის, რომელიც ამასთანავე შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია, უცნობია.

არმიის საზოგადოებისგან მოწყვეტა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ძალზე საშიშია. ეს სხვა ქვეყნების უახლესი ისტორიითაც დასტურდება, როდესაც შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლი არ არსებობს.

„არსენალის“ არავისზე ნაკლებად არ სურს ძლიერი საქართველოსა და ქართული არმიის ხილვა და მიგვაჩნია, რომ მცირე წვლილი მაინც შეგვაქვს ამ საშვილიშვილო საქმეში.

ამიტომ, ვისაც სურს „არსენალს“ გვერდში დაუდგეს და თავისი ცოდნა სამხედრო საქმეში ჩვენი მკითხველების არცთუ ისე მცირე არმიას გაუზიაროს, მთელი გულითა და სულით გელოდებით სათანამშრომლოდ, ხოლო ვინც მეტსახელებს ამოფარებული, „კლავიატურის ვირტუოზების“ რიგში დარჩენას აპირებს, ღმერთმა თავის გზაზე გაუმარჯოს!

სამხედრო ბიბლიოთეკა

# „კავკასია 2012“ – რისთვის ემზადებიან სომხეთი და რუსეთი



სომხეთი „კავკასია 2012“-ს უმასპინძლებს

მომავალ წელს სომხეთის ტერიტორიაზე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია დიდი სწავლების ჩატარებას აპირებს.

ივლისში მოსკოვში ვიზიტით ყოფნისას სომხეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე დავით ტონოიანმა ამის შესახებ მოლაპარაკება ორგანიზაციის გენერალურ მდივან ნიკოლაი ბორდიუჟასთან გამართა.

სწავლების ჩატარება მიმდინარე წელს იყო ჩაფიქრებული, მაგრამ გადაიდო და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ოპერატიული რეაგირების ძალების ბრძოლისუნარიანობა-შესაძლებლობები მომავალი წლის მეორე ნახევარში „კავკასია 2012“-ზე შემოწმდება.

1992 წლის 15 მაისს ტაშკენტში პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოები — ბელორუსია, რუსეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაერთიანდნენ.

ორგანიზაციის შექმნის მიზანი იყო არმიისა და სხვა ფორმირებათა გამოყენებით მასში შემავალი ქვეყნების ტერიტორიულ-ეკონომიკური სივრცის ნებისმიერი სახის სამხედრო-პოლიტიკური აგრესიისა თუ საერთაშორისო ტერორისტებისგან დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგთა ლიკვიდაცია.

**1993 წლის 9 სექტემბერს ორგანიზაციას საქართველოც შეუერთდა და ხუთწლიანი უშედეგო ყოფნის შემდეგ დარწმუნდა რა მის უპერსპექტივობაში 1999 წლის აპრილიდან წევრობა აღარ გააგრძელა.**



რუსი მედესანტეები ჩაბარკულის პოლიგონზე დესანტირების წინ

საქართველოსთან ომის შემდეგ მოსკოვი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელით სამხედრო სახის საფრთხეებზე სწრაფი რეაგირებისთვის კოლექტიური ძალების შექმნის ინიციატივით გამოვიდა.

2009 წლის 4 თებერვალს მოსკოვში კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების პრეზიდენტთა რიგგარეშე სამიტზე ბელორუსიის, რუსეთის, სომხეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის პირველმა პირებმა ასეთი ძალების შექმნის შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

ორგანიზაციის გენერალური მდივნის ნიკოლაი ბორდიუჟას განმარტებით ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალები შიდა კონფლიქტებში არ ჩაერევიან და მხოლოდ ხელშეკრულების წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ერთი ან რამდენიმე ქვეყნის თხოვნის საფუძველზე უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით იმოქმედებენ.

კოლექტიური ძალების დანიშნულებებში შედის:

— სამხედრო სახის ამოცანები, რაც აგრესიის მოგერიებასა და მასთან დაკავშირებულ სამხედრო-პოლიტიკური სახის ღონისძიებებს მოიცავს;

— საერთაშორისო ტერორიზმსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსტრემიზმთან, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულსა და ნარკოტრაფიკთან ბრძოლა;

— საგანგებო სიტუაციების შედეგთა ლიკვიდაციაში მონაწილეობა;

ამ დავალებათა შესასრულებლად ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა შემდეგი შენაერთები და ქვედანაყოფები გამოყვეს:

**რუსეთმა — 98-ე საჰაერო-სადესანტო დივიზია და 31-ე სადესანტო-მოიერიშე ბრიგადა, პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმები „ზუბრი“ და „რისი“, საგანგებო სიტუაციების სამინისტროს რაზმი „ლიდერი“;**

**ყაზახეთმა — აერომობილური ჯარების 37-ე სადესანტო-მოიერიშე ბრიგადა და პირველი ცალკეული საზღვაო ქვეითთა ბატალიონი;**

**ბელორუსიამ 103-ე მობილური ბრიგადა და შინაგანი ჯარების სპეცბრიგადის სწრაფი რეაგირების რაზმი;**

**სომხეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი თითო-თითო სადესანტო ბატალიონებით არიან წარმოდგენილი.**

როგორც ვხედავთ კოლექტიური ძალების ძირითად კონტინგენტს რუსი მედესანტეები წარმოადგენენ და შესაბამისად მოსკოვის ინტერესების დამცველად და მისი პოლიტიკის ძალისმიერ ინსტრუმენტად უნდა განვიხილოთ.

ამასვე ადასტურებს ის სწავლებები, რომლებიც ოპერატიული რეაგირების კოლექტიურმა ძალებმა უკვე ჩაატარეს.

პირველი სწავლება — „ურთიერთქმედება 2009“ 2009 წლის ოქტომბერში ყაზახეთში მატიბულაკის პოლიგონზე ჩატარდა.

მაშინ ორგანიზაციამ ერთიანი ძალისა და სულისკვეთების დემონსტრირება ვერ შეძლო — სწავლებაში მონაწილეობაზე ბელორუსიამ და უზბეკეთმა უარი განაცხადეს.

სომხეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი მცირერიცხოვანი დანაყოფებით (ოცეული, ასეული ან დამკვირვებელთა ჯგუფი) იყვნენ წარმოდგენილნი.

სამაგიეროდ, რუსეთმა და ყაზახეთმა იაქტიურეს და ამის ხარჯზე „ურთიერთქმედება 2009“-ში 7 ათასამდე სამხედრო, 120 ტანკი, 200 ჯავშანტრანსპორტიორი, დიდი რაოდენობით საარტილერიო სისტემა, 70 თვითმფრინავი და შვეულმფრენი მონაწილეობდა.

ოფიციალური ინფორმაციით, სწავლების მიზანი ერთობლივ ოპერაციებში ქვეყნების სამხედრო ორგანოთა ხელმძღვანელობებისა და დაჯგუფებაში შემავალი ჯარების ურთიერთმოქმედების მექანიზმების სრულყოფა იყო.

სწავლების ლეგენდა კი ასეთი იყო: პირობითმა მოწინააღმდეგემ სახელმწიფო საზღვარი დაარღვია (იგულისხმება ყაზახეთი) და ქვეყნის სიღრმისკენ გაადგილდა.

თავდასხმის მოგერიების ბრძანება ყაზახეთის არმიამ და ოპერატიული რეაგირების კოლექტიურმა ძალებმა მიიღეს და დავალების ერთობლივი შესრულება დაიწყეს.

სწავლებაში მონაწილე ქვედანაყოფებმა დაამუშავეს მოტომსროლელი და სატანკო ქვედანაყოფების, არტილერიისა და სადესანტო-მოიერიშე თუ სპეცდანიშნულების ნაწილებთან ერთობლივი მოქმედებები, სატანკო და მოტომსროლელი ქვედანაყოფების საბრძოლო წყობის ფორმები, ტაქტიკური საჰაერო დესანტის ჰაერიდან დესანტირება, ტაქტიკური ჯგუფების დამოუკიდებელი მოქმედებები, მოწინააღმდეგის თავშეყრის ადგილების ჰაერიდან განადგურება, ნავთობქიმიური საწარმოს ტერორისტებისაგან გათავისუფლება და სხვა ამოცანები.



კოლექტიურ ძალებში სპეცქვედანაყოფებიც შედიან

მომდევნო ოპერატიულ-ტაქტიკური სწავლება „ურთიერთქმედება 2010“ ოქტომბერში ჩელიაბინსკის მახლობლად ჩაბარკულის პოლიგონზე ჩატარდა და მასში 1700 სამხედრო მოსამსახურე, სამხედრო ტექნიკის 270 ერთეული, 30 თვითმფრინავი და შვეულმფრენი (Ил-76, Су-24, Су-27, Ми-8, Ми-24) მონაწილეობდა.

„ურთიერთქმედება 2010“-ზე ყველაზე შთამბეჭდავი მომენტი მაშინ დადგა, როცა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებმა 400-მდე მედესანტისა (მათ შორის 52 ყაზახეთის წარმომადგენელი იყო) და 9 БМД-2-ის დესანტირება მოახდინეს.

სწავლებას იგნორირება ისევ უზბეკეთმა გაუკეთა. ტაშკენტი ორგანიზაციასთან სამხედრო თანამშრომლობაზე თავს არიდებს.

რუსეთის გარდა სხვა ქვეყნები პატარ-პატარა ქვედანაყოფებით იყვნენ წარმოდგენილნი.

მომდევნო სწავლების ადგილად სომხეთია შერჩეული. ოპერატიულ-ტაქტიკური სწავლება „კავკასია 2012“ ქალაქ არმავირის (ყოფილი ოქტომბერიანი) მახლობლად მდებარე მარშალ ბაგრამიანის სახელობის პოლიგონზე ჩატარდება.

„კავკასია 2012“ რა სცენარისა და ძალების მონაწილეობით ჩატარდება, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ წინა სწავლებების საფუძველზე დასკვნის გაკეთება მაინც შეიძლება.

ამ სტატიის ავტორი თავის დროზე რამდენჯერმე იღებდა მონაწილეობას ამ პოლიგონზე გამართულ სამხედრო სწავლებებში.

ბაგრამიანის სახელობის პოლიგონი არც ისე დიდია, ის მხოლოდ საბატალიონო-საპოლკო სწავლებებზეა გათვლილი. შესაბამისად, იქ სწავლება დაახლოებით 1500-მდე სამხედრო მოსამსახურისა და საბრძოლო ტექნიკის რამდენიმე ათეული ერთეულის მონაწილეობით შეიძლება ჩატარდეს. პოლიგონი ასევე ზღუდავს ავიაციის გამოყენების მასშტაბსა და ფორმებს.

სწავლებაზე სომხეთისა და რუსეთის გარდა სხვა ქვეყნები ოცეულ-ასეულს გამოგზავნიან.

წინა ორ სწავლებაზე აქცენტი სადე-

სანტო, ჯავშანსატანკო, საარტილერიო და საავიაციო ქვედანაყოფთა მონაწილეობით საერთო-საჯარისო ამოცანების შესრულებაზე გაკეთდა. ეს ტენდენცია „კავკასია 2012“-ზეც შენარჩუნდება და მასაც მსგავსი მიზნები ექნება. **ოღონდ ამ შემთხვევაში სწავლება შეიძლება განვიხილოთ იმ გეგმის ნაწილად, რომელსაც კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია აზერბაიჯანის მხრიდან ყარაბაღის დასაბრუნებელ საბრძოლო მოქმედებათა წამოწყების შემთხვევაში გამოიყენებს.**

თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყარაბაღის ომის განახლებისას მოსკოვს კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებიდან სრული მხარდაჭერისა და ოპერაციაში მონაწილეობისთვის შეიარაღებული ძალების მიღება ძალიან გაუჭირდება.

აზერბაიჯანს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან საერთაშორისო პროექტები აკავშირებს და ურთიერთობათა გამწვავებას ბაქოსთან მოერიდებიან.

**ერთიანი მოქმედება, რომლის დემონსტრირებითაც მოსკოვი მუდმივად აპელირებს, ამ შემთხვევისთვის, ალბათ, არ გამოდგება. ყოველ შემთხვევაში 2010 წლის ივნისში ყირგიზეთში მიმდინარე კონფლიქტში ადგილობრივი ხელისუფლების არაერთი თხოვნის მიუხედავად, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციამ თავისი ძალები არ გამოიყენა.**

მიმდინარე წელი უნაყოფოდ რომ არ დასრულდეს, სექტემბრის პირველ ნახევარში ასტრახანთან მდებარე აშულიკის პოლიგონზე თანამეგობრობის წევრი ქვეყნების საჰაერო თავდაცვის შენაერთები და ქვედანაყოფები ერთობლივ სწავლება-მეცადინეობას გაივლიან.



სწავლება „ურთიერთქმედება 2010“-ის ერთ-ერთი ეპიზოდი

**ამ ღონისძიებას საინტერესო ლეგენდა აქვს: ანტიტერორისტული მოქმედებები კავკასიისა და ცენტრალური აზიის სასაზღვრო კონფლიქტებში.**

აშულიკის პოლიგონზე ანტიტერორისტულ მოქმედებებში გამოიყენებენ: ავიაგამანადგურებლებს — МиГ-29, МиГ-31 და Су-27, ბომბდამშენებს — Су-24, Су-34 და Ту-22М3, მოიერიშე Су-25-ებს, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს — С-300, С-200, С-75, С-125, Круг-სა და Бук-ს.

საბრძოლო სროლებში სომხეთის საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფებიც ჩაერთვებიან და მათ საშუალება ექნებათ აზერბაიჯანული საბრძოლო თვითმფრინავების (МиГ-29, Су-24, Су-25) მსგავსი საფრენი აპარატების აღმოჩენა-ჩამოგდებაში უნარ-ჩვევები სრულყონ.

**ამავე სწავლებებზე დამკვირვებლის სტატუსით აზერბაიჯანელი სამხედროებიც არიან მიწვეულნი.**

**აზერბაიჯანელებს საშუალება ექნებათ საკუთარი თვალით ნახონ, რას ნიშნავს რუსულ-სომხური საჰაერო თავდაცვა და რა შეუძლიათ სომეხ მეზენიტეებს.**

ამის შემდეგ ბაქო, ალბათ, უფრო სალად შეაფასებს ყარაბაღისთვის ომის მოგების საკუთარ შესაძლებლობებს.

მომავალი სწავლება „კავკასია 2012“ საქართველოს საფრთხეს არ უქმნის, მაგრამ საზღვრის ახლოს რუსული იარაღის დემონსტრირება ისევ დაშინებისა და შანტაჟის პოლიტიკის გაგრძელებას ემსახურება.

მოსკოვი ქართულ-ამერიკულ სწავლებებს ყოველთვის დაძაბულობის შექმნის მიზეზად განიხილავს, ხოლო რუსული ბომბები და რაკეტები კი კავკასიაში თურმე „მშვიდობის შენარჩუნებას“ ემსახურება.

**თემურ ჩაჩანიძე**

კოლექტიურ ძალებში რუსეთის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი ძალები ყაზახეთს ჰყავს





# მანევრი თანამედროვე ომებში

**„ბრძოლაში გამარჯვება მიიღწევა სისხლის ღვრით და მანევრით. უდიდესი გენერლები რაც მეტად იყენებდნენ მანევრს, მით ნაკლებად სჭირდებოდათ სისხლის ღვრა“.**

**უინსტონ ჩერჩილი**

საერთო-საჯარისო ბრძოლასა და მანევრირებას დღეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო თანამედროვე პირობებში თავად მანევრი სამგანზომილებიანი გახდა. მანევრირება შეიძლება ჰაერში, ზღვაზე, ხმელეთზე ან სამივე სივრცეში ერთდროულად. ამ დროს საბრძოლო მოქმედებებს მაღალი ტემპი, სიღრმე და განიერი ზოლი ახასიათებს.

ბევრად შეიცვალა თანამედროვე თავდაცვაც, რომელიც ახლა უფრო ორგანიზებულია და დიდ სიღრმესა და ფართო ფრონტს მოიცავს. შესაბამისად, თავდაცვის რაიონებსა და პოზიციებს შორის მანძილებიც გაზრდილია, ხოლო იქ მყოფი ძალების სამანევრო შესაძლებლობები და დარტყმის ძალა — გაუმჯობესებული.

ზემომოყვანილი პირობები საერთო-საჯარისო ბრძოლაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჯარების გადაადგილებაზე, მის მნიშვნელობაზე, ხასიათზე, შინაარსზე, ორგანიზებაზე, ამიტომაც საქართველოში მანევრის თეორიაში ყოველი სიახლე განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს.

## მანევრის არსი და მიზანი თანამედროვე ბრძოლაში

მანევრის არსისა და მიზნის გარკვევისას საჭიროა შევჩერდეთ მის განსაზღვრებაზე. ხშირად „მანევრებით“ მოიხსენიება მსხვილმასშტაბიანი სწავლება ან სწრაფად მოძრაობის უნარი.

შეიარაღებული ძალების ორგანიზებულად გამოყენების დროიდან მანევრში იგულისხმება მოწინააღმდეგეზე დარტყმის მიყენების ან მისი მოგერიების მიზნით ჯარების დანაყოფთა ორგანიზებული გადაადგილება საჭირო დაჯგუფების შექმნისა და ხელსაყრელი მდებარეობის დასაკავებლად.

მანევრს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯარების მომზადებისა და მოქმედებისთვის. მანევრირება შეიძლება როგორც ძალებით, ასევე ცეცხლით.

საჯარისო მანევრი არის დანაყოფებით, მათი ძალებისა და საშუალებებით (საბრძოლო ტექნიკა, შეიარაღება, მატერიალურ-ტექნიკური მარაგები და სხვ.) შესრულებული გადაადგილება. შეიძლება მარტივადაც ითქვას, მანევრი საშუალებას იძლევა ძალები განათავსო იქ, სადაც მოწინააღმდეგე ყველაზე ნაკლებად ელოდება და არ იყო იმ რაიონში, სადაც მოწინააღმდეგეს ეგულები.

ძალებითა და საშუალებებით მანევრირება შეიძლება ერთდროულად დანაყოფის მთელი საბრძოლო წყობით ან თანამიმდევრულად, მისი ცალკეული ელემენტით.

ძალებითა და საშუალებებით მანევრში იგულისხმება მათი ორგანიზებული გადაადგილება მოწინააღმდეგის მიმართ ხელსაყრელი ვექტორებით, რაც საცეცხლე დარტყმის შედეგთა უკეთესად გამოყენებას, მთავარი მიმართულებით დარტყმის გაძლიერებასა და ასევე თავდაცვაში მოწინააღმდეგის დარტყმის ეფექტურ მოგერიებას გულისხმობს.

როგორც წესი, ჯარები უნდა მოქმედებდნენ ცეცხლის, მანევრისა და დარტყმითი ქმედებების სინქრონიზებით.

მაგალითად, ორმაგი შემორტყმის ან ღრმა შემოვლის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორ კოორდინირებას. ამ შემთხვევებში მანევრის შემსრულებელი შეიძლება თვითონ აღმოჩნდეს მთავარ ძალებს მოკვეთილ-ბლოკირებული, ხოლო ოპერატიულ დონეზე მოწინააღმდეგესთან რამდენიმე ფრონტზე ერთდროული დაპირისპირება მოუხდეს. ამ შემთხვევებში კრიტიკულია შემბოჭავი ძალების აქტიური და გაბედული მოქმედება, რათა მანევრირებადმა კომპონენტმა შეუფერხებლივ შეძლოს ფლანგებიდან შემოვლა ან შემორტყმა.

ამასთან, მანევრირება ხდება ცეცხლითა და საბრძოლო წყობის ელემენტებით. ცეცხლი ამზადებს დარტყმას, ხოლო მანევრი განალაგებს დანაყოფებს ხელსაყრელ პოზიციებზე დარტყმის მისაყენებლად.

მანევრს სირთულის, სიმარჯვის ან სისწრაფის მიუხედავად, ბრძოლაში სასურველი შედეგი არ მოაქვს, თუკი ის მოწინააღმდეგეზე დარტყმით არ ბოლოვდება.

დარტყმა ითვალისწინებს წინ სწრაფ შეტევით გადაადგილებას და თავდაცვაში ცეცხლთან შერწყმულ კ/შეტევას, მოწინააღმდეგის საბოლოო განადგურებისა და დასახული ობიექტის (რაიონის) დაკავების მიზნით.

**საქართველოს პირობებში მოწინააღმდეგის ძლიერი საცეცხლე ზემოქმედების შემთხვევაში საბრძოლო მოქმედებებში წარმატება შესაძლებელი იქნება მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლის ყველა სახის შეთანწყობილი გამოყენებისას. ბრძოლაში ასევე აუცილებელია ჯარების სახეობათა, სპეციალური დანაყოფებისა და ლოგისტიკური ძალების მანევრირებაც.**

ძალების გადაწყობის და მთავარი დარტყმის მიმართულებების ცვლილებებთან ერთად იცვლება ამა თუ იმ ობიექტის მნიშვნელობა, რაც თავისთავად იწვევს საჰაერო დაცვის ძალთა გადანაწილებას, ხოლო საინჟინრო უზრუნველყოფის უწყვეტი ორგანიზება საინჟინრო დანაყოფებისა და საშუალებების ფართო მანევრსაც მოითხოვს.

თანამედროვე ბრძოლის მაღალმანევრულობა, საბრძოლო ვითარების სწრაფი და მკვეთრი ცვლილებები ლოგისტიკის ძალების და მატერიალური საშუალებების მოქნილ და სწრაფ გადაადგილებას საჭიროებს.



ცვლადი გარემოებებიდან გამომდინარე, ლოგისტიკის მანევრში უნდა ვიგულისხმოთ ზურგის დანაყოფების გადაადგილება (გადასროლა) ამა თუ იმ მიმართულებით. მატერიალური საშუალებების მანევრი კი გულისხმობს საბრძოლო მარაგების, საწვავის, სურსათის, სანივთე ქონების უწყვეტ მიწოდებას საჭირო დროსა და ადგილას და ა.შ.

მანევრირება აუცილებელია საჭირო ადგილას განსაზღვრული დროის ფარგლებში ისეთი დაჯგუფების ჩამოყალიბების მიზნით, რომელიც მძლავრი საცეცხლე დარტყმითა და ჯარების აქტიური ქმედებებით მოწინააღმდეგეს განადგურებას შეძლებს. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია ჯარების ერთი მიმართულებიდან მეორეზე, ზურგიდან ფრონტისკენ, ასევე მოწინააღმდეგის განლაგების სიღრმეში ძალების გადასროლით (გადაადგილებით), ახალი დაჯგუფების ჩამოყალიბებით და სხვ. მანევრი უნდა იყოს მარტივი, ფარული და მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელი.

ძალებისა და საშუალებების ხელსაყრელი დაჯგუფების შექმნა ხშირად მარტო მანევრთან დაკავშირებული არ არის და გადაჯგუფებასაც საჭიროებს. ამასთან, ორივე შემთხვევაში მიზნები შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდეს, თუმცა გადაჯგუფების გაიგივება მანევრთან დაუშვებელია.

გადაჯგუფება არის ძალებისა და საშუალებათა საწყის მდგომარეობაში ცვლილებების შეტანა და ამის საფუძველზე ახალი დაჯგუფებების შექმნა მანევრირების მიზნითაც კი.

გადაჯგუფებაში შემავალი ძალები გადაადგილდებიან ბრძოლის ველს გარეთ, არა აქვთ საბრძოლო ამოცანა და საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებენ. დანაყოფები საბრძოლო მოქმედებებს იწყებენ ბრძოლის ველთან მიახლოების მიზნით, შემდგომი საბრძოლო მოქმედებების მიმართულებებზე გასვლისთვის.

ამრიგად, მანევრი და გადაჯგუფება

**მანევრი თანამედროვე ბრძოლაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს**



ეროვნული ბიბლიოთეკა



კარგად დაგეგმილ-ორგანიზებული მანევრი დიდ უპირატესობას იძლევა

მოქმედების სხვადასხვა, თუმცა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სახეა.

## ჯარების სამანევრო შესაძლებლობები

საბრძოლო ტექნიკასთან ერთად ჯარების სწრაფად მანევრირების უნარი განისაზღვრება ტერმინით „ჯარების მანევრულობა". მანევრულობა არ არის უბრალოდ სწრაფად გადაადგილების უნარი, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია სატრანსპორტო და საბრძოლო ტექნიკის მახასიათებლებზე. ის გულისხმობს:

- ცალკეული დანაყოფის დამოუკიდებლობას;
- დანაყოფების უნარს, დაუბრკოლებლად გადაადგილდნენ ხელსაყრელი მიმართულებით მოწინააღმდეგეზე დარტყმის მიყენების მიზნით;
- საჭირო რაოდენობისა და საბრძოლო მასალის შეუფერხებლად გადატანას განსაზღვრული მიმართულებით;
- პირადი შემადგენლობის მაღალ მორალურ-საბრძოლო დონეს, საბრძოლო კვალიფიკაციასა და ფიზიკურ კონდიციებს. მანევრირებაზე ასევე უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს მოწინააღმდეგის ქმედება, ადგილმდებარეობა, ამინდი, დღე-ღამის პერიოდი და სხვ.

ჯარების მანევრულობისთვის დიდ მნიშვნელობას იძენს სამეთაურო შემადგენლობის მოწინააღმდეგის, მისი სამხედრო ორგანიზაციის, შეიარაღების სისტემათა და მოქმედების ტაქტიკის კარგი ცოდნა.

ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოწინააღმდეგის მოქმედებათა ხასიათის, ჩანაფიქრისა და თანამიმდევრულობის გამოცნობა, ხოლო მანევრისა და დარტყმის დასწრებით კი მისი გეგმების ჩაშლა.

## მანევრის სახეები და ფორმები

მანევრის სახე შეუძლებელია განისაზღვროს ბრძოლის მიხედვით, ვინაიდან ერთი და იგივე მანევრი შეიძლება შესრულდეს როგორც შეტევისას, ასევე თავდაცვაში. ასევე შეუძლებელია განისაზღვროს მხოლოდ მონაწილე ძალებისა თუ საშუალებათა მიხედვით – თანამედროვე საერთო-საჯარისო მანევრი ხშირ შემთხვევაში ერთდროულად ყველა სახის საბრძოლო, სპეციალური თუ უზრუნველყოფის ძალების მონაწილეობით ხდება.

მანევრის სახე განისაზღვრება კომპლექსურად: მოქმედების ჩანაფიქრის, მასში მონაწილე ძალებისა და საშუალებების, ორგანიზატორი ინსტანციის და რაც მთავარია იმ შედეგით, რომელიც მანევრირებამ შეიძლება მოიტანოს. შესაბამისად, გამოიყოფა ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული დონის მანევრები.

ტაქტიკური მანევრი – ბრძოლის დროს ტაქტიკურ ამოცანათა შესრულებისთვის საჭირო წინა პირობებს ქმნის და ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების ძალებით ხორციელდება. მისი სივრცობრივი მახასიათებლები ბრძოლის ჩარჩოებით შემოიზღუდება, ხოლო დროის მიხედვით – შედარებით მოკლე ვადებით. მისი მიზანი შეიძლება იყოს საცეცხლე დარტყმების გადატანა, ჯარების ძალისხმევის ვექტორის შეცვლა, ფლანგიდან ფლანგზე გადამიზნება; წინააღმდეგობის კვანძების შემოვლა, დაცვითი პოზიციების ფლანგსა თუ ზურგში გასვლა; დარტყმიდან ძალების გამოყვანა უკეთესი პოზიციების დაკავების მიზნით; ერთი მიმართულებით მოქმედი ძალების სხვა მიმართულებებიდან მოზიდული დანაყოფებით, ცეცხლითა და საშუალებებით გაძლიერება.

ცნობილი ტაქტიკური მანევრებიდან, რომლებითაც ბრძოლის ბედი გადაწყდა, შეიძლება გავიხსენოთ ალექსანდრე მაკედონელის მოქმედებები გავგამელთან (331 ჩვ.წ.აღ-მდე), ჰანიბალის – კანთან (216 ჩვ.წ.აღ-მდე), ერვინ რომელის – გაზალასთან (1942 წელს) და მრავალი სხვა.

***ვახტანგ კაპანაძე***
*ბრიგადის გენერალი,*
*გენერალური შტაბის*
*ყოფილი უფროსი*

(გაგრძელება იქნება)

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სტალინ-ბერიას აგენტურა ქართულ ემიგრაციაში

**(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N16-17, 2011)**

1938 წლის 22 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლავრენტი ბერია საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ნიკოლაი ეჟოვის პირველ მოადგილედ დანიშნეს.

1937 წლის 5 აპრილს შინსახკომის ყოფილი უფროსი, შემდეგ საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარი ჰენრიხ იაგოდა დააპატიმრეს და 1938 წლის 15 მარტს დახვრიტეს.

ნიკოლაი ეჟოვის ბედიც კარგადაა ცნობილი – ის 1940 წლის 4 თებერვალს დახვრიტეს. ასე რომ, ბუნებრივი სიკვდილით საბჭოთა კავშირში მინისტრები არ კვდებოდნენ.

15 წლის შემდეგ იგივე ბედი ეწია ლავრენტი ბერიასაც, თუმცა მანამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო.

**1938 წლის 29 სექტემბერს ლავრენტი ბერია შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს (სუმს) ხელმძღვანელიც გახდა, უფრო ადრე კი მას სახელმწიფო უშიშროების პირველი რანგის კომისრის წოდება მიანიჭეს.** მის მოადგილედ სუმს-ში დანიშნეს ბერიას ერთგული მერკულოვი, რომელსაც სახელმწიფო უშიშროების კომისრის მესამე რანგის წოდება მიანიჭეს.

იმავე 29 სექტემბერს დამტკიცდა საბჭოთა კავშირის შინსახკომის ახალი სტრუქტურა:

სახელმწიფო უშიშროების მთავარ სამმართველოში შევიდნენ შემდეგი დანაყოფები:

— 1-ელი განყოფილება (სამთავრობო დაცვა);

— მე-2 განყოფილება (საიდუმლო-პოლიტიკური, ანუ პოლიტიკური პოლიცია);

— მე-3 განყოფილება (კონტრდაზვერვა);

— მე-4 განყოფილება (განსაკუთრებული);

— მე-5 განყოფილება (უცხოეთის, ანუ საგარეო დაზვერვა);

— მე-6 განყოფილება (გასამხედროებული დანაყოფები);

— მე-7 განყოფილება (სპეციალური);

**1938 წლის 9 დეკემბერს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტი ლავრენტი ბერიამ ჩაიბარა.**

სუმს-ის უფროსად — ვ. მერკულოვი, დეკანოზოვი — მეხუთე და მესამე განყოფილებების, ქობულოვი კი მეორე განყოფილების უფროსად დანიშნეს. ისინი, კიდევ ბევრ სხვა ერთგულ ხალხთან ერთად, ბერიამ საქართველოდან წაიყვანა.

ბერიას დაწინაურება და საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოსტზე დანიშვნა სტალინის შორს მიმავალი გეგმის ნაწილი იყო. დიდი დიქტატორი უკვე სამოც წელს იყო მიახლოებული, უფრო ეჭვიანი გახდა და ხელისუფლებაში ახალგაზრდა კადრების დაწინაურებით ცდილობდა კვლავ სრულ კონტროლში ჰყოლოდა „ძველი გვარდია“ (მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, კალინინი და სხვ.).

ლავრენტი ბერია სწორედ ის პიროვნება იყო, რომელიც მის დავალებებს სწრაფად და უსიტყვოდ ასრულებდა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სტალინი ბერიას ჯერ კიდევ 1923 წლებიდან აკვირდებოდა. ახალგაზრდა ქართველი ჩეკისტის ავტორიტეტი ბელადის თვალში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ ამაღლდა.

ბერიამ ასევე ისახელა თავი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წინაალ-



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



**შინსახკომის ყოფილი უფროსი ასევე დახვრეტილი ჰენრიხ იაგოდა**

მდეგ ოპერატიულ-აგენტურული ოპერაციების დაგეგმვა-ჩატარებაში.

ბერიასთვის უმნიშვნელოვანესი კი მაინც 1930 წლის 7 დეკემბერს პარიზში ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერის, ნოე რამიშვილის მკვლელობის ორგანიზება იყო. ლავრენტიმ სტალინის თვალში გამოცდა „წარმატებით ჩააბარა“ და მალევე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 1931 წლის ოქტომბერში საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი, ხოლო ზუსტად ერთი წლის შემდეგ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი გახდა.

1938 წელს კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბერია უკვე მოსკოვში გადაჰყავთ.

რა დამსახურებისთვის დააწინაურა სტალინმა ბერია, რომელსაც პარტიული მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა და მის დანიშვნას საქართველოში ბევრი მოწინააღმდეგ ჰყავდა?

ლავრენტის აქტივში ერთადერთი პლუსი ათწლიანი ჩეკისტური მუშაობა იყო. 1921-1931 წლებში ლავრენტი ბერიას მონაწილეობით თუ მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული ოპერაციების უმრავლესობა ჯერ კიდევ უცნობია.

ერთი კი დანამდვილებით ვიცით: 1931 წლიდან ლავრენტი ერთგულად ასრულებდა ბელადის დავალებებს. სტალინს კი თავიდან მოსაცილებელი საბჭოთა კავშირშიც ბევრი ჰყავდა და ემიგრაციაშიც.

საინტერესოა ერთი დეტალიც: სტალინის მიერ კრემლის კაბინეტში მიღების ჟურნალებში ბერიას გვარი პირველად 1932 წლის 9 ოქტომბერს დაფიქსირდა. ბელადთან აუდიენცია ერთი საათი გაგრძელებულა: ბერია სტალინის კაბინეტში 17-45 საათზე შევიდა და 18-45 საათზე გამოვიდა.

სავარაუდოდ, ეს შეხვედრა ბერიას ახალ პოსტზე დანიშვნას ეხებოდა. ამჟამად ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის შეხვდნენ სტალინი და ბერია პირველად ერთმანეთს, არ არსებობს. ერთი კი შეიძლება ითქვას: დიდი დიქტატორი ბერიას ყველაზე საიდუმლო და რთულ დავალებებს აძლევდა.

1940 წლის 5 ნოემბერს ბერიას მიერ ცეკაში გაგზავნილი სრულიად საიდუმლო მოხსენება პირადად სტალინისთვის იყო განკუთვნილი, რადგანაც ბუნებით ეჭვიანი ბელადი არავის ენდობოდა, ყველაფერს თვითონ უნდა გასცნობოდა და გაეკონტროლებინა. სპეცსამსახურების მნიშვნელოვანი ოპერაციების ოპერატიულ საკითხებს აუცილებლად მასთან ათანხმებდნენ და წარდგენილ გეგმებში შესწორება-შენიშვნები შეჰქონდა.

ხშირად თვითონაც ორიგინალურ იდეებს სთავაზობდა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ისტორიაში არ არსებობდა დიქტატორი, რომელიც სტალინის დარად იყენებდა სპეცსამსახურების შესაძლებლობებს. ჯაშუშობა, დეზინფორმაციის გავრცელება, ფარული მოსმენები და ბოლოს, მისთვის მიუღებელი პოლიტიკური ოპონენტების ლიკვიდაცია, ეს ყველაფერი საბჭოთა დიქტატორის პირადი ძალაუფლების გამყარებას ემსახურებოდა.

მიზნის მისაღწევად სტალინისთვის არ არსებობდა არც სამართლებრივი ან მორალური დაბრკოლება. ის კრიტიკას, კამათს ვერ იტანდა და პიროვნულ წყენაში გადაჰქონდა, რასაც არასდროს ივიწყებდა და ამის შემდეგ ოპონენტს მისი ჯალათები მოსკოვშიც და პარიზშიც უსწორდებოდნენ.

სტალინი რომ თავად კითხულობდა ოპერატიულ ინფორმაციას და ზედ საინტერესო რეზოლუცია-დავალებებს აწერდა, საიდუმლო დოკუმენტებიც ადასტურებს. სანამ „ბერიას დოკუმენტს“ კვლავ მივუბრუნდებით, მკითხველს გვინდა ერთი ამგვარი დოკუმენტი გავაცნოთ:

„ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ბატონობს სხვებზე“, — ეს ჭეშმარიტება ერთ-ერთმა პირველმა იოსებ სტალინმა გამოიყენა პრაქტიკაში.

1922 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის თავდაპირველად შედარებით უმნიშვნელო პოსტზე დანიშნულმა, მან შემდგომში მდგომარეობა იმით განიმტკიცა, რომ ჯერ პოლიტიკურად, ხოლო შემდეგ კი ფიზიკურად გაანადგურა მოწინააღმდეგენი. ამ საიდუმლო ოპერაციებში სტალინის უპირატესობა ის იყო, რომ ფარულად უსმენდა ოპონენტების სატელეფონო საუბრებს და ადრევე იცოდა მათი მიზან-ზრახვანი.

პირველ ეტაპზე, როცა საბჭოთა სპეცსამსახურებს სტალინის ერთგული კადრები ჯერ კიდევ არ ხელმძღვანელობდნენ, ეს დელიკატური მისია მის ერთგულ თანაშემწეებს ევალებოდათ. თუმცა საკუთარ კაბინეტში მოწყობილი პულტიდან მას თავადაც შეეძლო ქვეყნის იმ უმაღლესი თანამდებობის პირების, მწერლების და ხელოვნების მუშაკების ფარული მოსმენა, რომელთაც ნომენკლატურული თანამდებობების გამო სპეცტელეფონები ედგათ და სპეცსატელეფონო სადგურებიდან ემსახურებოდნენ.

ბორის ბაჟანოვი (1900-1982 წ.წ.) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს ტექნიკური მდივანი 1923-1927 წლებში იყო და იმ პერიოდში სტალინთან ყოველდღიური შეხვედრები ჰქონდა. ის ამზადებდა პოლიტბიუროს დღის წესრიგს და ხელმძღვანელობდა ყველა ორგანიზაციული საკითხის გადაჭრას, ამიტომაც მას სტალინის კაბინეტში წინასწარ შეუთანხმებლად შესვლის უფლება ჰქონდა.

1928 წლის 1-ელ იანვარს ბორის ბაჟანოვმა არალეგალურად გადაკვეთა ირანის საზღვარი და უცხოეთში გაიქცა. 1929-1930 წლებში საფრანგეთის გაზეთებში იბეჭდებოდა მისი მოგონებები. სტალინი იმდენად ყოფილა დაინტერესებული ამ პუბლიკაციებით, რომ გაზეთს გამოსვლის დღესვე მოსკოვში უგზავნიდნენ.

ბაჟანოვი მოგონებებში აღწერს ერთ საინტერესო შემთხვევას: „სტალინის კაბინეტში მოულოდნელად შესულმა დაინახა, რომ სტალინს ხელში ტელეფონის ყურმილი ეკავა და დაძაბული უსმენდა. გავიდა საკმაო დრო – სტალინი კვლავ უსმენს, თავად კი ხმას არ იღებს. სტალინის მაგიდაზე კი ხელუხლებელი დევს ოთხი ტელეფონი. მათ შორის ერთი, ყველაზე საიდუმლო ე.წ. „ვერტუშკა“ (სსრკ პარტიული და სამთავრობო სატელეფონო კავშირის დახურული სისტემა), რომლითაც მხოლოდ 200-მდე აბონენტი სარგებლობდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეამჩნია ბაჟანოვმა, რომ სტალინს სულ სხვა, მეხუთე ტელეფონის ყურმილი ეკავა, რომლის სადენიც სტალინის სამუშაო მაგიდის ერთ-ერთი მოზრდილი უჯრისკენ მიიკლაკნებოდა. ამ დროს სტალინმაც აიხედა და გამგმირავი მზერა ტექნიკურ მდივანს მიაპყრო. ბაჟანოვმა ბოდიში მოიხადა და კაბინეტი დატოვა“.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება ის ფაქტი, რომ ჩეკას თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელიქს ძერჟინსკის „ვერტუშკის“ ნომერი 007 იყო, რაც შემდეგში ცნობილი ინგლისელი მწერლის იან ფლემინგის ნაწარმოებების მთავარი გმირის, ჯეიმს ბონდის ოპერატიული ფსევდონიმი გახდა. ბუნებრივია, ამ ფაქტს ერთმანეთთან პირდაპირი კავშირი არა აქვს და მხოლოდ დამთხვევაა.

ბაჟანოვის მტკიცებით, სტალინი იმ საიდუმლო ტელეფონით სწორედ ე.წ. „ვერტუშკას“ უსმენდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ამ ფარული მოსმენების ტექნიკურ მხარეზე პასუხისმგებელი სტალინის სხვა ტექნიკური მდივანი – გრიგორი კანერი ყოფილა. მისი თქმით, „ვერტუშკაც“ და ფარული მოსმენის აპარატურაც ერთ ჩეხოსლოვაკიელ ინჟინერს დაუმონტაჟებია, რომელსაც მალე ჯაშუშობა დააბრალეს და დახვრიტეს.

შემდეგ წლებში „ვერტუშკა“ „ვეჩეთი“ შეიცვალა და სტალინის ამგვარ დავალებებს მისი ერთგული სახკომები და მინისტრები: იაგოდა, ეჟოვი, ბერია, მერკულოვი, აბაკუმოვი, კრუგლოვი და იგნატიევი ხელმძღვანელობდნენ. ქვემოთ გვინდა მკითხველს ერთი სრულიად საიდუმლო დოკუმენტის თარგმანი შევთავაზოთ, **საიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ მნიშვნელობას ანიჭებდა სტალინი ფარულ სატელეფონო მოსმენებს:**

„სკპ(ბ) ცეკას მდივან სტალინს

სსრკ შინსახკომი 22 მარტი 1937 წ.

№ 56360

გიგზავნით სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს ოპერატიული განყოფილების ინჟინრის იგორ ვასილის ძე ვინეცკის დაკითხვის 4 ოქმს. ვინეცკი სსრკ შინსახკომში მუშაობდა 1928 წლიდან და საიდუმლო სატელეფონო ტექნიკა, მათ შორის მაღალი სიხშირის „ვჩ“-ს სადგურიც ებარა. ის 1928-1933 წლებში შინსახკომის საიდუმლო მუშაობისთვის საჭირო სატელეფონო მოწყობილობების შეძენის მიზნით საზღვარგარეთ არაერთხელ გაიგზავნა.

1929 წელს, იმყოფებოდა რა ბერლინში, ვინეცკი გადაიბირა გერმანიის სამხედრო დაზვერვამ, რომლის დავალებითაც სადაზვერვო ხასიათის დავალებებს ასრულებდა. ვინეცკი სისტემატურად უსმენდა „ვჩ“-ს ხაზით პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების საუბრებს, რომელთა შინაარსს გერმანიის სამხედრო დაზვერვას გადასცემდა მათი აგენტების, ფირმა „სიმენსის“ წარმომადგენლების: შვარცის, ბერგმანისა და ერუზალიმ-ვალტერის მეშვეობით.

ყურადღებას იპყრობს ვინიცკის ჩვენება იმის შესახებ, რომ იაგოდას სპეციალური დავალებით მან საზღვარგარეთ შეიძინა „ვჩ“-ს ხაზის მოსასმენი განსაკუთრებული აპარატი, რომელიც იაგოდას კაბინეტში იქნა დაყენებული. ეს აპარატი მოხსნეს რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე მე შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დავინიშნებოდი.

ჩემი არაერთგზის შეკითხვის მიუხედავად, ვოლოვიჩი მატყუებდა და მარწმუნებდა, რომ იაგოდას მხოლოდ ჩვეულებრივი, საქალაქო სატელეფონო ქსელის მოსასმენი აპარატი ჰქონდა.

ვოლოვიჩი დაპატიმრებულია (უშიშროების უფროსი მაიორი, რაც არმიაში პოლკოვნიკის სამხედრო წოდების ტოლფასი იყო, ზახარ ილიას ძე ვოილოვიჩი, რომელიც იმ პერიოდში ოპერატიული განყოფილების უფროსის მოადგილე იყო – ბ. ა.).

**სტალინი თავის თანამებრძოლებსაც არ ინდობდა, ნიკოლაი ეჟოვი დახვრეტილთა შორის აღმოჩნდა**



სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისარი ეჟოვი“.

ამ დოკუმენტიდან ყველაზე საინტერესო კი მაინც სტალინის რეზოლუციაა: „გამომძიებელმა არ იცის საქმე, ის თითქმის პასიურია დაკითხვის დროს. საქმე ძალზე სერიოზულია, გამომძიებელი კი ისე ეკიდება, როგორც ჩვეულებრივ საქმეს“

ამ საქმის გამომძიებელს სტალინის რეზოლუციის შემდეგ კარგი ბედი რამ არ ეწეოდა, ცხადია. თავად ვინეცკი კი 1937 წლის 14 აგვისტოს დახვრიტეს, როგორც გერმანიის ჯაშუში.

მართლაც უსმენდა ფარულად იაგოდა პარტიისა და მთავრობის ლიდერებს და მათ შორის სტალინს, თუ ის მისი შემცვლელის, ნიკოლაი ეჟოვის ინტრიგებს შეეწირა?

დღევანდელი გადასახედიდან ძნელი დასადგენია, რა ფაქტორმა ითამაშა სტალინისთვის გადამწყვეტი როლი: იმან, რომ ჰენრიხ იაგოდა (რომელმაც ბევრი მისი დავალება შეასრულა და ძალზე ბევრი საიდუმლო იცოდა) უკვე მოსაცილებელი იყო, თუ იმ ფაქტმა, რომ ვიღაცამ მას მონოპოლია წაართვა და მის უნებართვოდ სატელეფონო საუბრებს ფარულად უსმენდა?

სტალინი ყოველთვის ახალისებდა დაპირისპირებას და ინტრიგებს სპეცსამსახურების ხელმძღვანელობაში. კარგად იცოდა, რომ ორივე დაპირისპირებული მხარე მასთან მიიტანდა ერთმანეთის შესახებ მოპოვებულ კომპრომატებს. დიქტატორსაც სხვა რა უნდოდა?

**მთელი ეს მსჯელობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა: სტალინი პირადად ხელმძღვანელობდა საბჭოთა სპეცსამსახურების მნიშვნელოვან ოპერაციებს.**

„ბერიას დოკუმენტი“ უშუალოდ სტალინისთვის იყო განკუთვნილი. მიუხედავად იმისა, რომ ბერია ფორმალურად სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მოლოტოვს ექვემდებარებოდა, უმნიშვნელოვანესი სადაზვერვო ინფორმაცია თავდაპირველად სტალინთან მიდიოდა, ხოლო შემდეგ ის თავად წყვეტდა პოლიტბიუროს რომელი წევრისთვის გაეცნო საიდუმლო დოკუმენტი.

*ბესიკ ალადაშვილი*

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...



ANAMA-ს აღმოჩენილი აუფეთქებელი საბრძოლო საშუალებები

## აზერბაიჯანი

● განაღმვის ეროვნულმა სააგენტო ANAMA-მ თურქეთში გაგზავნა ნაღმების გასაუვნებელი მანქანა Bozena 5, რომელიც სირიის საზღვრის მახლობლად ქალაქ გაზიანთეფეს რაიონში გამოიყენეს.

● 22 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის გამო ფიზულის რაიონში დაიჭრა ლეიტენანტი აკიფ შაქირ ოღლი აბდიევი.

● იცვლება სამხედრო სამსახურში გაწვევის კანონი. ცვლილება შეეხება ოჯახების ერთადერთი მარჩენალი ვაჟების სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლებას, მაგისტრატურის სწავლის პერიოდში მყოფი ახალგაზრდებისთვის გაწვევის გადავადებას და სხვ.

● აზერბაიჯანის ეროვნული საავიაციო აკადემია მონაწილეობდა მოსკოვის საერთაშორისო ავიაკოსმოსურ გამოფენა МАКС-2011-ში.

● 17 აგვისტოს სომხეთში საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა მოინახულეს ტყვეობაში მყოფი აზერბაიჯანის არმიის უმცროსი სერჟანტი რომან ჰუსეინოვი, რომელიც სომხებმა 2010 წლის 27 აგვისტოს დაატყვევეს. მას გადასცეს ოჯახის წერილი და მისგან საპასუხო წერილიც მიიღეს. შემოწმდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ტყვეობაში ყოფნის პირობები.

● ილისში ANAMA-მ ნაღმებისა და აუფეთქებელი საბრძოლო მასალებისგან კიდევ 2.232.269 კვმ ტერიტორია გაასუფთავა. აღმოჩენილ-განადგურებულია 493 აუფეთქებელი ჭურვი, 9 ტანკ და 4 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი. მთლიანობაში ANAMA-ს გასუფთავებული აქვს 167.029.079 კვმ ტერიტორია. აღმოჩენილ-განადგურებულია 662 ათას 466 ნაღმი და აუფეთქებელი საბრძოლო მასალა. ივლისში ასევე აღინიშნა 2 უბედური შემთხვევა, რომლის შედეგადაც ბავშვი დაიღუპა, ხოლო 1 სამოქალაქო და 1 სამხედრო პირი დაიჭრა.

## სომხეთი

● თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ივლისში აზერბაიჯანმა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 1100-ჯერ მეტად დაარღვია, საიდანაც 250 შემთხვევა სომხეთის საზღვრის გასწვრივ, დანარჩენი კი ყარაბაღში აღინიშნა. სროლების დროს აზერბაიჯანმა 468-ჯერ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი ДШК და КПТВ, 110-ჯერ ტყვიამფრქვევი Утес-ი, 371-ჯერ სნაიპერული შაშხანა СВД და 199-ჯერ მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა Black Arrow გამოიყენა. სომხეთის შეიარაღებული ძალები მკაცრად ინარჩუნებდნენ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს და საპასუხო ცეცხლს მხოლოდ უკიდურეს ვითარებაში ხსნიდნენ.

● 21 აგვისტოს თავდაცვის მინისტრი სეირან ოჰანიანი სრულიად სომხური ახალგაზრდული ფესტივალის „ბაზე-2011"-ის მონაწილეებს შეხვდა და სიტყვითაც გამოვიდა. მინისტრის თქმით, აზერბაიჯანის რიცხობრივ უპირატესობას სომხეთის არმია მაღალ ბრძოლისუნარიანობას დაუპირისპირებს, რომელიც მხოლოდ საუკეთესო სამსახურით მიიღწევა. ფესტივალ „ბაზეს" პირველი ეტაპი 22-31 ივლისს ბიურაკანში ჩატარდა და მასში მთელი სომხეთიდან ჩამოსული 19-30 წლის 700 ახალგაზრდა მონაწილეობდა. მეორე ეტაპს 20-24 აგვისტოს წახკაძორმა უმასპინძლა, სადაც სომხეთიდან, ყარაბაღიდან და საქართველოს ჯავახეთიდან ჩასული 350 ახალგაზრდა შეიკრიბა.




გიუმრის 102-ე რუსული სამხედრო ბაზა

● რუსული 102-ე სამხედრო ბაზის სამხედრო მოსამსახურე 19 წლის გალემჯან აუბეკეროვი სწავლების დროს დაიღუპა და ამასთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

## ჩრდილო კავკასია

● სამხრეთის სამხედრო ოლქის 24 პოლიგონზე, ასევე რუსულ სამხედრო ბაზებზე სომხეთში, ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მთელი აგვისტო გაგრძელდა სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების ინტენსიური საბრძოლო მომზადება. საველე პირობებში საბანაკო შეკრებები 19 ათასზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა, რისთვისაც 3 ათასზე მეტი საბრძოლო და სპეციალური ტექნიკის ერთეული იქნა გამოყენებული.

● ყაბარდო-ბალყარეთში უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა 33 წევრი ფედერალურ, 10 კი — საერთაშორისო ძებნაშია. რესპუბლიკის პროკურატურის ინფორმაციით, განვლილ 6 თვეში დაკავებულია უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა 50 წევრი და მათი ხელშემწყობი, ხოლო 48 კი ლიკვიდირებულია.

● ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე ტერორისტთა ხუთკაციანმა ჯგუფმა შეაღწია და სავარაუდოდ 30 აგვისტოსთვის პოლიციის განყოფილებებსა და პოსტებთან ტერაქტების მოწყობას აპირებენ. ხუთივე ახალგაზრდა ჩეჩნეთის მკვიდრია.

● ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრ რუსლან ალხანოვის თქმით, განვლილი 6 თვის მანძილზე რესპუბლიკაში ლიკვიდირებულია 30 ბოევიკი, 80 დაკავებულია და 21 კი პოლიციას ნებით ჩაბარდა. შარშან ჩეჩნეთში 90 ბოევიკი იქნა ლიკვიდირებული.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● საოკუპაციო ჯარების სასაზღვრო ქვედანაყოფებში ოფიცერთა როტაცია დაიწყო. ოფიცერთა დაახლოებით 20% სამსახურის ადგილის შეცვლას ითხოვს. ამჟამად მათი რიცხოვნება დაახლოებით 1200 მოსამსახურეს შეადგენს.

● 14 აგვისტოს სოხუმში ომის დაწყების მე-19 წლისთავი აღინიშნა და ყუბანელები გაიხსენეს. ომში დაახლოებით 200-მდე ყუბანელი კაზაკი მონაწილეობდა და 50 მათგანი დაიღუპა, ხოლო 100-მა კი სხვადასხვა ჯილდო მიიღო.

● საგანგებო სიტუაციათა სამმართველოს თანამშრომლებმა „ცაბალის" პოლიგონზე აუფეთქებელი საბრძოლო მასალები გააუვნებლეს. განადგურდა 4 საარტილერიო ჭურვი და 1 ნაღმსატყორცნის ნაღმი, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები, რამდენიმე ხელყუმბარა და ცეცხლსატყორცნი „შმელი". ეს საბრძოლო საშუალებები ბოლო 3,5 თვეში ოჩამჩირის რაიონსა და სოხუმში იპოვეს.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 14 აგვისტოს [illegible] სამხრეთ ოსეთის არმიას ახალ[illegible] 53 წვევამდელმა ფიცი მიიღო.

● 22-26 აგვისტოს საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზის პირადმა შემადგენლობამ ტაქტიკური სწავლება ჩაატარა. სწავლებაში 700-ზე მეტი სამხედრო და საბრძოლო ტექნიკის 150-ზე მეტი ერთეული მონაწილეობდა. ქვედანაყოფებმა მარში ბაზის მეთაურის პოლკოვნიკ ალექსანდრ შუშუკინის ხელმძღვანელობით განახორციელეს, რომლის დროსაც დამუშავდა მოქმედებები მოწინააღმდეგის ავიაციის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების პირობებში.

### თვითაღიარებული ყარაბაღი

● თავდაცვის მინისტრ მოვსეს აკოფიანის თქმით, თვითაღიარებული რესპუბლიკის არმიის საბრძოლო პოტენციალი დაახლოებით 20%-ით გაიზარდა. მინისტრის განმარტებით, მოხერხდა პირადი შემადგენლობის საგანმანათლებლო ცენზის ამაღლება, შეიქმნა სამეთაურო შემადგენლობის შესაცვლელი ბაზა, გაუმჯობესდა შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის რაოდენობა-ხარისხი. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ გახშირდა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის შემთხვევები. თუ გასულ წელს 2595 შემთხვევა დაფიქსირდა, წელს ამ მაჩვენებელმა უკვე 6566-ს მიაღწია.

***თემურ ჩაჩანიძე***

ცხინვალის რეგიონში ოკუპანტებმა აგვისტოს თვე სწავლებებში გაატარეს



ეროვნული ბიბლიოთეკა



# МАКС-2011

16 აგვისტოს მოსკოვის შემოგარენში ჟუკოვსკში, გრომოვის სახელობის საფრენოსნო-საცდელი ინსტიტუტის ტერიტორიაზე მოსკოვის მორიგი საერთაშორისო ავიასალონი МАКС-2011 გაიხსნა. ტრადიციისამებრ, გამოფენა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ აგვისტოს შუა რიცხვებში ტარდება. წლევანდელი ავიასალონი საიუბილეო, რიგით მეათე იყო.

წლევანდელი სალონი სიახლეებით გამოირჩეოდა და იქ ეს უპირველესად წარმოდგენილ ტექნიკაზე ითქმის.

მთავარი სიახლე, რა თქმა უნდა, რუსული მეხუთე თაობის გამანადგურებლის საჯარო ფრენა იყო. ჩანს, რუსებმა მთელი მსოფლიოსთვის საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება სრული მასშტაბით მოისურვეს და გამოფენაში ერთდროულად ПАК ФА-ს პროგრამის ორი საცდელი თვითმფრინავი Т-50 მონაწილეობდა. ორივე ყოველდღიურად 15-წუთიან სადემონსტრაციო ფრენას ასრულებდა.

გამოფენაზე ცნობილი გახდა, რომ ამჟამად „სუხოის“ ფირმა თვითმფრინავის კიდევ ორ პროტოტიპს — Т-50-3-სა და Т-50-4-ს აშენებს, რომლებიც საგამოცდო პროგრამას 2012 წელს შეუერთდებიან.

2013-ში კი პირველი სერიული თვითმფრინავები უკვე რეგულარულ სამხედრო ნაწილებს გადაეცემათ. გარდა ამისა, „სუხოის“ დირექტორის განცხადება თუ სარწმუნოა, მსოფლიო ბაზარზე დაახლოებით 600-მდე თვითმფრინავის გაყიდვა იგეგმება, საიდანაც 200-სს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები შეიძენს, იმავე რაოდენობას — ინდოეთი, ხოლო დანარჩენს კი სხვადასხვა ქვეყანა.

სხვათა შორის, გამოფენაზე მომხდარი ერთი ინციდენტი ამ თვითმფრინავთან არის დაკავშირებული. 21 აგვისტოს აფრენისას ერთ-ერთ პროტოტიპზე მარჯვენა ძრავის პომპაჟი მოხდა და მფრინავმა მკვეთრი დამუხრუჭება გამოიყენა. ამის შემდეგ მას საფრენოსნო პროგრამაში მონაწილეობა აღარ მიუღია.

წლევანდელი ავიასალონი წარმოდგენილი საფრენოსნო აპარატების რაოდენობითაც მასშტაბური იყო. იქ სხვადასხვა ტიპის 241-მა თვითმფრინავმა და შვეულმფრენმა მოიყარა თავი.

ყველაზე მასშტაბური ექსპოზიცია ავიასალონის მასპინძელ ქვეყანას ჰქონდა. МАКС-2011-ზე რუსებმა გამოიყვანეს გამანადგურებლები —




ახალი Ми-26Т2 და Ми-28Н

Су-35БМ, Су-30МК2, Су-27СМ, МиГ-29СМТ, МиГ-29ОВТ, МиГ-29КУБ, МиГ-31Б, МиГ-35, საფრონტო ბომბდამშენები — Су-24М2 და Су-34, მოიერიშე — Су-25СМ, სტრატეგიული ბომბდამშენები — Ту-95МС და Ту-160, შორი რადიოლოკაციური აღმოჩენის თვითმფრინავი А-50М და სხვ.

მრავალფეროვანი იყო შვეულმფრენების ექსპოზიცია, სადაც შეიძლებოდა „ალიგატორის“, Ми-26-ის, ახალი Ми-26Т2-ის, Ми-8МТВ-5-ის, Ми-28Н-ის, Ми-38-ის და მსუბუქი „ანსატის“ ნახვა. ჩამოთვლილი საფრენი აპარატების უმეტესობა ყოველდღიურ საფრენოსნო პროგრამებში მონაწილეობდა.




ტრადიციისამებრ, ავიასალონის უცვლელ სტუმრებს ამერიკელები წარმოადგენენ. წელს მათ 12 თვითმფრინავი ჰყავდათ ჩამოყვანილი. მათ შორის იყო სტრატეგიული ბომბდამშენი B-52, ტანკერი KC-10, ორი მოიერიშე — A-10, გამანადგურებლები F-15E და F-16, სატრანსპორტო თვითმფრინავები C-5A და C-130J.

ყოველდღიურად ფრანგული „რაფალი“ ჰაერში სადემონტრაციო პროგრამას ასრულებდა.

წლევანდელ გამოფენაზე რუსული საპილოტაჟო ჯგუფები დომინირებდნენ. 2009 წლის ავიასალონზე მომხდარი კატასტროფის შემდეგ, ჯგუფი „რუსკიე ვიტიაზი“ აღდგა და „სტრიჟებთან“ ერთად ჟუკოვსკის ცაში ფიგურით „კუბინკას ბრილიანტი“ დაფრინავდნენ.

მოწვეული სტუმრების სახით ჩეხურ ორადგილიან L-39-ზე ბალტიისპირელთა საპილოტაჟო ჯგუფი Baltic Bees-ი დაფრინავდა.

გაურკვეველი მიზეზის გამო წელს ავიასალონზე არც იტალიური და არც ფრანგული საპილოტაჟო ჯგუფები არ ყოფილან.

ბევრი სიახლე იყო სამოქალაქო ავიაციაშიც. ჟუკოვსკის ევროპული გიგანტი A380 სტუმრობდა. „ეირბასის“ საგამოცდო ეგზემპლარი სალონზე 6 დღე იყო და სადემონსტრაციო ფრენებსაც ასრულებდა.

ამერიკიდან კი Boeing 787 Dream Liner-ი ჩამოფრინდა. სხვათა შორის, ეს თვითმფრინავი რუსეთში პირველად ჩამოფრინდა, მაგრამ „ოცნების ლაინერი“ ჟუკოვსკში მხოლოდ ორი დღე დაჰყო. 17 აგვისტოს თვითმფრინავი მორიგ გამოცდებზე გაფრინდა.

რუსები აქტიურ რეკლამას უწევდნენ სუხოის Super Jet-სა და ახალ ლაინერ MC-21-ს.

რა თქმა უნდა, გაფორმდა კონტრაქტებიც. 16 აგვისტოს რუსულმა UTair-მა 40 შვეულმფრენი შეიძინა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი რუსული კომპანია „ეირბასს“ შასის დასამზადებლად ტიტანის დეტალებს მიაწვდის. გარიგების ღირებულება უცნობია.

იმავე დღეს რუსეთის თავდაცვის უწყებამ გაავრცელა ცნობა, რომ გადაიარაღების პროგრამის ფარგლებში რუსეთის არმია 100 სატრანსპორტო თვითმფრინავს შეიძენს და მათ შორის მოდერნიზებული „რუსლანები“ და ახალი Ил-476-ები იქნება.

როგორც ჩანს, რუსულმა „აეროფლოტმა“ თვალი დაადგა ევროპულ გიგანტს. სალონის მსვლელობისას კომპანიების წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები გაიმართა, სადაც A380-ის „აეროფლოტის“ მარშრუტებზე გამოყენების შესაძლებლობა განიხილებოდა. ცნობისთვის: ერთი ლაინერის საშუალო ღირებულება 345 მლნ დოლარია.

17 აგვისტოს რუსულმა კომპანია „პოლეტმა“ 15 „რუსლანზე“ გააკეთა შეკვეთა, რითაც შესაძლებელი გახდა ამ ტიპის თვითმფრინავების სერიული წარმოების აღდგენა.

კომპანია Ильюшин Финанс-მა კანადური „ბომბარდიესგან“ 20 საშუალო-მაგისტრალური CS სერიის თვითმფრინავი შეიძინა.

გარიგების ფასი უცნობია. თვითმფრინავი საშუალოდ 48

**მსოფლიო დონის პრემიერა МАКС-ზე — ევროპული გიგანტის საპასუხოდ აშშ-დან „ოცნების ლაინერი“ ჩამოფრინდა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



МиГ-29ОВТ

მლნ ღირს და ბორტზე 100-დან 145-მდე მგზავრის მიღება შეუძლია.

მოგვიანებით ამავე კომპანიამ კორპორაცია „ირკუტისგან“ 50 საშუალო-მაგისტრალურ MC-21-ზე გააფორმა კონტრაქტი. მისი ღირებულება 2,2 მლრდ დოლარად შეფასდა. პირველ თვითმფრინავს დამკვეთი 2017 წელს მიიღებს.

თვითმფრინავების ანალოგიური რაოდენობა „როსტეხნოლოგიამაც“ შეიძინა და 2017-22 წლებში მისი ავიაპარკი 15 MC-21-200-ითა და 35 MC-21-300-ით შეივსება.

MC-21-ს (XXI საუკუნის მაგისტრალური თვითმფრინავი) მოდიფიკაციის მიხედვით 150-დან 230 მგზავრი მაქსიმალურ 5 ათას კმ-ზე გადაჰყავს. პირველი ფრენა 2014 წლისთვის იგეგმება. ახალი სამგზავრო ლაინერის პროგრამა 190 მლრდ რუბლად არის შეფასებული. შედარებისთვის: Super Jet-ის პროექტი მხოლოდ 42 მლრდ რუბლი დაჯდა.

წლევანდელი ავიასალონი კონტრაქტების მასშტაბურობითაც გამოირჩეოდა. ზუსტი ციფრი უცნობია, სავარაუდოდ, ჯამური ღირებულება 10 მლრდ დოლარს აღემატება. ამ თანხის უმეტესი ნაწილი, დაახლოებით 7,5 მლრდ დოლარი, რუსულ გაერთიანებულ ავიამშენებელ კორპორაციაზე მოდის.

МАКС-2011-ში მსოფლიოს 30 ქვეყნის 842 კომპანია მონაწილეობდა. 16-დან 18 აგვისტოს ჩათვლით გამოფენა მხოლოდ საპატიო სტუმრებსა და პოტენციურ მყიდველებს იღებდა, ხოლო მომდევნო სამი დღე ნებისმიერ მსურველს შეეძლო მისი დათვალიერება.

**ალექსანდრე აფაქიძე**



გამოფენაზე ერთდროულად ორი T-50-ის გამოჩენა სრული მოულოდნელობა იყო



წლევანდელ МАКС-ზე მსოფლიოს 30 ქვეყნიდან 241-მა საფრენმა აპარატმა მიიღო მონაწილეობა. გაფორმებულ კონტაქტების ღირებულებამ კი 10 მლრდ დოლარს გადააჭარბა



# „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფება“ ფრანგული შავი სამყაროს მეფეები

„ისლამური შეიარაღებული დაჯგუფება“ („აჯ-ჯამაა ალ-ისლამიია ალ-მუსალლაჰა“) საკმაოდ მრავალრიცხოვანი ალჟირული ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც უკვე 20 წელზე მეტია, რაც საფრანგეთის ტერიტორიაზე მოქმედებს და შავი სამყაროს გავლენიან გაერთიანებად ითვლება. „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფება“ 2007 წლიდან ევროკავშირმა, აშშ-მა, თურქეთმა, თავად ალჟირმა და რამდენიმე სხვა არაბულმა ქვეყანამ ოფიციალურად ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა. დაუზუსტებელი მონაცემებით, ორგანიზაციას 3 ათასამდე წევრი უნდა ჰყავდეს, მათში იგულისხმებიან როგორც აქტივისტები, ისე მხარდამჭერები. „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფება“ არსებითად მაფიის ტიპის ორდენულ-კრიმინალური ორგანიზაციაა და შარიათის ნორმებით ხელმძღვანელობს.

## „არაბული საკითხი“ საფრანგეთში, ალჟირელი ისლამისტები, ტრეფიკინგი და ნარკობიზნესი

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ევროპას „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებიდან ემიგრანტთა დიდი ნაკადი მიაწყდა. უცხოელების შეტევით მაშინ ყველაზე მეტად საფრანგეთი დაზარალდა — ევროპისაკენ დაძრული ემიგრანტების 80%-მა ბედის საცდელად ეს ქვეყანა აირჩია. რაღა თქმა უნდა, მათ შორის ბევრი იყო არაბული აფრიკიდან, რადგანაც ეს მხარე კოლონიურ ეპოქაში საფრანგეთს ეკუთვნოდა. აქედან გამომდინარე, არაბულ აფრიკაში განათლებისა და ე. წ. ზეპური საზოგადოების ენად ფრანგული მიიჩნეოდა და საფრანგეთში წასულ აფრიკელ არაბებსაც (უპირატესად — ალჟირელებს) სხვა ემიგრანტებისგან განსხვავებით უცხო ენის არცოდნის პრობლემა არ აწუხებდათ.

თავად ალჟირში ამ დროს ვითარება უაღრესად დაძაბული იყო — ხელისუფლების სათავეში იდგნენ მემარცხენეები, რომლებსაც ტრადიციულად საბჭოთა კავშირი უჭერდა მხარს. მთავრობა ყოველნაირად ზღუდავდა ოპოზიციას, რომელიც ალჟირის ისლამურ ქვეყნად გამოცხადებას ესწრაფოდა და ზოგჯერ სამთავრობო ძალებთან შეიარაღებულ შეტაკებებსაც არ ერიდებოდა.

1979 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირი ავღანეთში შეიჭრა, ალჟირის მთავრობამ მხარი ოფიციალურ მოსკოვს დაუჭირა, ხოლო ოპოზიციამ კი, შესაბამისად, მოჯაჰედებს. ამიტომაც იყო, რომ ალჟირში სამოქალაქო ომის დაწყებას ცოტაღა დააკლდა, თუმცაღა ოპოზიციამ, მიუხედავად ისლამური აზროვნებისა, დასავლეთის მხარდაჭერა გაინაღდა.

ისლამისტები საბოლოოდ რომ აელაგმა, ოფიციალურმა ალჟირმა დახმარებისთვის ისევ მოსკოვს მიმართა და შერყეული პოზიციის აღდგენა მოახერხა — 1981 წელს სამთავრობო ძალებმა ალჟირის საჰარაში ბაზირებული მსხვილი და გავლენიანი ოპოზიციური ორგანიზაცია, „ისლამური ხსნის მოძრაობა“ გაანადგურეს. ეს მთავრობის მოწინააღმდეგეთათვის უდიდესი დარტყმა იყო და მათ ქვეყნის დატოვება მასობრივად დაიწყეს. იმავ-



„ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ ერთ-ერთი მეთაური აბდელჰაკ ლაიადა



„ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ მორიგი ტერორისტული აქტი

დროულად მთავრობა ავღანეთში მოჯაჰედების დასახმარებლად მიმავალ პირებსაც აპატიმრებდა და სამშობლოს ღალატის ბრალდებით ოცწლიან ციხეს უსჯიდა.

ამდენად, 80-იანი წლების შუახანებში, სხვაგვარად მოაზროვნე ალჟირელებს თავის ქვეყანაში უკვე აღარ დაედგომებოდათ და ვერც მოსკოვის სატელიტ მთავრობას ვერაფერს უხერხებდნენ.

ამიტომაც ალჟირულმა ოპოზიციამ ბინა საფრანგეთში დაიდო და ანტისამთავრობო ინტრიგების ხლართვას იქიდან შეუდგა. ამ ხალხმა მარსელში 1985 წელს „ისლამური შეიარაღებული მოძრაობა“ (ფრანგულად — Movement Islamique Armee, MIA) ჩამოაყალიბა და სამშობლოში ისლამური რევოლუციის მომზადებას შეუდგა. ხსენებულ დაჯგუფებას სათავეში ედგა ავღანეთში მოჯაჰედთა ბანაკებში განსწავლული სამი ისლამისტი-ღვთისმეტყველი: მანსურ მელიანი, აბდელკადერ ჰერესაი და აბდელჰაკ ლაიადა. ამის გამო ალჟირში „ისლამური შეიარაღებული მოძრაობა“ უფრო ცნობილი იყო როგორც „სამთა ჯამაათი“.

„ისლამურ შეიარაღებულ მოძრაობას“ თავდაპირველად პარიზში დე ფაქტო მხარს უჭერდნენ, რადგან ალჟირში პრომოსკოვური ხელისუფლების არსებობა მათ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ორგანიზაცია საფრანგეთის თავსატეხად იქცა, რადგან მისი აქტივისტები არალეგალურ იმიგრაციას დიდად უწყობდნენ ხელს და თავის გასამართლებლად აცხადებდნენ, ყველა, ვინც საფრანგეთში ჩამოგვყავს, ალჟირელი ოპოზიციონერია და მათი აქ ყოფნა დროებითიაო.

ფრანგულმა სპეცსამსახურებმა ისიც გამოარკვიეს, რომ არალეგალურ იმიგრაციას უშუალოდ „ისლამური შეიარაღებული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, მანსურ მელიანი კურირებდა — მას ალჟირიდან და აფრიკის სხვა არაბული ქვეყნებიდან ათასობით არალეგალი საფრანგეთში ესპანეთის გავლით გადაჰყავდა და დიდ ქალაქებში აბინავებდა. ეს ხალხი ქუჩის ქურდბაცაცების, რეკეტირებისა და სხვა ჯურის წვრილი კრიმინალების რიგებს ავსებდა და შავბნელი საქმეებით ნაშოვნი ფულით „ისლამურ შეიარაღებულ მოძრაობას“ ეხმარებოდა.

არაბი არალეგალების მოზღვავებამ საფრანგეთს უკვე 90-იანი წლების დასაწყისში ისეთი დიდი პრობლემა შეუქმნა, ანალიტიკოსები საჯაროდაც კი ამბობდნენ, 2050 წლისთვის საფრანგეთის მოქალაქეთა 80%-ზე მეტი არაბული წარმოშობის ან სულაც შავკანიანი იქნებაო. შემდგომში ამას ისიც დაემატა, რომ ეთნიკურმა არაბებმა თანდათან ცხოვრების ყველა სფეროში შეაღწიეს და ზოგან წამყვანი პოზიციაც კი დაიკავეს. ეს ყველაფერი ფრანგ საზოგადოებაში ისე შესამჩნევი და ამავდროულად, მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ როგორც გაზეთი „ფიგარო“ წერდა, „საერთო-ეროვნული შოკი“ გამოიწვია: „არაბები ჩვენზე მდგრადი და ძლიერი ერია, რადგანაც უფრო კარგად მრავლდებიან და სიდუხჭირის ატანაც შეუძლიათ... თანაც, ფრანგ საზოგადოებაში ადაპტირებაც არ სურთ“, — გაჰყვიროდა მასმედია, ხოლო ხელისუფლება საგონებელში იყო ჩავარდნილი: არაბთა იოლი ადაპტაციისათვის საგანგებო ცნება, „მუსლიმანი ფრანგები“ შექმნეს, მაგრამ ამაოდ — არაბები არაბებად რჩებოდნენ და კომპაქტური დასახლების პუნქტებში ისლამური წესების დამკვიდრებასაც კი ცდილობდნენ.

ალჟირში კი სიწყნარე იყო — პრომოსკოვური ხელისუფლება ისე უცებ შეიცვალა პროდასავლურით, რომ „ისლამურმა შეიარაღებულმა მოძრაობამ“ გასროლაც კი ვერ მოასწრო. ამიტომაც იყო, რომ ლიდერთა სამეულში უთანხმოებამ იჩინა თავი — მანსურ მელიანი და აბდელჰაკ ლაიადა საფრანგეთში დარჩნენ და მოღვაწეობა ძველებურად განაგრძეს.

აბდელკადერ ჰერესაი ალჟირში დაბრუნდა და ისლამური სახელმწიფოს შექმნისთვის ბრძოლა საჰარის რეგიონიდან დაიწყო. ამასობაში კი 11 სექტემბრის საყოველთაოდ ცნობილი ტერაქტებიც მოხდა და მსოფლიოში ბინ ლადენის ერა დაიწყო.

დაუზუსტებელი ცნობით, ჰერესაი, მელიანი და ლაიადა „ალ-ქაიდას“ ლიდერმა შეარიგა, მაგრამ „ისლამური შეიარაღებული მოძრაობა“ უწინდელი სახით აღარ აღმდგარა. აბდელკადერ ჰერესაი ისევ საჰარაში დარჩა და ბინ ლადენისაგან ბრძოლის საწარმოებლად ფული და იარაღი მიიღო.

მანსურ მელიანისა და აბდელჰაკ ლაიადას კი „ალ-ქაიდამ“ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა დააკისრა — მათ საფრანგეთსა და მთელ ევროპაში ისლამური წინააღმდეგობის ბაზები უნდა შეექმნათ.

მანსურ მელიანის ამ დავალებათა შესრულება აღარ დასცალდა — საფრანგეთის პოლიციამ 2003 წელს მარსელში დააკავა სამ თანამოაზრესთან ერთად. ძალოვნების განცხადებით, დაკავების მიზეზი ნარკოტიკებით ვაჭრობა იყო, მაგრამ სულ მალე მასმედიაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ სინამდვი-

ლეში მელიანი და სხვები ადამიანის ორგანოებით ვაჭრობდნენ და მოგებულ ფულს „ალ-ქაიდასა“ და მისი თანამოაზრე ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხავდნენ.

ფრანგმა სამართალდამცველებმა მანსურ მელიანის ბრალდება ვერ დაუმტკიცეს და იძულებულნი გახდნენ, გაეთავისუფლებინათ. მელიანი ალჟირში გადაბარგდა, სადაც აბდელკადერ ჰერესაის მიერ ადრევე ჩამოყალიბებული ისლამურ-ფუნდამენტალისტური პარტია „გადარჩენის ფრონტი“ უკვე პარლამენტშიც კი მოხვედრილიყო.

სამშობლოში მანსურ მელიანი თანამებრძოლებს უმალვე დაუკავშირდა და ისლამური საქმეებისათვის დამატებითი თანხის საშოვნელად სრულიად ახალი რამ შესთავაზა — უცხოელ ტურისტთა გატაცება და გამოსასყიდის მოთხოვნა.

**ჰერუსაიც დათანხმდა და საქმეც გაიჩარხა — 2003-2005 წლებში მელიანიმ სულ სამ ათეულამდე ტურისტი გაიტაცა და დიდი ფულიც იშოვა.**

ტერორისტები წინასწარ ირჩევდნენ და კარგა ხანს უთვალთვალებდნენ ისეთ მსხვერპლს, რომელიც ფეშენებელურ სასტუმროში ისვენებდა, ფულიც ბევრი ჰქონდა და ამქვეყნიურ სიამეთაც არ იკლებდა. შემდეგ მსხვერპლს ტერორისტებთან შეკრული ქალი უახლოვდებოდა და ვახშმობისას ძილის წამალს აპარებდა. ჩაძინებულ ტურისტს კი ტერორისტები იტაცებდნენ და ხშირად საწადელსაც მალე აღწევდნენ — მსხვერპლის ახლობლები მომხდარს არ ახმაურებდნენ და გამოსასყიდს ულაპარაკოდ იხდიდნენ.

2006 წელს ალჟირულ და ფრანგულ მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ალჟირში გახშირებული ტურისტთა გატაცება „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ ნამოქმედარი იყო: „ჩვენს ხელთ არსებული ცნობით, ამ ორგანიზაციის ფილიალები ტურისტული ფირმების სახით ლეგალურად არსებობს საფრანგეთის რამდენიმე ქალაქში. ისინი ალჟირში ეპატიჟებიან და ტერორისტთა ხაფანგში აგებენ მათ, ვინც ბოჰემური ცხოვრების ტრფიალია და კანონებს არად დაგიდევენ. „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ აქტივისტები ევროკავშირის ქვეყნებში ნარკობიზნესსაც ეწევიან“, — წერდა ალჟირული გაზეთი „ელ-მუჯაჰედი“. სხვათა შორის, მასმედიაში ატეხილმა აჟიოტაჟმა ერთი მეტად კურიოზული ნაყოფი გამოიღო: ალჟირელმა სამართალდამცველებმა მანსურ მელიანი დააპატიმრეს და როგორც საფრანგეთის მოქალაქე, ოფიციალურ პარიზს გადასცეს. საფრანგეთში მელიანს უვადო პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა ამით ყველაფერი არ დასრულებულა.

2007 წელს „ისლამურმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ“ მანსურ მელიანის უპირობოდ გათავისუფლების მოთხოვნით ევროკავშირის ტერიტორიაზე ჯიჰადი გამოაცხადა. იმავე წლის მაისში ბელგიის პოლიციამ ქალაქ ანტვერპენში დააკავა ალჟირული წარმოშობის 12 საფრანგეთის მოქალაქე, რომლებსაც თან ჰქონდათ იარაღი და ასაფეთქებელი მასალა. მათ აღიარეს, რომ ხსენებული ორგანიზაციის აქტივისტები იყვნენ და ანტვერპენის ერთ-ერთ მეტროსადგურის აფეთქებას აპირებდნენ. პოლიციამ შეიტყო ისიც, რომ ევროპის ტერიტორიაზე მოჯაჰედებს კოორდინირებას ცნობილი ტერორისტი და ბინ ლადენის ერთ-ერთი მარჯვენა ხელი — ჰალედ ქელქალი უწევდა. ის საფრანგეთში 1995 წლის „დაბომბვის საქმით“ იყო ცნობილი: ხუთ სხვა არაბთან ერთად ეჭვმიტანილი გახლდათ მარსელის აეროპორტში აფეთქებების მოწყობაში და იძებნებოდა როგორც „ისლამური შეიარაღებული მოძრაობის“ აქტივისტი.

ერთი სიტყვით, სანამ ევროპელი სამართალდამცველები იმაზე ბჭობდნენ, რა ორგანიზაციასთან ჰქონდათ საქმე, აწ უკვე არარსებულ „ისლამურ შეიარაღებულ მოძრაობასთან“ თუ მანსურ მელიანის მიერ ახალშექმნილ „ისლამურ შეიარაღებულ დაჯგუფებასთან“, პარიზისა და სხვა ფრანგული ქალაქების ქუჩები არალეგალებისა და არაევროპული წარმომავლობის მოქალაქეთა გამოსვლებმა მოიცვა, რასაც ვითომდა სოციალური უკმაყოფილება ედო საფუძვლად.

სინამდვილეში ეს იყო „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ ორგანიზებული აქციები, რომლებიც ცხადია, მასობრივი არეულობების გზით მთავრობაზე ზემოქმედებას ისახავდა მიზნად.

ნიკოლა სარკოზიმ მაშინ ვითარების სტაბილიზება დიდი ძალისხმევით შეძლო და ასე განსაჯეთ, ამისთვის იმიგრანტების მიღებაც კი შეაჩერა, მოქალაქეობის მომლოდინე უცხოელებს კი გაურკვეველი ვადით მოცდა უბრძანა.

მიღებული ზომების მიუხედავად, საფრანგეთში მაინც ვერ მოახერხეს „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ სრული განადგურება. დამეთანხმებით, იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 12% არაბული წარმოშობის მუსლიმანია, ისლამურ-ფუნდამენტალისტურ იდეებთან ძალისმიერი მეთოდებით ბრძოლა ნაკლებშედეგიანია. 2007 წელს ევროკავშირმა ალჟირული „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფება“ ტერორისტულ ორგანიზაციად ოფიციალურად აღიარა.

**მიხეილ ლაბაძე**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

**ფრანგული პოლიცია პარიზში ისლამისტ-ფუნდამენტალისტებს აკავებს**



არსენალი

# M109



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსული ჯავშანტექნიკა

## სატანკო ჯარები გერმანიასთან ომის წინ



1929 წელს წითელ არმიაში ჯავშანტექნიკით აღჭურვილი 1-ელი მექანიზებული პოლკი ჩამოყალიბდა და მასში სატანკო ბატალიონი, ავტოჯავშანდივიზიონი, მოტომსროლელი ბატალიონი და ავიარაზმი გაერთიანდა.

ერთი წლის შემდეგ პოლკი 1-ელ მექანიზებულ ბრიგადად გადაკეთდა. ბრიგადის შემადგენლობაში სატანკო პოლკი, ქვეითი მექანიზებული პოლკი, სადაზვერვო ბატალიონი, საარტილერიო დივიზიონი და სპეციალური ქვედანაყოფები შევიდა.

შტატით ბრიგადა 60 მსუბუქ ტანკ МС-1-ს, 32 ტანკეტს, 17 ჯავშანავტომობილ БА-27-ს, სხვადასხვა დანიშნულების 267 ავტომობილსა და 12 ტრაქტორს ითვლიდა.

1932 წლისთვის წითელ არმიას 4 სატანკო პოლკი და 3 ცალკეული სატანკო ბატალიონი ჰყავდა, ხოლო საკავალერიო შენაერთების დაქვემდებარებაში — 2 მექანიზებული პოლკი, 2 მექანიზებული დივიზიონი და 3 მექანიზებული ესკადრონი იყო.

მაშინდელი საბჭოური შეხედულებით, მომავალ ომებში წითელი არმია ფრონტის ხაზის მთელ სიგრძეზე მხოლოდ დარტყმით მოქმედებებს შეასრულებდა და ფრონტის გარღვევის ადგილებში მექანიზებული ჯარები ავიაციასთან ურთიერთმოქმედებით მოწინააღმდეგეს გაანადგურებდნენ.

ასეთი მასშტაბური ამოცანები სათანადო სიძლიერის ტაქტიკურ შენაერთებს საჭიროებდა და 1932 წლის გაზაფხულიდან მექანიზებული კორპუსების ფორმირება დაიწყო.

1940 წელს მიღებული შტატებით მექანიზებულ კორპუსში 2 სატანკო და 1 მოტორიზებულ დივიზიასთან ერთად კიდევ სხვა ქვედანაყოფები გაერთიანდნენ.

შტატით კორპუსი საშუალოდ 36 ათას სამხედროს, 1031 ტანკს, 358 საარტილერიო სისტემასა და სხვა ტექნიკას ითვლიდა.

1941 წლის 22 ივნისისთვის, გერმანიასთან ომის წინ, წითელი არმიის განკარგულებაში სხვადასხვა რაოდენობის პირადი შემადგენლობითა და ჯავშანტექნიკით დაკომპლექტებული 29 მექანიზებული კორპუსი იყო.

1941 წლის 1-ელი ივნისის მდგომარეობით წითელი არმია 25932 ტანკს, თვითმავალ საარტილერიო დანადგარსა და ტანკეტს ითვლიდა, საიდანაც 13981 ერთეული დასავლეთის სამხედრო ოლქებში იყო თავმოყრილი.

გერმანიის არმიას სულ 5154 ტანკი და 377 მოიერიშე ქვემეხი Stug III ჰყავდა, საიდანაც საბჭოთა კავშირზე თავდასხმისთვის 3658 ტანკი და 252 მოიერიშე ქვემეხი იყო გამოყოფილი.

ხუთმაგი უპირატესობის მიუხედავად, წითელი არმიის ჯავშანტექნიკის დაახლოებით 19%-მდე გაუმართავი აღმოჩნდა იმის გამო, რომ მოძველებული მოდელების ტანკებს მრეწველობა აღარ უშვებდა და სათადარიგო ნაწილების დიდი დეფიციტი იყო, განსაკუთრებით ძრავა-ტრანსმისიისა და მუხლუხების ცვეთადი ნაწილები.

ისევ ტექნიკური მიზეზების გამო განგაშის შემდეგ პარკებიდან გამოსული ჯავშანტექნიკის დიდი ნაწილი მარშის დროს მწყობრიდან გამოვიდა და გზაში დარჩა.

გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ გერმანია საბჭოთა კავშირს მოულოდნელად დაესხა თავს და ამით უპირატესობაც მოიპოვა — მოშალა წითელი არმიის მართვის სისტემა და ჰაერში გაბატონებული გერმანული თვითმფრინავები საბჭოთა ჯავშანსატანკო ნაწილებს მუდმივად ბომბავდნენ.

წლების მანძილზე ჩამოყალიბებული მრავალრიცხოვანი ჯავშანსატანკო შენაერთების დიდმა ნაწილმა 1941 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე არსებობა შეწყვიტა, ხოლო სატანკო პარკი თითქმის აღარ არსებობდა.

მძიმე თავდაცვით ბრძოლებთან ერთად დაიწყო ახალი სატანკო შენაერთების ფორმირება და ახალი ტიპის, უფრო ძლიერი საბრძოლო-საექსპლუატაციო მახასიათებლების მქონე ტანკების წარმოების ტემპის ზრდა.

საბჭოთა ქარხნებმა 1940-45 წლებში ააწყვეს 85059 მსუბუქი, საშუალო

გერმანიასთან ომისთვის საბჭოთა სატანკო ჯარები საფუძვლიანად ემზადებოდნენ



ეროვნული ბიბლიოთეკა



T-34-85: მასა — 32 ტ, ეკიპაჟი — 5 კაცი, ჯავშანი — 22-90 მმ, დიზელის ძრავა — 520ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 30,5-50 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 313-360 კმ, შეიარაღება — 85 მმ-იანი ქვემეხი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

და მძიმე ტანკი, საიდანაც 58681, ანუ 68,9%, საშუალო ტანკ T-34-სა და მის მოდიფიკაციებზე მოდის. ამ მაჩვენებლით T-34 მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ტანკებს შორის აბსოლუტური რეკორდსმენია.

T-34 გამოირჩეოდა აწყობის მარტივი ტექნოლოგიით, ჰქონდა კარგი საბრძოლო თვისებები და საველე პირობებში ეკიპაჟებისთვის მისი ექსპლუატაცია-რემონტი ძნელი არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ T-34 ზოგიერთი მახასიათებლითა და მოწყობილობით გერმანულ ტანკებს ჩამოუვარდებოდა, 1941 წლის ზაფხულში გერმანელებს უკვე ბევრ სირთულეს უქმნიდა.

ვერმახტის მსუბუქი ტანკებისა და 37 მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების ჭურვები საბჭოურ ჯავშანს ვერაფერს აკლებდა, თუმცა უფრო დიდი კალიბრის ქვემეხები T-34-ების მწყობრიდან გამოყვანას ახერხებდნენ.

ურალში სატანკო წარმოების გამართვასთან ერთად ტანკის სრულყოფისთვის საკონსტრუქტორო-საცდელი სამუშაოები მუდმივად მიმდინარეობდა.

1941 წლის მეორე ნახევრიდან T-34-ზე უფრო ძლიერი, გრძელლულიანი 76,2 მმ-იანი ქვემეხი დაიდგა, ხოლო წარმოების გასამარტივებლად ქარხნები ჩამოსხმული კოშკურების დამზადებაზე გადავიდნენ.

1942 წლიდან ტანკისთვის ახალი კოშკურა გაკეთდა, სადაც ეკიპაჟის მეთაურისა და დამტენისთვის ცალცალკე ლიუკი იყო. გაიზარდა შიდა მოცულობა და ჯავშნის სისქემ შუბლის ნაწილში 70 მმ-სა და ბორტებში კი 52 მმ-ს მიაღწია. საწვავის ავზების დამატებით ტანკის სვლის მარაგი კი 400 კმ-მდე გაიზარდა.

1943 წელს ტანკის კოშკურა ექვსკუთხედი გახდა, მას ზემოთ სამეთაურო პატარა კოშკურა ჰქონდა დამატებული. ამით მეთაურს ბრძოლის ველზე დაკვირვება გაუუმჯობესდა.

1944 წლიდან ქარხნები 85 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი T-34-85-ების წარმოებაზე გადავიდნენ. უფრო ძლიერმა ქვემეხმა ტანკის საცეცხლე შესაძლებლობები ბევრად გაზარდა და კოშკურის კონსტრუქციის შეცვლა გამოიწვია. ეკიპაჟი 4-დან 5 კაცამდე გაიზარდა.

კონსტრუქციულად დახვეწილ T-34-ის შასიზე სერიულად მრავალი სახის ჯავშანტექნიკა მზადდებოდა: 122 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა (СУ-122)ნ ტანკგამანადგურებლები (СУ-85 და СУ-100)ნ ცეცხლსატყორცნი ტანკები (ТО-34 და ТО-85), ხიდგამდები (ТМ-34) და სხვ.

ჯერ კიდევ ფინეთთან ომის დროს გაჩნდა ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტილების ჩასახშობად მძიმე ტანკების საჭიროება, ამიტომ

KB-2: მასა — 52 ტ, ეკიპაჟი — 6 კაცი, ჯავშანი — 30-110 მმ, დიზელის ძრავა — 600ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 16-34 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 150-255 კმ, შეიარაღება — 152 მმ-იანი ქვემეხი-ჰაუბიცა და სამი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი





ИС-2: მასა — 46 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 20-120 მმ, დიზელის ძრავა — 580ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 37 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 110-150 კმ, შეიარაღება — 122 მმ-იანი ქვემეხი და სამი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

კიროვის ქარხანაში ნიკოლოზ დუხოვის ხელმძღვანელობით მძიმე KB-1-ის შასიზე 152,4 მმ-იანი ჰაუბიცით აღჭურვილი ტანკ KB-2-ის პროექტი მომზადდა.

გაბარიტულმა ჰაუბიცამ კოშკურის სიმაღლის გაზრდა მოითხოვა და ტანკმა სიმაღლეში 3250 მმ-ს მიაღწია, რასაც წონის მომატება და სიჩქარის შემცირება მოჰყვა. თუმცა იმ ამოცანისთვის, რისთვისაც KB-2 შეიქმნა, ეს მისაღები იყო.

ეკიპაჟი 6 კაცამდე გაიზარდა, საიდანაც სამნი — მემიზნე, დამტენი და მესაკეტე — ჰაუბიცას ემსახურებოდნენ.

სროლა ადგილიდან მხოლოდ გაჩერებულ მდგომარეობაში იყო შესაძლებელი. KB-2 ერთადერთი საბჭოური ტანკი იყო, რომლის გასროლებში ბეტონმხვრეტი ჭურვები შედიოდა.

პირველი ორი KB-2 ფინელებთან ბრძოლებში გამოიცადა. როგორც ერთ-ერთი თვითმხილველი იხსენებდა, „ტანკი ფინელთა ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტილის პირდაპირ პოზიციას იკავებდა და ესროდა, ვიდრე არ სამიზნეს არ აафეთქებდა. ამ დროს საპასუხო სროლა ტანკის სქელ ჯავშანს ვერაფერს აკლებდა“.

KB-2 მცირე რაოდენობით, სულ 46 ცალი აიწყო.

1940 წლის ოქტომბრიდან წარმოება დაბალკოშკურიან KB-2-ის აწყობაზე გადავიდა და 1941 წლის მეორე ნახევრამდე 147 ცალი გამოუშვეს.

შემდგომში ჰაუბიციანმა ტანკმა საბჭოური მძიმე თვითმავალი საარტილერიო დანადგარების განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა.

გერმანიასთან ომის პირველივე ბრძოლებში ტანკის ხარვეზებიც გამოვლინდა, კერძოდ კი სუსტი ტრანსმისია და დაბალი საექსპლუატაციო სიჩქარე. ამის გამო ტანკი პოზიციის შეცვლასა თუ მანევრირებას დროულად ვერ ახერხებდა და გერმანელ არტილერისტთა სამიზნე ხდებოდა.

სიჩქარის გაზრდა კი წონის შემცირებასთან იყო დაკავშირებული და მოდერნიზაციას მოითხოვდა.

1942 წლის მაის-ივნისში ჩელიაბინსკის კიროვის ქარხნის კონსტრუქტორებმა KB-1-ს მოდერნიზაცია ჩაუტარეს.

შემცირდა კორპუსის ჯავშანფურცლების სისქე, კოშკურის ზომები, ზოგიერთი აგრეგატისა და სავალი ნაწილის კვანძის წონა, რის ხარჯზეც ტანკის მასამ 42,5 ტონამდე დაიკლო.

მოდერნიზებული KB-1C-ის სიჩქარემ შოსეზე საათში 8 კმ-ით, ხოლო დასერილ ადგილებში 3 კმ-ით მოიმატა.

კიდევ უფრო მეტი თავსატეხი საბჭოთა კონსტრუქტორებს ფრონტზე გერმანული Pz Kpfw VI Tiger-ის გამოჩენამ შეუქმნა.

„ტიგრებთან“ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება გაუმჯობესებული ბალისტიკის მქონე 85 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი KB-85 იყო.

KB-85 გერმანულ ტანკებს ძირითადად ფრონტის სამხრეთის მიმართულებებზე ებრძოდა და მოწინააღმდეგის თავდაცვითი ზღუდეების გარღვევებშიც მონაწილეობდა, სადაც საფრთხეს უქმნიდა ბუქსირებადი და თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო არტილერია, ნაღმები და ინჟინრული დაბრკოლებები.

სუსტი ჯავშანდაცვის გამო ტანკები დიდ დანაკარგს განიცდიდნენ და 1943 წლისთვის პრაქტიკულად ყველა ტანკი მწყობრიდან იყო გამოსული.

ტანკის შასიზე მზადდებოდა 152 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი (ИСУ-152), რომლის დანიშნულება გერმანულ ტანკებთან ბრძოლა, სიღრმისეული საცეცხლე წერტილების ჩახშობა და ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობების განადგურება იყო.

1942 წლის გაზაფხულზე ფრონტზე ინიციატივა წითელი არმიის ხელში გადავიდა და საბჭოთა კონსტრუქტორებს გამრღვევი ტანკის შექმნა დაევალათ.

ტექნიკური დავალება KB-ს მასის შენარჩუნებით (46 ტონამდე) უფრო სქელი ჯავშნისა (100 მმ-მდე) და მეტი სიჩქარის მქონე ტანკს მოითხოვდა. ასევე იდგა ტრანსმიის გაძლიერების, ბრძოლის ველზე დაკვირვებისა და ცეცხლის მართვის გაუმჯობესებული სისტემებით აღჭურვის მოთხოვნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ შემთხვევაში ტანკის 76 მმ-იანი, ხოლო მეორეში კი 107 მმ-იანი ქვემეხით შეიარაღება იყო ჩაფიქრებული.

ახალი ტანკის ტექნიკურ ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა გერმანულმა „ტიგრებმა“, „პანტერებმა“ და ჯავშანტექნიკის სხვა ნიმუშებმა.

1942 წლის მეორე ნახევარში ჩელიაბინსკის კიროვის ქარხანამ საცდელი КВ-13-ის საფუძველზე ახალი მძიმე ტანკის პროექტი შექმნა.

ახალმა ტანკმა КВ-13-დან კორპუსი და დაკიდების სისტემის ელემენტები მიიღო, ხოლო კოშკურა და ბევრი აგრეგატი თავიდან დაპროექტდა.

პროექტირება-გამოცდისას გარღვევის ტანკებმა ИС-1-მა 85 მმ-იანი ქვემეხი, ხოლო ИС-2-მა კი ყველაზე ძლიერი 122 მმ-იანი ქვემეხი მიიღო.

1944 წლის 4 მარტს ქალაქ სტაროკონსტანტინოვის მახლობლად ბრძოლებში პირველად ИС-1-ები და „ტიგრები“ ერთმანეთს შეხვდნენ. ნისლში ტანკებმა ცეცხლი დაახლოებით 1500-1800 მეტრიდან გახსნეს.

გერმანელი ტანკისტები უფრო მარჯვენი გამოდგნენ და მოწინააღმდეგის 1 ტანკი გაანადგურეს და 3 დააზიანეს, ხოლო საპასუხო ცეცხლით 2 „ტიგრი“ დაზიანდა.

8 მარტს გერმანულმა 75 მმ-იანმა მოიერიშე ქვემეხებმა 150-200 მეტრიდან ორი ИС-1 მოსპეს. ერთ ტანკს 8, ხოლო მეორეს კი 4 ჭურვი მოარტყეს.

16 მარტს ჩასაფრებიდან „ტიგრებმა“ 4 ИС-1 გაანადგურეს, საიდანაც ორი ეკიპაჟიანად დაიწვა.

ამ მარცხიანი დებიუტის შემდეგ გაკეთდა დასკვნა, რომ ტანკების შეიარაღება და დაჯავშნა გერმანულ ანალოგებს არ შეესაბამებოდა და რეკომენდაცია შუბლის ნაწილის ფორმის შეცვლასა და დაჯავშნის გაძლიერებაზე გაკეთდა. დაჩქარდა უფრო ძლიერი და უკეთ დაცული ИС-2-ის შექმნა, ხოლო 1943 წლის დეკემბრიდან კი მისი წარმოება დაიწყო.

ИС-2-ზე წინა მოდელის ხარვეზები მეტ-ნაკლებად გამოსწორდა. მას გაშლილ ადგილებში გერმანულ მძიმე ტანკებთან დაპირისპირება მხოლოდ რამდენჯერმე მოუხდა. სამაგიეროდ, თავისი შესაძლებლობანი ქალაქებში ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტილებთან ბრძოლაში გამოავლინა.

ძლიერი ჯავშანდაცვის მიუხედავად, მძიმე ტანკებს ყველაზე მეტ დანაკარგს ფაუსტპატრონებით, ხელყუმბარებითა და ცეცხლგამჩენსითხიანი ბოთლებით შეიარაღებული ქვეითები აყენებდნენ.

პოლონეთის ქალაქ პოზნანისათვის ბრძოლებში საბჭოთა სატანკო პოლკმა (21 ტანკი ИС-2) ბრძოლებში დაკარგა 7 ტანკი, საიდანაც 4 ფაუსტპატრონებით და 1 ცეცხლგამჩენსითხიანი ბოთლით გაანადგურეს.

ИС სერიის ტანკების შასიზე აწყობდნენ 122 მმ-იან თვითმავალ ქვემეხს (ИСУ-122), 152 მმ-იან თვითმავალ ჰაუბიცას (ИСУ-152) და სხვ.

წითელი არმიის სატანკო პარკში მსუბუქ ტანკებს ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა და ბრძოლების ხასიათმა მისი მნიშვნელობა ბევრად შეამცირა.

მსუბუქი ტანკების მოვალეობად დაზვერვა დარჩა. გარდა ამისა, ასრულებდნენ გამწევების ფუნქციას, იყენებდნენ ეკიპაჟების მოსამზადებლად და სხვ.

1939 წელს ლენინგრადის ერთ-ერთმა საკონსტრუქტორო ბიურომ ქვეითების თანხლები დიზელისძრავიანი მსუბუქი ტანკი დააპროექტა, მაგრამ



ИСУ-152: მასა — 45,5 ტ, ეკიპაჟი — 5 კაცი, ჯავშანი — 20-100 მმ, დიზელის ძრავა — 520ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 10-35 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 140-220 კმ, შეიარაღება — 152 მმ-იანი ჰაუბიცა და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა ტანკისტების ვარჯიში

შეზღუდული სვლის მარაგის გამო ტანკი სერიულად არ უწარმოებიათ.

პროექტი გადამუშავდა (დიფერენცირებული დაჯავშნით შემცირდა ჯავშანფურცლების სისქე) და მისი შედეგი მსუბუქი ტანკი T-50 იყო, მაგრამ დიზელის ძრავის წარმოებასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა გამოშვებული ტანკების რაოდენობა შეზღუდა.

მსუბუქ ტანკებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრას ემსახურებოდა მცურავი T-40-ის სახმელეთო ვარიანტის — T-60-ის შექმნა.

ტანკის კორპუსი ჯავშანფურცლების დახრის რაციონალური კუთხის გათვალისწინებით დამზადდა, ხოლო შეიარაღება ШВАК-ის ტიპის 20 მმ-იანი საავიაციო ქვემეხისგან შედგებოდა. სხვა მხრივ, ის მთლიანად წინამორბედ ტანკს იმეორებდა.

სცადეს T-60-ის მფრინავ ტანკად გამოყენებაც. ასეთი პროექტი კონსტრუქტორმა ოლეგ ანტონოვმა შექმნა.

ტანკს ეკიპაჟიანად პლანერზე ამაგრებდნენ და ბომბდამშენს ბუქსირით საჭირო რაიონში გადაჰყავდა.

1942 წლის აგვისტოში მოსკოვის მახლობლად გამოცდა დაიწყო, ხოლო 2 სექტემბერს საცდელი ფრენაც შედგა, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო პროექტზე უარი ითქვა. ტანკის შასიზე კი რამდენიმე ექსპერიმენტული საზენიტო დანადგარი და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა დამზადდა.

1943 წლის შემოდგომაზე კიდევ ერთი მსუბუქი ტანკის — T-70-ის სერიული წარმოება დაიწყო.

დაჯავშნის გაძლიერებით კორპუსისა და კოშკურის ფორმა შეიცვალა, ხოლო შეიარაღება 45 მმ-იან ქვემეხთან შეწყვილებული ტყვიამფრქვევისგან შედგებოდა.

ორკაციან ეკიპაჟში მეთაური რამდენიმე მოვალეობას ითავსებდა, რაც ტანკის საბრძოლო თვისებებზე აისახებოდა.

T-70-ის სავალ ნაწილზე ქარხნები სერიულად 76 მმ-იან თვითმავალ საარტილერიო (СУ-76 და СУ-76М) და თვითმავალ საზენიტო (ЗСУ-37) დანადგარებს აწყობდნენ.

T-70-ის გაუმჯობესებული ვერსია იყო T-80. ტანკს უფრო დიდი კოშკურა ჰქონდა და ეკიპაჟიც 3 კაცამდე გაიზარდა, ხოლო 45 მმ-იანი ქვემეხი ვერტიკალურ სიბრტყეში 60 გრადუსს „იჭერდა“ და ქალაქის ბრძოლებში ქვეითებს დიდ დახმარებას უწევდა.

**თემურ ჩაჩანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ აპირებდა ქართველი ბექაური ბრიტანული ფლოტის ჩაძირვას



ქართველი გამომგონებელი ვლადიმერ ბექაური

ქართველები ნიჭის დეფიციტს არასოდეს განვიცდიდით. „არსენალი" არაერთხელ წერდა იმ ქართველ კონსტრუქტორებსა თუ გამომგონებლებზე, რომლებმაც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

სამწუხაროდ, ბოლო ასწლეულებში ქართველები სხვა ქვეყნების საკეთილდღეოდ იღვწოდნენ და საქართველოსთვის არც სახელი და არც სარგებელი არ მოუტანიათ.

უმეტესობას მოღვაწეობამ, რუსეთისა და საბჭოთა იმპერიების სამსახურებში მოუწია, სადაც ბერიევ-ბერიაშვილმა, ნადირაძემ და კიდევ რამდენიმემ დიდ წარმატებას მიაღწიეს. მათგან განსხვავებით ჩვენი თანამემამულის, ვლადიმერ ბექაურის საბჭოთა სამხედრო მანქანისთვის მოღვაწეობა ტრაგიკულად დასრულდა.

1920 წლის ნოემბერში ბოლშევიკური რუსეთის ბელადმა ლენინმა შესაბამის უწყებებს მოსთხოვა ინფორმაცია განხილულ-განუხილავ გამოგონებებსა და მათი დანერგვის მდგომარეობაზე.

ლენინის ყურადღება მიიპყრო ფოლადის სეიფების ელექტრული სიგნალიზაციის პროექტმა, რომლის ავტორიც ვლადიმერ ბექაური იყო. იმ დროისათვის ამ გამოგონების პატენტი შეძენილი ჰქონდათ გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიასა და იაპონიაში.

შიდაფრაქციული ბრძოლის გამო ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა საიდუმლო დოკუმენტების საიმედოდ შენახვას, ამიტომაც საინტერესო გამოგონების ავტორი ბექაური დაუყოვნებლივ გამოიძახეს სახკომსაბჭოში.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე ქართველმა გამომგონებელმა სეიფების უსაფრთხოების სისტემებთან ერთად, რადიოტალღებით მართვადი ნაღმების პროექტიც წარადგინა.

1921 წლის 18 ივლისს ხელი მოეწერა დადგენილებას ბექაურის ხელმძღვანელობით ტექნიკური ბიუროს ორგანიზებაზე, რომელიც ახალი „სამხედრო-საზღვაო გამოგონებებით" იქნებოდა დაკავებული.

**ვლადიმერ ბექაური დაიბადა 1882 წლის 27 დეკემბერს დუშეთის მაზრის სოფელ კიტოხში. 1903 წელს დაამთავრა თბილისის მიხაილის სახელობის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელი და ანკეტის თანახმად 1905 წლის გამოსვლებში მონაწილეობდა.**

**1911 წელს საცხოვრებლად პეტერბურგში გადავიდა და 1911-20 წლებში რამდენიმე გამოგონება დააპატენტა. მათ შორის იყო სეიფების ელექტროსიგნალიზაცია. ამ გამოგონებებმა ავტორს სახელი და დიდება არ მოუტანა.**

რადიოტალღების სამხედრო მიზნით გამოყენების ცდები ბექაურამდე გაცილებით ადრე დაიწყო.

XX საუკუნის დასაწყისში ფრანგმა მ. შნაიდერმა რადიოტალღების ზემოქმედებით ფეთქებადი ნაღმის საცდელი მოდელი დაამზადა, მაგრამ ის რადიოტალღის კონკრეტულ სიხშირეზე დარეგულირებული არ იყო და ნებისმიერი ახლომდებარე რადიოსადგურის ტალღების ზემოქმედებით ფეთქდებოდა.

მოგვიანებით შნაიდერმა კონსტრუქცია გააუმჯობესა და სიგნალის მიმღები მოწყობილობა კონკრეტულ სიხშირეზე გადაიყვანა.

1915-18 წლებში გერმანიის ფლოტს დაემატა 17 ტელემართვადი ფეთქებადი კატარღა, რომელიც დოქტორ სიმენსის ხელმძღვანელობით კომპანია „სიმენს-შუკერტში" აიგო.

კატარღების ერთ ნაწილს 20 მილის სიგრძის ელექტროსადენით, მეორეს კი რადიოტალღების მეშვეობით ოპერატორები ნაპირიდან ან ჰიდროთვითმფრინავის ბორტიდან მართავდნენ.

ტელემართვადმა კატარღებმა დიდი პოპულარობა 1917 წლის 28 ოქტომბერს მოიპოვეს, როცა ოსტენდიდან 40 მილზე ბრიტანულ 8586 ტონა წყალწყვის მონიტორ Erebus-ს თავს დაესხნენ და ერთ-ერთმა — FL-12-მა მისი დაზიანება შეძლო.

გერმანელების პარალელურად ამავე კვლევებით ინგლისელებიც იყვნენ დაკავებული და ტელემართვადი თვითმფრინავ-ტორპედოების ცდიდნენ, რომლებითაც გერმანული სამხედრო ხომალდების განადგურებს აპირებდნენ.

1917 წელს ქალაქ ფარნბოროში უამრავი ხალხის თვალწინ რადიომართვადი თვითმფრინავი გამოცადეს, მაგრამ გამოცდისას მართვის სისტემა მოიშალა და აპარატი მოსეირეთა თვალწინ მიწას დაენარცხა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

1921 წელს ბექაურმა მიიღო შრომისა და თავდაცვის საბჭოს მანდატი, რომელსაც პირადად ლენინი აწერდა ხელს.



ბექაურის პროექტით T-26-ის ბაზაზე დამზადებულმა ტელეტანკებმა საბრძოლო გამოცდა ფინეთთან ომში გაიარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მძიმე ბომბდამშენი ТБ-3, რომლის ტელემექანიკური მართვის სისტემაზე გადაყვანა ვერა და ვერ მოხერხდა**

მანდატში ეწერა, რომ „ვ. ბექაურს ენიჭებოდა განსაკუთრებული უფლებები სამხედრო-საიდუმლო ხასიათის გამოგონებათა რეალიზებისა და დანერგვის საკითხებში“.

ლენინის ხელმოწერამ სამხედროებსა და სამოქალაქო ჩინოვნიკებზე მაგიური ზემოქმედება მოახდინა, რის წყალობითაც ბექაურმა სწრაფად შექმნა საკუთარი ინსტიტუტი — „საგანგებო დანიშნულების სამხედრო გამოგონებათა, განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო“.

იმავე წლის 15 აგვისტოს ბექაურის №1 ბრძანებით ბიუროს შემადგენლობაში შევიდა სუსტი დენებისა და მაღალი სიხშირის დენების განყოფილების ყველა მეცნიერი თანამშრომელი პროფესორ ვ. მიტკევიჩის ხელმძღვანელობით.

იმავე წლის 18 აგვისტოს ბექაურმა გამოსცა №2 ბრძანება, რომლის ძალითაც საგანგებო ტექნიკურ ბიუროში შეიქმნა ექვსი განყოფილება: საგანგებო, საავიაციო, წყალქვეშა ცურვის, ფეთქებადი ნივთიერებების, ელექტრომექანიკური და ექსპერიმენტულ-გამომცდელი.

1922 წლის თებერვალში ბიუროს გადაეცა პეკის ქარხანა, რომელსაც შემდგომ „წითელი გამომგონებელი“ ეწოდა. ამრიგად ბექაური კისრულობდა ისეთ საქმიანობას, რომელიც მხოლოდ რამდენიმე სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს თუ შეეძლო.

1922 წლის სექტემბერში ბექაურმა ბალტიის ზღვაში გამოცადა ხმოვანი სიგნალით მართვადი ნაღმი, მაგრამ მისი ყურადღება მაინც რადიოამფეთქებლებისაკენ იყო მიმართული.

1922 წლის 8 დეკემბერს ქარხანა „წითელმა მფრინავმა“ ბექაურის ბიუროს ცდებისთვის თვითმფრინავი Handley Page გადასცა. ასე დაიწყო „საგანგებო ტექნიკური ბიუროს“ საჰაერო ესკადრილიის ჩამოყალიბება.

ამავე მიზნით ბალტიის ფლოტიდან ბექაურმა მტრალავი ხომალდი „მიკულა“, საესკადრო ნაღმოსანი „ციმბირელი მსროლელი“ და სადარაჯო ხომალდი „ინჟინერი“ მიიღო.

ტელემართვადი თვითმფრინავების შესაქმნელად ბექაურს მძიმე თვითმფრინავი დასჭირდა. თავიდან განზრახული იყო თვითმფრინავის ინგლისში შეკვეთა, მაგრამ გარიგება ჩაიშალა.

მოგვიანებით ალექსეი ტუპოლევის საკონსტრუქტოროს საგანგებოდ ბექაურის ბიუროსათვის მძიმე ბომბდამშენის პროექტირება დაევალა.

1925 წელს ასეთი თვითმფრინავი АНТ-4 (მოგვიანებით აღნიშვნა ТБ-1 მიიღო) მართლაც შეიქმნა.

ტელემართვადი ТБ-1-ისთვის ბექაურის ბიურომ ტელემექანიკური მართვის სისტემა Дедал-ი დაამზადა, რომელიც იმ დროის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

რადგან ასეთი მოწყობილობით თვითმფრინავის აფრენა ძნელი ამოცანა იყო, ამიტომ თვითმფრინავი ჰაერში ისევ პილოტს აჰყავდა და სამიზნიდან რამდენიმე ათეულ კმ-ზე თვითმფრინავიდან პარაშუტით ხტებოდა.

დარჩენილ მანძილზე თვითმფრინავის ტელემექანიკური სისტემა უკან მომყოლი თვითმფრინავიდან ულტრამოკლე რადიოტალღებით იმართებოდა და ისიც მხოლოდ პირდაპირი ხედვის არეალში, ხოლო სამიზნეზე პიკირებას მართვადი თვითმფრინავიდან მიღებული ბრძანების შემდეგ ახდენდა.

მოგვიანებით განსაკუთრებულმა ტექნიკურმა ბიურომ ამავე სისტემის დაყენება ტუპოლევის კონსტრუქციის ოთხმოტორიან მძიმე ბომბდამშენ ТБ-3-ზე დაიწყო.

ბომბდამშენის აფრენასა და მარშრუტის დიდ ნაწილზე ფრენას პილოტი უზრუნველყოფდა, ხოლო მიზანთან მიახლოებისას ადგილს ТБ-3-ის ქვემოთ დამაგრებულ ავიაგამანადგურებელ И-15-ში ან И-16-ში იკავებდა და უკან თვითმფრინავით ბრუნდებოდა. უპილოტო ბომბდამშენს მიმყოლი თვითმფრინავი რადიოტალღებით მართავდა.

თვითმფრინავის გამოცდას პრობლემას არასაიმედო ავტომატიკა უქმნიდა. გამოიცადა მრავალი სახის პნევმატური, ჰიდრავლიკური თუ ელექტრო-მექანიკური კონსტრუქცია, რამდენიმე ავტოპილოტი, მაგრამ 1937 წლამდე სრულყოფილი მოწყობილობის შექმნა არ მოხერხდა.

1937 წელს წითელ არმიას შეიარაღებაში ტელემექანიკური თვითმფრინავი РД (სიშორის რეკორდი, მსგავსი თვითმფრინავით ჩკალოვი ამერიკაში გადაფრინდა) უნდა მიეღო.

ТБ-1-ისა და ТБ-3-ისგან განსხვავებით, РД-ს მიმყოლ-მართვადი თვითმფრინავი არ სჭირდებოდა და ტელემართვად რეჟიმში ფრენა 1000-1500 კმ-ზე შეეძლო, ხოლო მართვას რადიოშუქურების სიგნალები უზრუნველყოფდა. თუმც ვერც ამ პროექტის დასრულება მოხერხდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელებს ბრიტანული დრედნოუტების მძიმე ქვემეხების პანიკურად ეშინოდათ და შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში საბჭოთა ფლოტი ბრძოლას ნაღმებითა და არტილერიით აპირებდა.

**ბექაურმა შეიმუშავა ბრიტანეთის ფლოტთან ბრძოლის საინტერესო გეგმა, სადაც მთავარი ადგილი მცირე ზომის სატორპედო კატარღებმა დაიკავეს.**

იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგის სახაზო ხომალდები კრონშტადტს ან სევასტოპოლს მთავარი არტილერიის საცეცხლე დისტანციაზე მიუახლოვდებოდნენ, მაშინ იერიშზე ათეულობით კატარღა გადავიდოდა და დაჯახებებით ბრიტანულ ხომალდებს დააზიანებდნენ და ჩაძირავდნენ.

მართალია, ამ ბრძოლაში მოწინააღმდეგის საარტილერიო ცეცხლი კატარღების ნაწილს ჩაძირავდა, მაგრამ ეს წითელი მეზღვაურების დანაკარგზე მაინცდამაინც არ აისახებოდა — კატარღების მართვა რადიოტალღების დახმარებით კრეისერებისა და თვითმფრინავე-

ბის ბორტიდან იყო ჩაფიქრებული.

ასეთმა იდილიურმა სურათმა წითელი ფლოტის მეთაურთა აღტაცება გამოიწვია და ბექაურს ფინანსები და ქარხნები, ხოლო ცდებისთვის კატარღები გამოუყვეს.

ბექაურის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა ფლოტში სწრაფმავალი სატორპედო კატარღების არსებობა, რომლის კონსტრუირება და მშენებლობა იმ დროისათვის ჯერ კიდევ უცნობმა ალექსეი ტუპოლევმა დაიწყო.

ბექაურს განზრახული ჰქონდა აგრეთვე დისტანციური მართვის საზღვაო ნაღმებისა და ტორპედოების სრულყოფა. ჯერ კიდევ 1925 წელს გამოცადა რადიოაპარატურა, რომლის მეშვეობითაც ფინეთის ყურეში 25 კმ მანძილიდან 5 საზღვაო ნაღმი ააფეთქა. მოგვიანებით კი შექმნა რადიოტალღებით მართვადი ტორპედოები „აკულა-1“ და „აკულა-2“, რომელთა შესახებ ცნობები დღემდე გასაიდუმლოებულია.

ცნობილია, რომ 1935 წელს საგანგებო საკონსტრუქტორო ბიურომ ონეგის ტბაზე ტორპედოების საქარხნო გამოცდები (ტორპედოები ჰიდროთვითმფრინავიდან იმართებოდა) დაასრულა. პარალელურად, ბექაური რადიომართვადი წყალქვეშა ნავების კონსტრუირებითაც დაინტერესდა და ამისათვის შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომელსაც სათავეში ინჟინერი შჩუკინი ჩაუდგა.

1934-1936 წლებში განყოფილებაში დაპროექტდა: ავტონომიური სპეციალური წყალქვეშა გემი (АПСС), ანუ ტელემექანიკური წყალქვეშა ხომალდი, ავტონომიური წყალქვეშა ნავი (АПЛ „პიგმეი“), 60 ტ წყალწყვის წყალქვეშა ნავი და სხვ.

АПСС-ის ბორტზე 500 კგ-იანი ასაფეთქებელი მუხტი თავსდებოდა და წყალზედა ხომალდიდან ან თვითმფრინავიდან რადიოთი იმართებოდა.

**ავტონომიური წყალქვეშა ნავი „პიგმეი“: სიგრძე — 16 მ, სიგანე — 9,62 მ, წყალწყვა — 18,6 ტ, სიჩქარე წყალზევით/წყალქვეშ — 5 კვანძი/6 კვანძი, ეკონომიკური სვლით ცურვის სიშორე წყალზევით/წყალქვეშ — 290/60 მილი, ჩაყვინთვის სიღრმე — 30 მ, ავტონომიურობა — 3 დღე**

1936 წლის ოქტომბერში „პიგმეი“ შავ ზღვაში გამოცადეს და ხარვეზების მიუხედავად, შეკვეთა 10 წყალქვეშა ნავის აგებაზე გაიცა.

ბექაურმა ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაიწყო ტელემართვადი, უეკიპაჟო ტანკის კონსტრუქციაზე მუშაობა და 1929-30 წლებში ცდები ჩაატარა ნაალაფარ ფრანგულ „რენოს“ ტიპის ტანკზე, რომელიც ელექტროსადენით იმართებოდა.

შემდგომ ცდები საბჭოთა წარმოების ტანკ МС-1-სა და Т-26-ზე გაგრძელდა. ორივე უკვე რადიოსიგნალებით იმართებოდა და ოთხ ბრძანებას — პირდაპირ სვლას, მარცხნივ-მარჯვნივ მოხვევასა და „სდექ“-ს ასრულებდა.

1932 წლისთვის კი იმავე ტანკებს უკვე 16 მოქმედების (მოხვევა, სიჩქარის შეცვლა, გაჩერება და მოძრაობის ისევ დაწყება, ასაფეთქებელი მასალის მუხტის აფეთქება, სპეციალური აპარატურის დამონტაჟების შემთხვევაში კი კვამლის ფარდის და მომწამლავი ნივთიერებების გაშვება) შესრულება შეეძლოთ. რადიოსიგნალები მართვას რამდენიმე ასეულ მეტრზე უზრუნველყოფდა.

ტელეტანკების კონსტრუირების ახალი ეტაპი 1934 წლიდან იწყება. დამუშავდა ტანკ ТТ-26-ის კონსტრუქცია, რომელიც მომწამვლელი ნივთიერებების გასაშვები მოწყობილობითა და ცეცხლსატყორცნი დანადგარით აღიჭურვა.

1935-36 წლებში ТТ-26 მცირე სერიით, სულ 55 ერთეულით გამოუშვეს, რომლის ნაწილი მართვისთვის აუცილებელი აპარატით იყო აღჭურვილი.

საბჭოთა ტელეტანკების საბრძოლო გამოცდა 1940 წლის 22 თებერვალს ფინეთის ომში, ვიბორგის რაიონში შედგა. მთავარი სატანკო შეტევის წინ რამდენიმე ტელეტანკი ТТ-26 გაიგზავნა, მაგრამ ორმოებისა და ფინელთა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებით მიღებულ დაზიანებათა გამო დავალების შესრულება ვერ შეძლეს.

ბექაურის „საგანგებო საკონსტრუქტორო ბიურომ“ დიდ წარმატებას რადიომართვადი ნაღმების შექმნაში მიაღწია. საგამოცდო კომისიის დასკვნით მასზე მუშაობა 1932 წელს დასრულდა და მას ინდექსი БЕМИ მიენიჭა.

1934 წლის 23 იანვარს შორეულ აღმოსავლეთში სიტუაციის გამწვავების გამო იქ საგანგებო ასეული და 50 რადიოფუგასი БЕМИ გაიგზავნა.

ბექაურის გამოგონებულ რადიოფუგასებს წითელი არმია მეორე მსოფლიო ომის დროსაც იყენებდა.

1937 წლამდე ვლადიმერ ბექაური და მისი თანამოაზრენი დიდ პატივში იყვნენ. ქართველი გამომგონებელი 1932 წელს წითელი ვარსკვლავის ორდენით, 1934 წელს ლენინის ორდენით და 1936 წელს კი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. იმ დროს საბჭოთა კავშირში სხვა, უფრო აღმატებული ჯილდოები არ არსებობდა.

1937 წლის 8 სექტემბერს ბექაური და საკონსტრუქტორო ბიუროს რამდენიმე წამყვანი თანამშრომელი ლენინგრადში მოულოდნელად დააპატიმრეს და იმავე დღეს ეტაპით მოსკოვში გაგზავნეს.

დაკითხვაზე ბექაურმა რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი ჩვენება მისცა გამომძიებელს. ერთ-ერთის თანახმად, იგი გერმანიის დაზვერვამ 1932 წელს, ბერლინში ყოფნისას გადაიბირა, ხოლო მეორით კი ტუხაჩევსკისა და აბელ ენუქიძის თხოვნით ანტისაბჭოთა საქმიანობა დაიწყო. საბოლოოდ კი „გამოტყდა“, რომ თვალთმაქცობდა, მის მტრულ საქმიანობას კი ტუხაჩევსკი მფარველობდა.

**1938 წლის 8 თებერვალს ბექაურს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და იმავე დღეს დახვრიტეს.**

საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს 1956 წლის 9 ივნისის დადგენილებით ვლადიმერ ბექაური უდანაშაულოდ ცნეს და რეაბილიტირებულად გამოაცხადეს.

ასე გამოხატეს მადლიერება ბოლშევიკ-კომუნისტებმა მთიულეთში, გლეხის ოჯახში დაბადებული უნიჭიერესი, შემოქმედებითი აზროვნებით დაჯილდოებული, დიდი ორგანიზატორული ნიჭის მქონე ადამიანის გაწეული ღვაწლისათვის.



**ავტონომიური წყალქვეშა ნავი „პიგმეი“**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩინური ავიაცია წინ „გაიჭრა"...

ეკონომიკურმა კრიზისმა ბევრი სახელმწიფო ქამრების შემოჭერის პოლიტიკაზე გადაიყვანა, რამაც თავდაცვით ხარჯებზეც მოახდინა ზეგავლენა და ბევრი სამხედრო პროგრამა შეჩერდა ან დაიხურა. სამაგიეროდ, ჩინეთში სამხედრო ინდუსტრიის ბუმია და უკანასკნელ ნახევარ წელიწადში ამ ქვეყანამ სამხედრო სფეროში სიახლეებით ერთად მთელ მსოფლიოს აჯობა.

გამორიცხული არ არის, ახლო მომავალში ჩინეთმა იარაღის ბაზარზე ამერიკა, ევროპა და რუსეთი შეავიწროოს.

2011 წლის 11 იანვარს ჰაერში პირველად აფრინდა ჩინური მეხუთე თაობის თვითმფრინავი J-20. ცოტა ხნის შემდეგ ჩინური ხომალდსაწინააღმდეგო ბალისტიკური რაკეტის გამოცდის შესახებ გახდა ცნობილი. ორიოდე თვის წინ კი ინტერნეტში ახალი ჩინური სამხედრო თვითმფრინავის ფოტოები დაიდო. ეს გასაკვირი არ არის, რომ არა ერთი გარემოება — გამანადგურებელი J-15 საგემბანო ბაზირებისაა. ამ კლასის თვითმფრინავები კი ხელწამოსაკრავი სულაც არ არის.

ადრე თუ გვიან ჩინეთი ასეთ თვითმფრინავს რომ შექმნიდა, ყველამ იცოდა. აგერ უკვე 10 წელზე მეტია, ჩინეთი ავიამზიდ კრეისერ „ში ლანის" მოდერნიზაციას უტარებს. ამ ხომალდის მშენებლობა 1985 წელს საბჭოთა კავშირმა „ვარიაგის" სახელით დაიწყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ნახევრად დასრულებული ხომალდი უკრაინას გადაეცა. მან კი 1993 წელს 20 მლნ დოლარად ჩინეთს მიჰყიდა.

სავარაუდოდ, მწყობრში ის 2011 წლის ბოლოს ჩადგება. მეტიც, ჩინელებმა საგემბანო მფრინავების მოსამზადებლად სპეციალური სახმელეთო კომპლექსიც კი შექმნეს. სხვათა შორის, თავის დროზე ზუსტად ასეთი კომპლექსი „ნიტკა" საბჭოთა კავშირმა უკრაინაში ააგო.

ჩინური „მფრინავი ზვიგენი" რუსულ Су-33-ს გაჭრილი ვაშლივით ჰგავს





ებრაული ორადგილიანი „ლავი“ (ზედა ფოტო) და მის ბაზაზე შექმნილი ჩინური ორადგილიანი J-10S

რაც შეეხება თვითმფრინავს, რომელსაც ჩინელებმა Flying Shark-ი („მფრინავი ზვიგენი“) შეარქვეს, ის, ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ავიაციაში, მისი ფოტოს დანახვისთანავე მასში რუსულ Су-33-ს ამოიცნობს.

J-15 პირველად ჰაერში ჯერ კიდევ 2009 წლის 26 აპრილს აფრინდა, მაგრამ ფოტოები ინტერნეტში სულ ახლახან დაიდო. ბოლო დროს ჩინეთი ამგვარი ფაქტების მიმართ უფრო ლოიალურია, თორემ არც ისე შორეულ წარსულში სამხედრო პროგრამებთან დაკავშირებულ ინფორმაციას მკაცრად ასაიდუმლოებდა.

ის, რომ ჩინეთი ამგვარ თვითმფრინავს საკუთარი ძალებით ვერ შექმნიდა, ნათელია. ექსპერტთა უმეტესობის აზრით, ჩინელებმა ნიმუშად 2005 წელს (მეორე ცნობებით 2001-ში) უკრაინაში ნაყიდი საგემბანო Су-33-ის ერთ-ერთი პირველი პროტოტიპი T-10K-3 გამოიყენეს. ფოტოებით თუ ვიმსჯელებთ, „მფრინავ ზვიგენს“ კეცვადი ფრთები აქვს. რამდენიმე წლის წინ ჩინეთისთვის ასეთი ტექნოლოგიები მიუწვდომელი იყო. არც ისე დიდი ხნის წინ ჩინეთი რუსეთთან 50 Су-33-ის შესყიდვაზე მოლაპარაკებას აწარმოებდა. შემდგომ თვითმფრინავების რიცხვი ორამდე შემცირდა და სულ მალე უშედეგოდ დასრულდა – რუსეთმა ტექნოლოგიების დატაცების საფრთხით თვითმფრინავების მიყიდვაზე უარი თქვა. თუმცა რაზეც უარი თქვა რუსეთმა, უკრაინამ სიამოვნებით გააკეთა.

1996 წელს ჩინეთსა და „სუხოის“ შორის 2,5 მლრდ დოლარის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელიც რუსული მაკომპლექტებელი დეტალებით ჩინეთში 200 გამანადგურებლის (ნიშნული J-11) ლიცენზირებულ წარმოებას ითვალისწინებდა.

2003 წლამდე ჩინეთში 95 თვითმფრინავის ასაწყობი მაკომპლექტებლები გაიგზავნა, რის შემდეგაც პეკინმა დანარჩენი 105-ის აწყობაზე უარი განაცხადა და მიზეზად თვითმფრინავის თანამედროვე მოთხოვნებთან შეუსაბამობა დაასახელა.

იყო სხვა ნიუანსებიც, უპირველესად, მხარეებს შორის დადებული შეთანხმება ძრავებისა და ავიონიკის ლიცენზირებული წარმოების გადაცემას არ ითვალისწინებდა. ეს სისტემები მთლიანად რუსული უნდა ყოფილიყო. მეორე – შეიარაღების მართვის რუსული სისტემა ჩინურ რაკეტებს არ შეესაბამებოდა. ამის გამო ჩინელები იძულებული იყვნენ რუსეთისგან „ჰაერი-ჰაერი“ კლასის დამატებითი რაკეტები შეეძინათ.

ამ ფაქტორებმაც გავლენა იქონია, მაგრამ რეალური მიზეზი სულ სხვა იყო. რუსეთში ეს იცოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

2006 წელს ინტერნეტში J-11B-ის პირველი ფოტოები გაჩნდა. ახალი თვითმფრინავი ჩინური წარმოების ავიონიკითა და ელექტროაღჭურვილობით რუსულ Су-ს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. ამის გამო „სუხოიმ“ ჩინეთი ტექნოლოგიების დატაცებაში დაადანაშაულა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ჩინეთი საავიაციო ტექნიკას მარტო რუსეთის „დახმარებით“ როდი ქმნის. 2008 წელს ავიასალონ AirShow China 2008-ზე საჩვენებელი ფრენების პროგრამა ახალმა ჩინურმა გამანადგურებელმა J-10-მა გახსნა. მისი დებიუტი ავიასალონის მთავარი სიახლე იყო. ფრთაზე მოქმედი მცირე დატვირთვისა (რაც „იხვის“ აეროდინამიკური სქემისთვისაა დამახასიათებელი) და ძლიერი ძრავის წყალობით თვითმფრინავი ჰაერში თავბრუდამხვევ პირუეტებს ხაზავდა.

თვითმფრინავი საიდუმლო ვითარებაში იქმნებოდა და მისი საჯარო დემონსტრაცია 2006 წელს, სერიული წარმოების დაწყებიდან ორი წლის შემდეგ შედგა.

მანამდე კი 1994 წლის ოქტომბერში პრესაში ამერიკულ დაზვერვაზე დაყრდნობით დაიბეჭდა ინფორმაცია, რომ



მოდერნიზირებული J-10B საბაზო ვარიანტისგან ბევრი ცვლილებით გამოირჩევა

ეროვნული ბიბლიოთეკა



თანამგზავრიდან გადაღებული ამერიკული F-117A-ის ჩინური ასლი

ჩინეთში „რაფალისა“ და „ევროფაიტერის“ მსგავსი გამანადგურებელი იქმნებოდა და ინტერნეტში პირველი ფოტოებიც დაიდო. ამჯერად ექსპერტთა შეფასებით საქმეში აშკარად ისრაელის ხელი შეიმჩნეოდა.

80-იანი წლების დასაწყისში ისრაელის თავდაცვის მინისტრმა მრავალფუნქციური გამანადგურებლის იდეა წამოაყენა და მას რეალური საფუძველი ჰქონდა. ფრანგული „მირაჟ 5“-ის ბაზაზე საკუთარი „ქფირის“ შექმნით ისრაელმა საკმარისი გამოცდილება მიიღო და ახალი კონსტრუქციის თვითმფრინავის შექმნის შესაძლებლობა მისცა.

პროექტირება 1982 წელს დაიწყო. გეგმა 300 სერიული თვითმფრინავის შექმნას (მათ შორის — 60 ორადგილიანის) ითვალისწინებდა. პირველი თვითმფრინავები კი შეიარაღებაში 1990 წელს უნდა მიღებულიყო. თვითმფრინავს სახელიც კი შეურჩიეს „ლავი“, რაც „პატარა ლომს“ ნიშნავს.

1986 წლის 31 დეკემბერს „ლავი“ პირველად აფრინდა. ოთხი თვის შემდეგ საცდელი ფრენების პროგრამას მეორე პროტოტიპიც შეუერთდა (ორივე თვითმფრინავი ორადგილიანი იყო), მაგრამ 1987 წლის 30 აგვისტოს ისრაელის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით პროექტი დაიხურა.

ფორმალურად ფინანსური სირთულეები დასახელდა, თუმცა ბევრს ესმოდა, რომ მიზეზი ამერიკის ზეწოლა იყო. განსხვავებული ფორმისა და შეთანწყობის მიუხედავად, ებრაულ „ლავიში“ ამერიკული F-16-ის ამოცნობა იოლი იყო. ალბათ, ამერიკა ბაზარზე პოტენციური კონკურენტის შესაძლო გამოჩენამ გააღიზიანა. „ლავის“ ნაცვლად, აშშ-მა ისრაელს F-16-ების დამატებითი პარტიის შეძენის უფლება მისცა.

1982 წელს ჩინეთში თავდაცვის სამინისტროს შტაბში გამართულ შეხვედრაზე სამხედრო ავიაციის პერსპექტივები განიხილებოდა. სამხედროებს ახალი თვითმფრინავი უნდოდათ, რომელიც F-16-ზე ნაკლები არ იქნებოდა. მხოლოდ საკუთარი ძალის იმედი ქვეყანას არ ჰქონდა და ამიტომაც საზღვარგარეთიდან ტექნოლოგიების შეძენის ვარიანტიც განიხილებოდა.

ჩინურ ვარიანტში „ტექნოლოგიების შეძენა“ მათ კოპირებასაც გულისხმობდა. არსებობდა საკმაოდ ამბიციური გეგმაც — სამხრეთ აზიის რომელიმე სახელმწიფოში რამდენიმე F-16-ის ყიდვა, მაგრამ მისი ხორცშესხმა ვერ მოხერხდა.

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ჩინურ-ებრაული თანამშრომლობა. ის, რომ ისრაელმა ჩინეთს „ლავის“ შექმნისას თავისი ცოდნა გაუზიარა, ფაქტია. თუმცა ამ ისტორიის დეტალები დღემდე უცნობია. ისევე როგორც ის, თუ რა სახის ტექნიკური დოკუმენტაცია იყო გადაცემული ჩინეთისთვის და რა ფასად.

„ლავის“ ტექნიკური დოკუმენტაციის საკუთარ ქვეყნის ნორმებზე გადაყვანას ჩინელმა სპეციალისტებმა ორი წელი მოანდომეს.

ჩინელებმა იცოდნენ, რომ თვითმფრინავს სერიულ წარმოებამდე ვერ მიიყვანდნენ, განსაკუთრებით ძრავა იყო პრობლემა. თვითმფრინავისთვის „გულის“ ძებნა ჩინელებმა რუსეთში დაიწყეს. შედეგად თვითმფრინავზე АЛ-31ФН დაყენდა. სხვათა შორის, რადიოლოკაციური სადგურიც და კატაპულტირებადი სავარძლებიც რუსულია.

2002-04 წლებში რუსეთმა ჩინეთს 54 ძრავა მიჰყიდა, ერთი წლის შემდეგ კი ახალი ხელშეკრულებით დამატებით კიდევ 150.

J-10-ს სხვა თვითმფრინავებისგან განსხვავებით მკვეთრად გამორჩეული ფორმა აქვს. მისი დამახასიათებელი ნიშნებია ფიუზელაჟის ქვეშ ჰაერმიმღები, სამკუთხა ფრთა და წინა ჰორიზონტალური ფრთასხმულობა. ამგვარი აეროდინამიკური სქემა სტატიკურად არამდგრადია, რაც თვითმფრინავს მაღალ მანევრულობას ანიჭებს.

გამანადგურებელი პირველად 1998 წლის 23 მარტს აფრინდა. მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავში ჩინური მხოლოდ 40-50%-ია, ის საკმაოდ კარგი გამოვიდა. მისი საბრძოლო დატვირთვა 6000 კგ-ია და შეიარაღების განთავსება 11 საკიდზე ხდება.

უცნობია თვითმფრინავების რაოდენობა. არსებული ცნობით მათი რიცხვი 80-დან 100-მდე მერყეობს.

ამჟამად თვითმფრინავის გაუმჯობესებულ მოდიფიკაციას J-10B-ს ცდიან. ამის შესახებ ინფორმაცია 2009 წელს გავრცელდა, მაგრამ ფოტოსურათები არც ისე დიდი ხნის წინ გახდა ხელმისაწვდომი.

ფოტოებით თუ ვიმსჯელებთ, გამანადგურებლის ახალმა ვარიანტმა არაერთი ცვლილება განიცადა. მასზე დაყენებულია ახალი ტიპის ჰაერმიმღები, რომლის ქვედა „ტუჩიც“ წინ არის გამოწეული. მფრინავის კაბინის წინ ოპტიკურ-ელექტრონული სადგური, ხოლო კილის ბოლოში კი კონტეინერი გაჩნდა. სავარაუდოდ, მასში რადიოელექტრონული წინააღმდეგობის სისტემაა განთავსებული.

რაც შეეხება საავიაციო ძრავებს, საქმე უფრო რთულად არის. საზოგადოდ, ძრავის კოპირება ძნელია, მაგრამ რუსულ АЛ-31ФН-ისა მაინც მოხერხდა. თუმცა შეძლეს თუ არა ჩინელებმა რუსული ძრავის რესურსის, შესაძლებლობებისა და საიმედოობის შენარჩუნება, უცნობია.

ახალი „ჩინური“ ძრავა WS-10A კიდევ ერთმა გამანადგურებელმა — J-11B-მა მიიღო. თვითმფრინავის ძრა-

ვის გარჩევა თავისუფლად შეიძლება — ჩინურ ძრავზე საქშენები შედარებით მოკლე და უფრო დიდი დიამეტრისაა.

გასული წლის დეკემბრის ბოლოს „როსობორონექსპორტმა“ РД-93-ის ტიპის 43 ძრავის მიწოდებაზე ჩინეთთან ხელშეკრულება გააფორმა (ის რუსულ МиГ-29-ზე დაყენებული РД-33-ის მოდიფიკაციაა).

ამ ტიპის საავიაციო ძრავებს ჩინელები FC-1-ზე იყენებენ. ეს პირველი ჩინური გამანადგურებელია, რომელიც მხოლოდ საექსპორტოა. თვითმფრინავი პაკისტანთან ერთად შეიქმნა. 2010 წლიდან პაკისტანის შეიარაღებაში 14 ასეთი თვითმფრინავია, იგეგმება მათი 270 ერთეულამდე გაზრდა.

გასულ წელს რუსეთში ჩინეთისთვის საავიაციო ძრავების მიწოდებამ ადგილობრივი საავიაციო ტექნიკის მწარმოებლები გააღიზიანა. მიზეზი ნათელი იყო — ბაზარზე ჩინურ-პაკისტანური FC-1-ი რუსული МиГ-29-ის პირდაპირი კონკურენტია. რა თქმა უნდა, რუსული ტექნიკა ჩინურზე საიმედოა და გაცილებით ძვირიც ღირს.

ავიაციაში ჩინეთს უფრო შორს მიმავალი გეგმა აქვს. ის მსოფლიოში მესამე ქვეყანაა, რომელის მეხუთე თაობის თვითმფრინავი უკვე დაფრინავს.

ამ გამანადგურებლის ფოტოები გასული წლის დეკემბერში გამოჩნდა და მის ორიგინალურობაზე დავა მაშინვე დაიწყო. ბევრმა ფოტოზე აღბეჭდილი თვითმფრინავი ნახატად ჩათვალა, მათ შორის — ჟურნალ Aviation Week-ის რედაქტორმა ბილ სვიტმენმა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ჩინეთს მსგავსი ტექნოლოგიები არ გააჩნია.

2011 წლის 9 იანვარს აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა განაცხადა, რომ დაზვერვამ სათანადოდ ვერ შეაფასა ჩინური თავდაცვითი კომპლექსის განვითარების ტემპი და შესაძლებლობები.

11 იანვარს ცნობილი გახდა, რომ თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა. ის ნაკლებშემჩნევადობის პრინციპითაა შექმნილი და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჩინელებისთვის ხელმისაწვდომია მფრინავის კაბინის ფარნის მინის ერთი ნაწილისგან დამზადების ტექნოლოგია.

ანალოგიური ფარანი ამერიკულ F-22-სა ან F-35-ზე გამოიყენება. J-20-ის ცხვირა ნაწილი ძალზე ჰგავს ამერიკულ „რაპტორს“, კუდის თაობაზე კი სპეციალისტთა აზრი გაიყო — ნაწილი მას F-35-ს, ნაწილი კი T-50-ს ამსგავსებს.

თვითმფრინავის შიგთავსზე ზუსტი ინფორმაცია არ მოიპოვება. არსებული მონაცემებით, თვითმფრინავს აქვს WS-10G-ის ტიპის ძრავები, რომელიც რუსეთში АЛ-31Ф-ის ლიცენზირებული ვარიანტის გაუმჯობესებელი ვერსიაა.

ყველაზე ბევრ კითხვას მეხუთე თაობის მთავარი ელემენტი – რადიოშთანმთქავი მასალები ბადებს.

J-20 ამერიკელებისთვის ნამდვილი შოკი იყო. მათი აზრით, ჩინეთს რადიოშთანმთქავი მასალების შექმნის ტექნოლოგიები არ გააჩნდა. ამერიკელებმა ხელი მაშინვე რუსებისკენ გაიშვირეს და ჩინელებისთვის ნაკლებშემჩნევადობის ტექნოლოგიების მიყიდვაში დაადანაშაულეს, თუმც რუსები ამერიკელებზე არანაკლებ გაოგნებული იყვნენ.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ჩინელებმა იუგოსლავიაში ჩამოგდებული ამერიკული F-117-ის ფრაგმენტების მოძიება მოახერხეს. თვითმფრინავი საბორტე ნომრით „82-806“ 1999 წლის 27 მარტს ჩამოაგდეს.

კონფლიქტის დასრულებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ხორვატმა სამხედროებმა ამ რეგიონში ჩინური დაზვერვის გააქტიურება შენიშნეს. მათი თქმით, ჩინეთის დაზვერვის მიერ გადაბირებული პირები მოსახლეობისაგან ჩამოგდებული თვითმფრინავის ფრაგმენტებს ყიდულობდნენ.

გასაკვირი ის არის, თუ როგორ შეძლეს ჩინელებმა რადიოშთანმთქავი მასალების შემადგენლობის გამეორება.

2010 წლის დასაწყისში ინტერნეტში ჩინეთში შექმნილი F-117-ის ასლის თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოები გაჩნდა. თვითმფრინავი ხენანის პროვინციაში ერთ-ერთ სამხედრო საწარმოს ტერიტორიაზე იდგა.

თუ ჩინელებმა ამერიკული სტელსტექნოლოგიების კოპირება შეძლეს, ეს არაფერზე მეტყველებს, — F-117-ის შემდეგ ნაკლებშემჩნევადობის ტექნოლოგიები უფრო განვითარდა.

**ალექსანდრე აფაქიძე**

ზემოდან ქვემოთ: რუსული T-50, ამერიკული F/A-22 და ჩინური J-20. როგორც ჩანს, სამივე მათგანის ფორმებს ბევრი საერთო აქვს







ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა ხდებოდა რეზერვში

## პალდოს ბაზაში გატარებული 16 დღე

**„არსენალის“ გასულ ნომერში ვთხოვდით დაგვკავშირებოდნენ ის პირები, ვინც რეზერვისტთა შეკრება გაიარა და თავისი პირადი შთაბეჭდილებები ჩვენი ჟურნალის მკითხველებისთვის მოეთხრო.**

**ჩვენი თხოვნა გაითვალისწინა რეზერვისტმა თემურ იობაშვილმა (რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით). გთავაზობთ მის მოგონებებს სარეზერვო სამსახურზე, რომელიც ჩვენი აზრით საინტერესო უნდა იყოს რეზერვში წამსვლელთათვის და არა მარტო მათთვის.**

ივნისის დასაწყისში სამსახურიდან შინ დაბრუნებულს რეზერვში გამოძახების უწყება დამხვდა, სადაც ეწერა, რომ თავის არიდების შემთხვევაში კანონის შესაბამისად ვაგებდი პასუხს.

საქართველოში სარეზერვო მომზადებაზე იმდენი ჭორ-მართალი დადიოდა, რომ დავინტერესდი, რეალურად რა ხდებოდა რეზერვში. არც სამხედრო სამსახური მაქვს გავლილი, რადგან ინსტიტუტს სამხედრო კათედრა ჰქონდა, და არც რეზერვში ვყოფილვარ გამოძახებული. მითითებულ დღეს გამოვცხადდი კომისარიატში და რეზერვში წაყვანის ზუსტი თარიღი მითხრეს, — 16 ივნისს, დილის 9 საათზე გამგეობის შენობასთან უნდა მივსულიყავი.

### 16 ივნისი

გლდანი-ნაძალადევის გამგეობის ძველი შენობის წინ ბლომად ხალხია. მე მარტო მივედი, არც გამცილებელი მინდა და არც საქმის ჩამწყობი. მაინტერესებს, რა და როგორ ხდება. ეზოში შუახნის კაცი დგას და გარშემო ბიჭების არმია ახვევია. სიას კითხულობს. სიის ამომკითხველი იხვეწება, ვისაც ამოგიკითხავთ, გადადით გვერდზეო. ჩემი გვარი გავიგე და გადავედი. გაგვაფრთხილეს, ვისაც ახლა არ გინდათ წასვლა, შეგიძლიათ შემდეგ გაწვევაზე მობრძანდეთ. ვიცი, ერთი თვის მერე სამსახურშიც ნაკლებად მეცლება და თან უარესადაც დაცხება. ამიტომ მირჩევნია ამ გაწვევაზევე წავიდე.

ავტობუსებისკენ მიგვითითეს. რამდენიმე დიდი ავტობუსია. როგორც ჩანს, გლდანი-ნაძალადევის რაიონში ბლომად რეზერვისტია. სად ვიმსახურებთ, არ ვიცით. ჯერ ისიც არ ვიცით, ჯანმრთელობა ვის უვარგა. ვინც ჯანმრთელი აღმოჩნდება, ის წავა, ვისაც „დაბრაკავენ“, საღამომდე ამ ავტობუსითვე გამგეობასთან დააბრუნებენ.

ბიჭები ამბობენ, რომ საქმის ჩაწყობა და ჯანმრთელობის ცნობის აღება, სადაც მითითებული იქნება რომ ჯარისთვის უვარგისია, — გაძნელდა. მაგრამ ზოგს მაინც აქვს იმედი, რომ „დაბრაკვას“ გამოჰკრავს ხელს და გადარჩება რეზერვში სამსახურს.

მივედით კრწანისის სასწავლო ცენტრში. ჯერ ისევ დილაა, მაგრამ უკვე გვარიანად ცხელა. ეზოში მწკრივად მოგვაწყვეს. ჯანმრთელობა უნდა შეგვიმოწმონ. რიგი ნელ-ნელა მიიწევს. ჩემმა რიგმაც მოაწია. ძალიან უცნაური მეთოდით შემიმოწმეს ჯანმრთელობა. თეთრხალათიანი გოგონა მეკითხება:

— ჯანმრთელი ხარ?
— მგონი კი.
— არაფერი გაწუხებს?

— არ შემიმჩნევია.

— ძალიან კარგი. რამდენს იწონი?

— ბოლოს რომ ავიწონე, 88 კგ ვიყავი.

— სიმაღლე?

— 180 სმ.

— რა ფერის თმა გაქვს?

აქ უკვე ნერვები ამეშალა.

— ეგ მაინც მიხვდი შენით! — მგონი, ცოტა გაბრაზდასავით.

— წაბლისფერს ჩავწერ, — ამომხედა, — თვალები რა ფერი გაქვს?

— გააჩნია ამინდს, — შაყირის ხასიათზე დავდექი.

შემომხედა და ღია ყავისფერი ჩამიწერა.

— შედი, სისხლს აგიღებენ, — გადმომცა ჩემი ჯანმრთელობის დამადასტურებელი ფურცელი.

სისხლის აღების შემდეგ პასუხებს ეზოში ველოდებით. დრო გადის და სიცხე უფრო აუტანელი ხდება. როგორც იქნა, სამედიცინო ოთახიდან „მაცნე“ გამოვიდა და ხელში ანკეტები უჭირავს. როგორც გაირკვა, ჯერ „დაბრაკულების“ სიას ამოიკითხავს. თუმცა, ვისთვის „დაბრაკულების“ სიაა და ვისთვის შინდლერის. გასაწვევების დიდი ნაწილი ბედნიერი სახით იყურება სიაში მისი გვარის ამოკითხვის შემდეგ – რეზერვში წასვლას გადარჩნენ. შემოწმებაგავლილთა დაახლოებით მესამედი „დაბრაკულთა“ სიაშია. „ჯანმრთელთა“ რიცხვში აღმოჩენილებს ახლა ის გვაფიქრებს, სად წაგვიყვანენ. ჩემი ნაცნობებიდან ვინც რეზერვი მოიარა, ყველაზე უარესს „ალგეთის“ ბაზას ასახელებენ. სხვა ვარიანტებიდან ვიცით, რომ არსებობს „პალდოს“ ბაზა, ასევე, შეიძლება თელავშიც აღმოვჩნდეთ.

„ჯანმრთელებისთვის“ ინტერვიუს დრო დადგა. ყველა რეზერვისტმა უნდა გადავიღოთ ფოტო და ასევე გავესაუბროთ სამხედრო სამსახურის წარმომადგენელს. ისე აგროვებენ ჩემზე ინფორმაციას, თითქოს უშიშროებაში ვიწყებდე მუშაობას. საკონტაქტო ნომრები: და-ძმის, დედ-მამის, ცოლის... განათლება, უცხო ენები... არაფერი დამიმალავს. ამის შემდეგ კონტრაქტზე ხელმოწერის დრო დგება. ისევ რიგი და ისევ ლოდინი. თაბახის ფურცელზე დაახლოებით ნახევარ გვერდზე კონტრაქტის პირობებია ჩამოწერილი. ზუსტად ტექსტი არ მახსოვს, თუმცა, ის კი ვიცი, რომ გადავიკითხე და განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია. მითითებულია, რომ რეზერვში ყოფნის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეების მსგავსად ჩვენც სამხედრო წესებით მოგვიწევს ყოფნა.

უკვე კაი დრო გავიდა, რაც კრწანისის ცენტრში ვართ. ცხელა, გვშია, გვწყურია. მოგვაწყვეს და მშრალი ულუფა დაგვირიგეს. ჩვენდა გასაკვირად, ულუფა არც თუ ცუდი აღმოჩნდა. 6 ცალი შებოლილი სოსისი, 2 სნიკერსი, 1 ქილა ცივი „კოკა-კოლა“, 1 კოლოფი მიწის თხილი, 1 შეფუთვა „ხლებცი“. სულიც მოვითქვით და ხურდაც დაგვრჩა. ამის შემდეგ უკვე სამხედრო ნაწილში წასვლის დრო დგება. ვიღაცამ, ბიჭებო, გაგვიმართლა, „პალდოში“ მივდივართო. როგორც ვიცით, პალდო ტყეშია, გრილა. ჩვენთან ერთად მოსული ბიჭების ნაწილი უკვე წაიყვანეს. გავიგეთ, ისინი ალგეთში წაუყვანიათ. ალგეთი უდაბნოა, ბუჩქს ვერ ნახავ და გველები დასეირნობენ... ჩვენ ალგეთს გადავრჩით. ჯერ მობილურები არ ჩამოურთმევიათ. შინ დავრეკე და ვუთხარი, გამიმართლა, პალდოში მივდივართ-მეთქი.

თითქმის მოსაღამოვდა. სამხედრო მანქანებიც ჩამოდგა. მოგვაწყვეს. ბლომად ხალხი ვართ და მანქანებიც ბლომადაა. როგორც იქნა, დავიძარით. გვცხელა, მაგრამ იმედი გვაქვს, სიგრილეში მივალთ. თბილისს გავცდით, გომბორი-თელავის ახალი გზით მივდივართ. თბილისთან შედარებით აქეთ გრილა. მივაღწიეთ პალდოს სამხედრო ბაზას. მანქანებიდან ჩამოვედით და მოგვაწყვეს. ადგილზე მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისგან გვესმის, რომ სამოთხეში მოვხვდით. თუმცა აქაურ „სამოთხეში“ რაც პირველი ვიგრძენით, ტუალეტის სუნია. კი გრილა, მაგრამ ნიავს ეს „სურნელი“ მოაქვს.

მწყობრში ვდგავართ და სერჟანტი გვაფრთხილებს, სამოქალაქო ჩანთებში ვინმეს თუ დანა აქვს, შესანახად უნდა ჩააბაროს, ასევე მობილური ტელეფონებიც. წასვლისას დაგვიბრუნებენ. ვისაც რა ჰქონდა, ჩააბარა. ამის შემდეგ ჩანთების შემოწმება დაიწყო. აკრძალული არაფერი მაქვს, თუმცა ამოლაგება და ჩალაგება მაინც უსიამოვნო პროცესია. მაგრამ ამას ვინ დაეძებს, თურმე მთავარი უსიამოვნება სადაცაა დაიწყება.

სამხედრო ფორმისა და აღჭურვილობის დარიგების დრო დადგა. ალბათ, 250-300 რეზერვისტი მაინც ვართ. ადგილზეც თითქმის ამდენივე დაგვხვდა. ესენი წინა 2 დღეს მოიყვანეს. მათ უკვე აქვთ სამხედრო აღჭურვილობა, ახლა ჩვენ უნდა მივიღოთ.

ისევ მოგვაწყვეს და სიას კითხულობენ. დაგვანაწილეს ოცეულებად და ათეულებად. ასევე, ათეულებში სპეციალობების მიხედვით: ათეულის მეთაური, მეტყვიამფრქვევე, თანაშემწე, ყუმბარსატყორცნის მსროლელი, თანაშემწე, მსროლელები. მე ყუმბარსატყორცნის მსროლელი აღმოვჩნდი – ასე შემხვდა. არც ვიცი, რა იარაღია და რატომ შემარჩიეს. ასევე არ იცის არავინ, რატომ შეხვდა ის, რაც შეხვდა. არც მხედველობა შეუმოწმებიათ ვინმესთვის, რომ კარგად დამიზნება შეეძლოს და არც ფიზიკური მონაცემებით აურჩევიათ ვინმე ამა თუ იმ სპეციალობაზე.

უკვე ბინდდება. ჩვენი ოცეული ერთ-ერთ კარავში შეგვიყვანეს. საკლასო ოთახს ჰგავს. შემოდის 22-23 წლის ბიჭი. ფორმა არ აცვია, მაგრამ ეტყობა, სამხედროა. თან, საკმაოდ ნა-



2008 წლის ომისთვის რეზერვი მოუმზადებელი აღმოჩნდა



საცეცხლე მომზადებისას უსაფრთხოების ზომების დაცვა აუცილებელი მოთხოვნაა

ვარჯიშევიც ჩანს. თქვენი სერჟანტი მე ვიქნები, გვეუბნება და იცინის. საერთოდ, სერჟანტების უმეტესობა საშუალოდ ამ ასაკისაა. ფორმების ასაღებად უკვე ოცეულების მიხედვით გვიწევს წასვლა.

გარეთ წვიმამ უმატა. ერთ-ერთ კარავში ტანსაცმელს, ქუდებს და ფეხსაცმელს გასცემენ, მეორეში — სამხედრო ჩანთებს, ჩაფხუტებს და კარდალებს. რიგში ვსველდებით. ჩვენ სამი ასეულიდან მესამე ასეული ვართ, თან მესამე ოცეული. რიგმა სულ ბოლოს მოგვიწია. ტანსაცმელის მორგება იოლი არ არის. არც ყველა ზომის შარვლები და „ხებეებია“ და ფეხსაცმელიც სასურველთან მიახლოებული ზომა უნდა ავირჩიოთ. 42 არ იყო და 43 ავიღე. მაისურები სტანდარტული ზომაა და ყველა პატარა მაქვს. ქუდების უმეტესობა ძალიან პატარაა, მაგრამ ასარჩევად არ არის საქმე. ვისაც რა შეგვხვდა, ავიღეთ. ერთი ზომით დიდი ბათინკები ნაკლები დისკომფორტია, ვიდრე ორი ზომით დიდი შარვალი და ამდენივეთი პატარა მაისური. ქუდიც ფორმალურად მადევს თავზე, არ მეტევა.

ჩანთა, ჩაფხუტი, კარდალა ავიღე და წვიმამ უკვე მაგრად დამასველა. შევედით კარავში, მოვირგეთ ჩვენი სამხედრო ფორმა. რას ვიზამთ, მთლად ზომა ზომაზე არ არის, მაგრამ ჩავიცვით. სამხედრო ჩანთებიც ავაწყვეთ. უკვე საკმაოდ გვიანია და კარვებშიც გადაგვანაწილეს. ჯერჯერობით რაც ყველაზე მეტად მიშლის ნერვებს, წვიმა და ტუალეტის სუნია. კარავში ზედა საწოლი შემხვდა. ჩვენი სერჟანტი გვეუბნება, რომ უკვე ძილის დროა და უნდა დავწვეთ. სამოქალაქო ჩანთები და სამოქალაქო ტანსაცმელი თუ ფეხსაცმელი ისე უნდა შევინახოთ, რომ არ ჩანდეს. ასეთი წესია. საწოლების ქვეშ მოვათავსეთ ყველაფერი.

გარეთ ისევ წვიმს.

სწრაფად დავწექით. აქ ყველაფერი სწრაფად ხდება. სერჟანტი შემოვიდა, დილის 6 საათამდე დაგვემშვიდობა და შუქი ჩააქრო... დაღლილი ვარ, მაგრამ ასე უცებ რა დამაძინებს. თან მიუჩვეველ ადგილას, კარავში, თან მეორე სართულზე და თან... ტუალეტის სუნი მიშლის ნერვებს. ტუალეტის, რომელიც კარვებიდან ასიოდე მეტრით არის დაშორებული, მაგრამ ისეთ დღეშია, ნიავს მთელ ბაზაში სუნი გადააქვს.

როგორც იქნა, კარავში ხმაური მიწყნარდა. გარეთ წვიმა მატულობს. ზოგმა დაძინება მოახერხა — ხვრინვა მესმის. ძილ-ბურანში ჩვენი სერჟანტის ხმა მესმის:

„ჩაიცვით სამხედრო ტანსაცმელი და სამოქალაქო ჩანთებიც და სამხედრო ჩანთებიც მზად გქონდეთ. შეიძლება ევაკუაციამ მოგვიწიოს!“ აუფ, ეს ევაკუაციაღა გვინდა ამ დაღლილ ხალხს. ვიცით, წინა რეზერვების დროს ცრუგანგაშებს უწყობდნენ რეზერვისტებს. მაგრამ ბრძანება ბრძანებაა. ვიცვამთ. ცოტა ხანში ისევ შემოდის სერჟანტი:

„ფეხსაცმელი გაიხადეთ, ტანსაცმელი გეცვათ. დაწექით, მაგრამ მზად იყავით, შეიძლება ევაკუაცია დაგვჭირდეს“.

მივწექით სამხედრო ფორმაში ჩაცმულები. გარეთ კაი მაგარი წვიმაა და თან ქუხს.

კარავში შუქი ჩაქრა.

მთელი ბაზა ჩაბნელდა — დენი მთლიანად გაითიშა.

გარეთ სამხედრო სატვირთოების ხმაური ისმის. ისევ შემოდის ჩვენი სერჟანტი და „სასწრაფოდ, აიღეთ თქვენი სამოქალაქო ჩანთები, სამხედრო ჩანთები, არაფერი დაგრჩეთ კარავში, მივდივართ ბაზიდან!“

ბნელა, მხოლოდ სანთებლების შუქი თუ ჩანს კარავში. გარეთ სამხედრო პოლიციის მანქანების „მიგალკები“ და ელვა ანათებს.

მაგრად წვიმს.

სწრაფად ავიბარგეთ.

ბნელა. სერჟანტები ველარ ახერხებენ ოცეულების მიხედვით ზუსტად გადაგვანაწილონ მანქანებში. სიბნელეში ყველა ფორმიანი ერთმანეთს ჰგავს.

ერთ-ერთ „კრაზში“ ავდივარ. იქაც



ეროვნული ბიბლიოთეკა



რეზერვისტთა მარშ-ნახტომი

ჩქარა ჩქარას გაიძახიან. თან მაქვს ორი ჩანთა და ჩაფხუტი. მანქანები დაქოქილია, მაგრამ ჯერ არ იძვრიან. უკვე მერამდენედ გადაგვთვალეს. ბაზაში უკვე წყალი დგას. „დროზე დაიძარით!“ — გარეთ ვიღაც ყვირის.

მანქანები წყალში მიდიან. ჩვენს მანქანაში უცებ ერთ რეზერვისტს გაახსენდა, რომ კარავში პირსახოცი დარჩა და გადახტა. მანქანაში ერთ-ერთი სერჟანტი გვახლავს. „რა დროს პირსახოცია“, — აყვირდა.

მანქანა ნელა მიდის. კოლონა ერთად უნდა გავიდეს და ერთმანეთს უცდიან. ამასობაში პირსახოცისთვის გადამხტარი ბიჭიც დაბრუნდა. რა უნდა ელაპარაკო, წყალდიდობაა და პირსახოცის გამო უკან მიბრუნდა.

როგორც იქნა, დავიძარით.

წინ სამხედრო პოლიციის ჯიპები მიდიან. ამოვედით ხეობიდან და გზაზე გავსწორდით.

გამახსენდა, რომ ბოტასები და სამხედრო ქუდი კარავში დამრჩა. რას ვიზამ, ვჩქარობდი და არ გამახსენდა. უცებ პირსახოცის გამო გადამხტარმა რეზერვისტმა გაგვამხიარულა: „ვაიმე, საფულე დამრჩა კარავში. მართვის მოწმობაც, პირადობის მოწმობაც და ფულიც იქ მქონდა“. მთავარია, ახლა ყველანი უსაფრთხო ადგილას ვართ და ვინ დაეძებს კარავში დარჩენილ ნივთებს?!

რიჟრაჟია. ვხედავთ, თბილისისკენ მივყავართ. ვაზიანისკენ გადაუხვიეს მანქანებმა და სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე შევედით. მანქანებიდან ჩამოვედით. ჩვენ ჩვენი ოცეულები მოვძებნეთ. მოგვაწყვეს ოცეულების მიხედვით. როგორც ჩანს, სერჟანტებმაც არ იციან, როგორ გაგრძელდება ერთი დღის წინ დაწყებული ჩვენი რეზერვისტობა. გაირკვა, რომ ყაზარმებში უნდა ავიდეთ. ზოგი ოთახი ცარიელია და იქ შეგვიშვეს. სამხედრო საწოლები ორსართულიანია. თითო საწოლზე სამ-სამნი მივწექით. რა დროს ტანსაცმლის გახდა და კაი ცხოვრებაა? ეგრევე, დასველებული მივეყარენით. სერჟანტებმა, ახლა დაიძინეთ და ჩვენ გავარკვევთ, რას გავაკეთებთო. ჭორი გავრცელდა, პალდო თუ დაიტბორა, შეიძლება თელავის ბაზაში წავიდეთო. მოკლედ, ერთ დღეში დიდი თავგადასავალი გადაგვხდა.

ასე 11 საათისთვის ვაზიანის სამხედრო სასადილოში მოგვიწია წასვლამ. შინაური საჭმელები კარგია, მაგრამ აქ არჩევანის დრო არ არის. თუმცა, საუზმის კვალობაზე მაინც ნორმალური საკვებია.

შუადღისას სერჟანტმა გამოგვიცხადა, რომ სამწყობრო ნაბიჯით სიარულში ვიწყებთ მეცადინეობას. მთელი დღე ვაზიანის პლაცზე სიცხეში დავდივართ და არ ვიცით, რომელ ბაზაში წავალთ. სადილის შემდეგ უკვე ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს კაი ხანია სამხედრო სამსახურში ვართ და წყალდიდობაც კაი ხნის წინ იყო. მოსაღამოებულზე გავიგეთ, რომ პალდოში ვბრუნდებით. ბაზა დატბორვას გადარჩენილა. ვაზიანის ტერიტორიაზე ნაცნობი შემხვდა. თურმე, ღამით ჩვენ რომ ევაკუაციაში ვიყავით, თბილისის ახლოს სოფლები დატბორილა. ერთ-ერთ სამხედრო პოსტზე კი ჯარისკაციც დამხრჩვალა, ადიდებულმა წყალმა წაიღოო. ჩვენ არაფერი ვიცით, მობილურები არავის არა აქვს და გარე სამყაროსთან კონტაქტი გაწყვეტილია.

საღამოს ისევ ჩაგვსხეს სამხედრო მანქანებში და პალდოში მივედით. ნაწილის გვერდით ჩამომავალი მდინარე ძალიან ადიდებულია. კარვებში წყალი არ შევარდნილა, ცოტა დააკლდა. ჩემი ბოტასები საწოლის ქვეშ დამხვდა. სხვებმაც ნახეს თავიანთი ნივთები, ზოგმა კი ველარ მიაკვლია.

ისევ სასწრაფოდ მოწყობა გვიბრძანეს, ჩანთები და ჩაფხუტებიც თან იქონიეთო. უკვე მოსაბეზრებელია ჩანთების და ჩაფხუტების თრევა. ხალხს ნელ-ნელა მოთმინება ეწურება. ასეულის მეთაურმა გამოგვიცხადა, ევაკუაცია შეიძლება კიდევ დაგვჭირდეს. ხეობის ზემოთ წყალსაცავია და თუ წყლის დონე სახიფათო გახდა, უნდა წავიდეთო.

როგორც იქნა, ძილის დრო მოვიდა, მივაღწიეთ ჩვენს საწოლებამდე და დავწექით.

**თემურ იობაშვილი**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არმინიუსი

## ძვ. წ. 18 — ახ. წ. 19

**არმინიუსმა, ხერუსკების ტომის ბელადმა, რომაელთა ლაშქარი დაამარცხა და კეისარ გერმანიკუსს ავგუსტუსის გეგმა ჩაუშალა, რაც გერმანიის დამორჩილებას ისახავდა მიზნად. რომაულ არმიას პუბლიუს კვინქტილიუს ვარუსი ედგა სათავეში.**

ჰერმან გერმანელი

### ქრონოლოგია

* ძვ. წ. 18 წელს დაიბადა.
* ახ. წ. 9 წელს გაიმართა ტევტობურგის ტყის ბრძოლა.
* 15 წელს ებრძოდა კეისარ გერმანიკუსს.
* 16 წელს რომაელთა ძლიერ შეტევას გადაურჩა.
* 17 წელს შეებრძოლა მარობოდს, მარკომანთა მეფეს.
* 19 წელს გარდაიცვალა.

არმინიუსის გერმანული სახელი ჰერმანი იყო, მამამისს კი, ხერუსკების ბელადს, სიგიმერი ერქვა. მართალია, გერმანელი ტომები რომაელებთან ვაჭრობით უკმაყოფილონი არ იყვნენ, მაგრამ რომის მიერ დაპყრობილ გალიაში ხშირად აწყობდნენ ლაშქრობებს. 12 წელს ავგუსტუსმა თავისი ძმისწულის, დრუზუსის სარდლობით ლეგიონები რაინისპირეთს შეუსია. 11 წელს დრუზუსმა მდინარე ვესერი გადალახა. მან თანამედროვე კიოლნის მახლობლად ავგუსტუსის მონუმენტი აღმართა და იმავე წელს ელბასაც მიაღწია.

როდესაც დრუზუსი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა, ის შეცვალა უფროსმა ძმამ, ტიბერიუსმა, რომელიც 7 წელს რომში გამოიძახეს, ოდნავ მოგვიანებით კი იმპერატორი გახდა. 4 წელს ტიბერიუსი ელბას მიადგა მარკომანთა დასამორჩილებლად. მოულოდნელად ჩრდილოეთ ბალკანეთში, ილირიაში, არეულობა დაიწყო და მან მარკომანებთან კავშირის შეკვრა ამჯობინა.

ახალგაზრდა არმინიუსზე რომაელებმა იმხელა გავლენა მოახდინეს, რომ მან და მისმა ძმამ გადაწყვიტეს, რომის დამხმარე ძალებში შესულიყვნენ. არმინიუსი ხერუსკების დამხმარე რაზმს სარდლობდა. მალე რომის მოქალაქეობა მიიღო და ტიბერიუსთან დაიწყო სამსახური პანონიის პროვინციის სამხრეთში.

### ხოცვა-ჟლეტა ტევტობურგის ტყეში

პუბლიუს კვინქტილიუს ვარუსი, ავგუსტუსის ძმის შვილიშვილის მეუღლე და სირიის ყოფილი მმართველი, ახ. წ. 9 წელს გერმანიის ლეგატად დაინიშნა. გერმანელ ხალხს ისე მოეკიდა, როგორც დამორჩილებულ ტომებს და დიდი ბეგარა დააკისრა. არმინიუსი ერთგულ მოკავშირედ რჩებოდა და რომის ბანაკშიც იყო, მაგრამ ვარუსს ეშინოდა, ვაითუ გერმანელთა აჯანყებისთვის ემზადებაო, და მისი ვარაუდი გამართლდა, 7 წელს არმინიუსმა გერმანელი ტომები ააჯანყა. ვარუსი დაუყოვნებლივ გაგზავნეს ამბოხებულთა დასამორჩილებლად.

> **მე პატიოსნად ვიბრძვი და არა მოღალატურად, თანაც მამაკაცებთან და არა ფეხმძიმე ქალებთან.**

ვარუსმა ლეგიონები მოკლე გზით, ტევტობურგის ტყით წაიყვანა და ამით გამოუტანა განაჩენი თავსაც და ჯარისკაცებსაც. გერმანელები მოულოდნელად ესხმოდნენ თავს და ისე, რომ რომაელები საპასუხო დარტყმასაც ვერ ახერხებდნენ, უკან იხევდნენ. ამას თან დაერთო თავისუფალი სივრცის შეზღუდულობა და წვიმა. გერმანელებისგან შემდგარი დამხმარე ჯარიც თანატომელების მხარეს გადავიდა. სამ დღეს გაგრძელდა ბრძოლა, ვარუსი დაჭრეს და ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყო, საკუთარი ხმლით მოისწრაფა სიცოცხლე. მისი თავი მარობოდს გაუგზავნეს, მაგრამ ნაცვლად იმისა, არმინიუსის ჯარს შეერთებოდა, მან მოკვეთილი თავი ავგუსტუსს გაუგზავნა. გადმოცემით, ავგუსტუსს უყვირია: „ვარუს, დამიბრუნე ჩემი ლეგიონები!“

ახ. წ. 14 წელს ავგუსტუსი გარდაიცვალა და ის ტიბერიუსმა შეცვალა. მომდევნო წელს კეისარმა გერმანიკუსმა, დრუზუსის ვაჟმა და ტიბერიუსის ძმისწულმა, გერმანულ ტომზე — ხატებზე გაილაშქრა და ერთიანად ამოჟლიტა — რომაელებმა არ დაინდეს არც ქალი, არც ბავშვი და არც მოხუცი. არმინიუსს უნდოდა, ხატებს მიშველებოდა, მაგრამ ოჯახური დავისას სიმამრმა სეგესტესმა უბრძანა, გერმანიკუსს დახმარებოდა. გერმანიკუსმა სეგესტესი გადაარჩინა, არმინიუსის ფეხმძიმე ცოლი თუსნელდა კი, მამისვე თანხმობით, დაატყვევა და რავენაში გაგზავნა. ქალმა თავისი ვაჟი თუმელიკუსი, ტყვეობაში, უმამოდ გაზარდა.

ომი გაგრძელდა. არმინიუსმა ხერუსკებს მიმართა: „მე პატიოსნად ვიბრძვი და არა მოღალატურად, თანაც მამაკაცებთან და არა ფეხმძიმე ქალებთან. გერმანიის ჭალებში ჯერ კიდევ შეხვდებით რომაულ „არწივებს“ (ლეგიონის უმთავრესი დროშა და სიწმინდე; მის დამკარგავ ლეგიონს შლიდნენ), რომლებიც მე დავკიდე ჩვენი მამა-პაპის სალოცავების პატივსაყოფად, — და არმინიუსმა თავისი ხალხი რთული

არჩევანის წინაშე დააყენა, — გაჰყევით სეგესტესს სამარცხვინო მონობისკენ, ან არმინიუსს დიდებისა და თავისუფლებისკენ“.

გერმანიკუსმა ისევ შეიყვანა ჯარი გერმანულ მიწებზე. რომაელები ტევტობურგის ტყეში შევიდნენ, სადაც ექვსი წლის წინანდელ ბრძოლაში დაცემული ლეგიონერების ძვლები ეყარა. გერმანიკუსმა ნეშტები მიწას მიაბარა და ერთ-ერთი ლეგიონის „არწივიც“ იპოვა. არმინიუსის დევნაში რომაელები ტყეში ღრმად შევიდნენ. სწორედ ეს ჰქონდა ჩაფიქრებული არმინიუსს. გერმანიკუსმა უბედურება კავალერიის წყალობით აიცდინა, მაგრამ დანაკარგი ძალზე დიდი ჰქონდა.

როცა რომაელები ზამთრის ბანაკისკენ გაემართნენ, არმინიუსმა მისი არიერგარდი ჭაობიანში მოიმწყვდია და გაანადგურა, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა მაინც ვერ მოიგო, რადგან მისმა მებრძოლებმა ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი. არმინიუსი რომაელებს მომავალშიც ბევრჯერ შეეჯახა, მაგრამ გამარჯვება მაინც ვერ მოახერხა.

გერმანიკუსმა კიდევ ორჯერ გაილაშქრა გერმანელ ტომებზე და ჯარს უბრძანა, ყველანი გაეჟლიტათ, განსაკუთრებით მეამბოხე ხერუსკები. 17 წელს ტიბერიუსმა გერმანიკუსი რომში გაიწვია. მისი აზრით, რომის ჩარევა საჭირო აღარ იყო, დასუსტებული და მოქიშპე გერმანელი ტომები ახლა ერთმანეთს დაერეოდნენ.

მართალიც აღმოჩნდა. არმინიუსი მალე ჩაება მარკომანთა მეფე მარობოდთან ომში, რომელშიც ეს უკანასკნელი დამარცხდა და რავენაში მოუწია გახიზვნამ. არმინიუსი კი გერმანელი ტომების ერთპიროვნული მხედართმთავარი გახდა.

ადგანდესტრიუმმა, ხატების ბელადმა, ტიბერიუსს არმინიუსის მოწამვლა შესთავაზა, მაგრამ ტიბერიუსმა უღირს თამაშში ჩართვა არ ინება. არმინიუსი მაინც მოკლა მოღალატემ მისივე ახლო გარემოცვიდან. ეს მოხდა 19 წელს, არმინიუსი 37 წლის იყო.

## ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘ

* ახ. წ. 9 წელს არმინიუსმა ვარუსის სამი — XVII, XVIII და XIX — ლეგიონი, ანუ 18000-დან 30000-მდე კაცი, ტევტობურგის ტყეში შეიტყუა და შეტევაზე გადავიდა. რომაელებმა მთელი აღალი დაწვეს და ვიწრო მწკრივად იწყეს ტყიდან გასვლა, მაგრამ მათ არმინიუსი დაედევნა. ვესტფალიაში, თანამედროვე ბელფელდთან ახლოს, გერმანელებმა მოჭრილი ხეებით გზები ჩახერგეს. დილით გრიგალი ამოვარდა. ძლიერი ქარისა და თავსხმა წვიმის გამო რომაელებს გზა აებნათ და უკან ვეღარ დაიხიეს. სასოწარკვეთილმა ვარუსმა თავი მოიკლა. ლეგიონების სამი შტანდარტიდან ორი გერმანელებმა ჩაიგდეს ხელთ, მესამე კი ჭაობში დაიკარგა.

* 15 წელს არმინიუსი ჭაობიანში აულუს ცეცინა სევერუსის წინამძღოლობით ბანაკისკენ მიმავალ რომაულ არიერგარდს გადაეყარა. მძიმედ შეჭურვილი რომაელები ამოჟლეტას ღამის წყალობით გადაურჩნენ. გახარებული გერმანელები კი მთელი ღამე ღრეობდნენ და მღეროდნენ. გადმოცემით, ცეცინას ესიზმრა, თითქოს სისხლიანი ვარუსი ჭაობიდან უხმობდა. მეორე დღეს მას ცხენი მოუკლეს. გამარჯვება ახლოს იყო, მაგრამ არმინიუსის მებრძოლები ალაფს დახარბდნენ, რომაელებმა გაქცევა მოახერხეს და მყარ ნიადაგზე გავიდნენ. იმ ღამით რომაელთა ბანაკში ცხენმა აიწყვიტა. ამან პანიკა გამოიწვია, ეგონათ, გერმანელები დაგვესხნენ თავსო. ამასობაში კი გერმანელებს უთანხმოება მოუვიდათ, — არმინიუსს რომაელთა ჭაობში შეტყუება და გაჟლეტა უნდოდა, მის ძმისშვილ ინგვიომერუსს კი ტყვეების აყვანა და მათი გაძარცვა. ისინი რომაელების ბანაკს დაეცნენ, მაგრამ მტერი მომზადებული დაუხვდათ. ბრძოლაში არმინიუსის ხალხი დამარცხდა, თვითონ კი გაქცევით უშველა თავს, მაგრამ მეორე დღეს ისევ შეუტია რომაელებს.

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ! ᲢᲝᲛᲘ VII
ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ. ᲡᲠᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ 8 ᲢᲝᲛᲐᲓ
ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ




შემდეგ თვეში: დავით აღმაშენებლის ბოლო ტომი
(წიგნის ფასი 3 ლარი)
უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომში დაჭრილი ჯარისკაცის გაურკვეველი სიკვდილი



ლევან ანანიძე
„ბრავო“ ასეულის ჯარისკაცი

ლევან ანანიძე აგვისტოს ომის დროს ზემო ნიქოზში, წინა ხაზზე იბრძოდა. როგორც მისი თანამებრძოლები, „ბრავო“ ასეულის ჯარისკაცები ამბობენ, ბრძოლის ველის დატოვება მაშინაც კი არ უფიქრია, როდესაც ნაღმის ნამსხვრევებით მარჯვენა ფეხში მძიმედ დაიჭრა და სისხლისგან იცლებოდა.

თანამებრძოლებმა წინა ხაზიდან მისი ძალით გამოყვანა კი მოახერხეს, მაგრამ სანიტარულ მანქანაში მანამდე ვერ ჩასვეს, ვიდრე თავისი იარაღი სამხედრო პოლიციას პირადად არ ჩააბარა.

მიუხედავად ამისა, თავდაცვის სამინისტრომ 20 წლის სამხედრო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში მიღებული ჭრილობების შედეგად დაღუპულად არ ცნო, შესაბამისად, მის ოჯახს არც კომპენსაცია გადაუხადა. დღეს ლევანის მშობლები უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობენ და იმასაც ვერ ახერხებენ, რომ სამართლიანობის აღსადგენად ადვოკატი დაიქირაონ.

თავდაცვის სამინისტრომ პასუხისმგებლობა იმ საბაბით მოიხსნა, რომ ლევანი სამკურნალო შვებულებაში ყოფნის დროს ზღვაში ბანაობისას დაიღუპა და არა ბრძოლის ველზე.

გენერალურმა პროკურატურამ გარდაცვალების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობის მუხლით აღძრა.

როდესაც დაღუპულის მშობლებმა ექსპერტიზის დასკვნაში ლევანის სიკვდილის მიზეზად თვითმკვლელობა ამოიკითხეს, გვამის ექსჰუმაცია მოითხოვეს.

იმ მიზეზით, რომ გვამი უკვე გახრწნილი იყო, სამედიცინო ექსპერტიზამ სიკვდილის მიზეზის დადგენა შეუძლებლად მიიჩნია.

**ლევანის მამა, ოთარ ანანიძე:** ლევანი ყუმბარმტყორცნელი იყო. თავიდან სენაკის მეორე ქვეით ბატალიონში მსახურობდა. 9 აგვისტოს დილის 11 საათზე მძიმედ დაიჭრა, არტერიაში ჭურვის 3 ნამსხვრევი მოხვდა. ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში სამედიცინო პროცედურები ჩაუტარეს, მაგრამ ოპერაცია არ გაუკეთეს. თქვეს, რომ იმ მომენტში ეს სახიფათო იქნებოდა და სახლში გამოუშვეს.

კლინიკის მიერ გაცემულ ფორმა 100-ში ეწერა, რომ დაჭრილს ექიმის მუდმივი მეთვალყურეობა ესაჭიროებოდა და არ გააფრთხილეს, რომ მისთვის ვარჯიში არ შეიძლებოდა.

ქობულეთში დაბრუნებული ჯარისკაცი მშობლებმა მაშინვე ადგილობრივ კლინიკაში მიიყვანეს, სადაც ექიმებმა პირდაპირ უთხრეს, ჩვენ 50 წლის წინ შეძენილი აპარატურა გვაქვს, თუ ეს ნამსხვრევები თბილისში ვერ ამოუღეს, ვერც ჩვენ გავრისკავთო.

გაუსაძლისი ტკივილის მიუხედავად, ლევანი ყოველ დილით 6 საათზე დგებოდა და პლაჟზე ვარჯიშობდა იმ იმედით, რომ ისევ ჯარში დაბრუნდებოდა.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, ერთხელ ლევანი ბიძაშვილებთან ერთად პლაჟზე გავიდა. დაახლოებით კოჭებამდე წყალში იყო შესული, როცა გული გაუსკდა. სამი კაცი მაშინვე ჩახტა წყალში, მაგრამ ველარ იპოვეს, ტალღამ ჩაითრია.

თვითმხილველებმა ნათლად დაინახეს, რომ მას პირიდან და ყურებიდან სისხლი წამოუვიდა (როგორც ექიმები ამბობენ, ასეთი რამ ადამიანს მაშინ ემართება, როდესაც გული უსკდება).

„სანამ ომში დაიჭრებოდა, სრულიად ჯანმრთელი იყო. გული იმიტომ გაუსკდა, რომ ნამსხვრევმა სისხლძარღვი გადაკეტა და თრომბი განვითარდა. მყვინთავებმა ლევანი მხოლოდ მეორე დღეს იპოვეს. ერთი წვეთი წყალი არ ჰქონდა ჩაყლაპული. როდესაც ადამიანს გული უსკდება, ზღვა მაშინვე ძირავს. ახლა ვნანობ, რომ ექსპერტიზა მაშინვე არ ჩავატარებინე. მისი სხეულის გაწამებას მოვერიდე... რას წარმოვიდგენდი, რომ თვითმკვლელობას დააბრალებდნენ?! ვაჟკაცი, მებრძოლი ბიჭი იყო, მისთვის ორმაგი სიკვდილის ტოლფასია თვითმკვლელობის დაბრალება. მორწმუნეც იყო, ჯარში ყოფნის დროსაც კი მარხულობდა. აჭარაში რაც კი წმინდა სალოცავია, თითქმის ყველა მოილოცა. თუ თავის მოკვლა ჰქონდა განზრახული, ისე თავგამოდებით რატომ ივარჯიშებდა?.. ამბობდა, ნორმატივებს ყოველთვის კარგად ვაბარებდი და არც ახლა მინდა, თავი შევირცხვინოო. ერთხანს მარწმუნებდნენ, შეიძლება ნასვამი იყო, ემოცია მოეძალა და თავის მოკვლა იმიტომ გადაწყვიტაო. მეზობლები და ნათესავები დამემოწმებიან, რომ ლევანი არ სვამდა. წვეულებაზე ერთ ჭიქასაც კი არ დალევდა, ჩემთვის არ შეიძლება, სუნთქვას დამიგდებსო... სასმელს კი არა, ყავას არ სვამდა, მჟესუმჟირას არ ჭამდა და სიგარეტს არ ეწეოდა. თავისი საქმის ფანატიკოსი იყო. ძალიან მინდოდა, ჩემი შვილისთვის თვითმკვლელის ლაქა ჩამომერეცხა და ხელისუფლებას სხვა გმირ მებრძოლებთან ერთად ისიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულად ეღიარებინა. ამიტომაც მოვითხოვე ექსჰუმაცია. 26 დღის გარდაცვლილი იყო, ექსპერტიზა რომ ჩაუტარეს და მითხრეს, გვამი უკვე გახრწნილია და სიკვდილის მიზეზის დადგენა შეუძლებელიაო. გარდაცვალების მოწმობაში ასევე ჩაწერეს: „სიკვდილის მიზეზი დაუდგენელია“.

ლევანის თვითმკვლელობას გამორიცხავს მისი თანამებრძო-

ლიც, რომელიც ინტერვიუზე მხოლოდ იმ პირობით დამთანხმდა, რომ მის ვინაობას არ გავამხელდი.

**ლევანის თანამებრძოლი:** — ლევანი თავს არ მოიკლავდა. ჯერ ერთი, დიდი ხანია ვიცნობდი და დარწმუნებული ვარ, მსგავსი რამ აზრადაც არ მოუვიდოდა. როდესაც ჰოსპიტალში ვინახულე, თავის გეგმებზე მელაპარაკა, თვითმკვლელს ნამდვილად არ ჰგავდა. ერთი სული ჰქონდა, როდის გამოჯანმრთელდებოდა და ჯარში დაბრუნდებოდა. სამხედრო აკადემიაში ჩაბარებას აპირებდა. დარწმუნებული ვარ, რომ დასცლოდა, ჩააბარებდა. ძალიან კარგი ფიზიკური და გონებრივი მონაცემები ჰქონდა. ნორმატივებს ყოველთვის კარგად აბარებდა. რთულ სიტუაციებში არასდროს იბნეოდა.

**— როდესაც ლევანი დაიჭრა, თქვენ მის გვერდით იყავით?**

— კი. ვიდრე დაიჭრებოდა, ძალიან ვაჟკაცურად იბრძოდა, სხვებსაც ეხმარებოდა. შტაბთან სრულყოფილი კავშირი არ გვქონდა. საჭირო გახდა, რომელიმე ჩვენგანი ბრძოლის ველიდან გასულიყო და რაცია შემოეტანა. ლევანი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ეს საქმე თავზე აიღო. შტაბთან მივიდა თუ არა, მაშინვე დაიჭრა, მაგრამ თავისი მისია მაინც შეასრულა. სანამ ძალა არ გამოელია, არც ბრძოლის ველი დატოვა და არც იარაღს გაუშვა ხელი.

უცნაურია, რომ ადამიანი, რომელმაც მძიმე ჭრილობის მიუხედავად დავალება პირნათლად შეასრულა, სახელმწიფო არათუ გმირად, ომში დაღუპულადაც კი არ აღიარებს და ოჯახს არც კომპენსაციას აძლევს. კიდევ უფრო უცნაური ის არის, რომ ოჯახს კომპენსაციას არც ის სადაზღვევო კომპანია უხდის, სადაც ლევანს სიცოცხლე ჰქონდა დაზღვეული.

**— ბატონო ოთარ, რომელ სადაზღვევო კომპანიაში ჰქონდა თქვენს შვილს სიცოცხლე დაზღვეული და რა მოტივით ამბობს კომპანია უარს სადაზღვევო თანხის გაცემაზე?**

**ოთარ ანანიძე:** — როგორც ყველა ჯარისკაცი, ჩემი შვილიც „აი-სი ჯგუფში“ იყო დაზღვეული. კომპანიის წარმომადგენელმა ქეთევან ცუცქირიძემ გვითხრა, იმ შემთხვევაში გადავიხდიდით დაზღვევის თანხას, თუ თქვენი შვილი უბედურ შემთხვევას შეეწირებოდაო.

ვკითხე, ზღვაში დახრჩობა უბედური შემთხვევა არ არის-მეთქი? იმან კი მიპასუხა, თქვენმა შვილმა განგებ ჩაიგდო თავი განსაცდელში. ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ცივ წყალში ფეხი არ უნდა ჩაეყო. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა ჩემს შვილს, შეიძლებოდა თუ არა ცივ წყალში ფეხის ჩაყოფა?!

ლევანისთვის თურმე ინვალიდის ეტლის გარეშე გადაადგილებაც არ შეიძლებოდა, მაგრამ მატარებლით გამოუშვეს ჰოსპიტლიდან და არც გააფრთხილეს, რომ ვარჯიშს მორიდებოდა.

ისე ვიყავი გამწარებული, გადავწყვიტე, ის ექიმი მომეძებნა, ვინც ჩემი შვილი ინვალიდის ეტლის გარეშე გამოუშვა. მისი სახელი და გვარი გავიგე (პაატა თედელური ყოფილა), მაგრამ ჰოსპიტალში რომ მივედი და მოვიკითხე, მასხრად ამიგდეს, მაგასთან რა გინდა, ეგ ლიფტიორიაო. დავიღალე იმის მტკიცებით, რომ ლევანს თავი არ მოუკლავს. როდის იყო, თვითმკვლელს მღვდელი წესს უგებდა?! ერკეთის დედათა მონასტერსა და წმინდა ეკატერინეს სახელობის ეკლესიაში ჩემი შვილის პარაკლისს დღესაც იხდიან. უწმინდესი და უნეტარესი, ლევანის სულს ლოცვებში იხსენიებს.

**— თუ გარდაცვალების მოწმობაში წერია, რომ სიკვდილის მიზეზი დაუდგენელია, სადაზღვევო კომპანია ან თუნდაც თავდაცვის სამინისტრო რის საფუძველზე ამტკიცებენ, რომ ლევანმა თავი მოიკლა?**

— მეც ეგ არ მიკვირს? ძალიან უსამართლოდ მოგვექცნენ მე და ჩემს ოჯახს სამინისტროც, სადაზღვევო კომპანიაც და ექიმებიც, მაგრამ რა შეგვიძლია?! იმის საშუალებაც არა მაქვს, ადვოკატი დავიქირაო და სიმართლე დავამტკიცო.

გადავწყვიტეთ, დავკავშირებოდით სადაზღვევო კომპანია „აი-სი ჯგუფის“ წარმომადგენელს ქეთევან ცუცქირიძესა და თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელს გურამ ბაბუცაშვილს და გაგვერკვია, რის საფუძველზე ამტკიცებენ, რომ ლევან ანანიძემ თავი მოიკლა, რატომ გახდა შეუძლებელი მისი სიკვდილის მიზეზის დადგენა და რატომ არ ჩაუტარდა თავის დროზე შესაბამისი მკურნალობა, მაგრამ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ ისურვეს.

როგორც ქეთევან ცუცქირიძემ გვითხრა, ის ახლა სხვა თანამდებობაზეა და ამ საქმეზე საუბარი მისი კომპეტენცია აღარ არის. თითქმის ანალოგიური პასუხი გამცა ბატონმა გურამმაც, რადგან საქმე დახურულია, ამ საკითხზე საუბარი ჩემს კომპეტენციაში აღარ შედის, შეგიძლიათ, თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელს მიმართოთ, რომელიც თავისუფალი პრესის წარმომადგენლებისთვის ამჯერადაც მიუწვდომელი აღმოჩნდა.

P.S. „არსენალის“ რედაქცია დაინტერესებულია სიმართლის გარკვევაში და სურვილის შემთხვევაში თავდაცვის სამინისტოსა და სადაზღვევო კომპანია „აი-სი ჯგუფის“ წარმომადგენლებს ჟურნალის ფურცლებს დაუთმობს მათი პოზიციის დასაფიქსირებლად.

***ხათუნა ბახტურიძე***



საჭირო გახდა რომელიმე ჩვენგანი ბრძოლის ველიდან გასულიყო და რაცია მოეტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეომრის კანონი სამხედროებისთვის



- არასდროს გაიზიარო სანგარი შენზე გაბედულთან ერთად;
- ნუ იქნები გამორჩეული, ეს იზიდავს მოწინააღმდეგის ცეცხლს;
- თუკი შეტევა უპრობლემოდ ვითარდება, ესე იგი, ჩასაფრებაში ხარ მოყოლილი;
- ხელყუმბარის 5 წმ-იანი შეყოვნების ამფეთქი, როგორც წესი, 3 წმ-ში მოქმედებს;
- ეცადე, გამოჩნდე უმნიშვნელო. შესაძლოა, მოწინააღმდეგე ტყვია-წამალს იზოგავს;
- ბრძოლისუუნარო დანაყოფი ყოველთვის წარმატებით აბარებს ინსპექტირებას, ბრძოლისუნარიანი – ვერასდროს;
- ადვილი მიმართულება ყოველთვის დანაღმულია;
- გუნდური მოქმედება აუცილებელია. ეს საშუალებას აძლევს მოწინააღმდეგეს სხვასაც ესროლოს;
- თუ მოწინააღმდეგე სროლის მანძილზეა, ე. ი. შენც იმავე მდგომარეობაში ხარ;
- მანათობელი ტყვია ორივე მიმართულებით ეფექტურია;
- თუკი რამე შეიძლება იყოს უფრო ზუსტი, ვიდრე შენკენ წამოსული მოწინააღმდეგის ცეცხლი, ეს შენკენ წამოსული „მეგობრული“ ცეცხლია;
- პროფესიონალი პროგნოზირებადია, მაგრამ მსოფლიო სავსეა დილეტანტებით;
- ხელყუმბარის აფეთქების რადიუსი ყოველთვის 50 სმ-ით მეტია, ვიდრე შენი ნახტომის მანძილი;
- ტერიტორიის ერთადერთი მონაკვეთი, რომელსაც უეჭველად აკონტროლებ, არის ის მიწის ნაგლეჯი, რომელზედაც დგახარ;
- ხიშტის ხმარების წესის თანახმად, იმარჯვებს ის, ვისაც ლულაში ტყვია აქვს;
- საავიაცო ბომბები ძალზე ზუსტი იარაღია – ისინი არასდროს სცდებიან მიწას;
- მოდურად ჩაცმული ძალები ყოველთვის მარცხდებიან;
- მოწინააღმდეგის გარდა, თუკი ყველაფრის ნაკლებობას განიცდი, ე. ი. წინა ხაზზე ხარ;
- თუ შენ ვერ ხედავ მტერს, ეს არ ნიშნავს, რომ ისიც ვერ გხედავს;
- სანივთე საწყობში, როგორც წესი, მხოლოდ ორი ზომის ფორმაა: შენს ზომაზე დიდი და შენს ზომაზე პატარა;
- გახსოვდეს: „ტიტანიკი“ პროფესიონალებმა ააგეს, დილეტანტებმა კი — კიდობანი.





# რითი დაიცავს „ჰეკლერ-კოხი“ ჩვენს ოჯახებს

**თავდაცვისა და ნადირობისთვის ცნობილი გერმანული საიარაღო ფირმა მსურველს სამოქალაქო ბაზრისთვის გადაკეთებულ საბრძოლო იარაღს — ნახევრად ავტომატურ საიერიშო შაშხანებსა და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს სთავაზობს**

შეიძლება ბევრისთვის სიახლე იყოს, რომ ადამიანი თოფისა და კარაბინის შედარებით ზუსტად მიზანში სროლას უფრო ადვილად ეუფლება, ვიდრე პისტოლეტისა და რევოლვერის.

სპეციალისტების მიერ შემჩნეული ეს კანონზომიერება საიარაღო ფირმებმა ბიზნესის გასაფართოებლად გამოიყენეს და მათ საბრძოლო იარაღის — ავტომატების, საიერიშო შაშხანებისა თუ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების ბაზაზე სამოქალაქო იარაღის გამოშვება დაიწყეს, რომლის შეძენა იარაღის მაღაზიებში მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით დაშვებულია. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. მართალია, ჩვენთან არცთუ ისე ბევრია იარაღის მაღაზია, მაგრამ მათი იარაღის ასორტიმენტი დამაკმაყოფილებელია.



ომის შემდგომი ბუნდესვერის ძირითადი საშტატო იარაღის



G3 ტიპის ავტომატური შაშხანის მექანიზმი გამოყენებული იქნა იარაღის მაღაზიებში გასაყიდად განკუთვნილი SL-6 და SL-7 შაშხანების დასამზადებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჩვენი დოსიე:** 5,56 მმ კალიბრის თვითდამტენი შაშხანა HK SL-6 უვაზნებოდ 3,6 კგ-ს იწონიდა. შაშხანის საერთო სიგრძე 1010 მმ-ს, ხოლო ლულისა კი 450 მმ-ს აღწევდა. მჭიდში .223 Remington-ის (5,56X45 მმ) კალიბრის 10 ვაზნა ეტეოდა.

**ჩვენი დოსიე:** 7,62 მ კალიბრის HK SL-7 ტიპის თვითდამტენი შაშხანის სიგრძე 1010 მმ-ს, ლულისა კი 450 მ-ს) შეადგენდა. უვაზნებოდ შაშხანა 3,8 კგ-ს იწონიდა. მჭიდში .308 Winchester-ის (7,62X51 მმ) კალიბრის 10 ვაზნა ჩადიოდა.



იარაღის მაღაზიების დახლზე (უფრო სწორად, კედლებზე) სხვადასხვა ტიპის მოკლელულიან იარაღთან (პისტოლეტებსა და რევოლვერებთან) ერთად წარმოდგენილია გრძელლულიანი იარაღის სახეობები, რომლებიც ცნობილი ფირმების საბრძოლო შეიარაღების მოდიფიკაციებია.

იარაღის მაღაზიებში ხშირად ნახავთ გასაყიდად გამზადებულ ნიმუშებს, რომლებიც თითქმის არაფრით გაირჩევა საიერიშო ავტომატური კარაბინისგან **M4**-დან თუ **AKM**-ის ავტომატისგან, **MP5** პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისგან თუ **G36** ავტომატური შაშხანისგან.

თუმცა ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნულია — თითქმის ყველა ქვეყნის, სადაც დაშვებულია იარაღის შეძენა, კა-



მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ავტომატური შაშხანის G36-ის ბაზაზე სამოქალაქო ბაზრისთვის განკუთვნილი ნახევრად ავტომატური SL-8 შეიქმნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონმდებლობა კრძალავს ავტომატური ჯერით მსროლელი იარაღის გაყიდვას (მხოლოდ საქართველო იყო უნიკალური გამონაკლისი, სადაც თავის დროზე თავისუფლად იყიდებოდა „სტეჩკინის“ ავტომატური პისტოლეტები).

აშშ-ში კი 2004 წლამდე აკრძალული იყო იმ თვითდამტენი იარაღის გაყიდვა (პისტოლეტებისა და შაშხანების ჩათვლით), რომელთა მჭიდში 10-ზე მეტი ვაზნა ეტეოდა. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა კრძალავს დასაკეცკონდახიანი იარაღის გაყიდვას, რათა ბოროტმოქმედს საშუალება არ ჰქონდეს მისი ტანსაცმლის ქვეშ მალულად გადატანისა. ამიტომაც გასაყიდი შაშხანებისა თუ კარაბინების საერთო სიგრძის მინიმუმზე ნაკლები იარაღი მაღაზიის დახლზე ვერ მოხვდება. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა უშვებს დასაკეცკონდახიანი ხრახნლულიანი იარაღის გაყიდვას, მაგრამ სპეციალური მექანიზმი შეუძლებელს ხდის გასროლას კონდახის დაკეცილ მდგომარეობაში ყოფნისას. რუსეთში აკრძალულია მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის — პისტოლეტებისა და რევოლვერების მოქალაქეებისთვის მიყიდვა.

ეს არცთუ ისე მცირე შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ მკითხველს მცირე წარმოდგენა მაინც შეჰქმნოდა მსოფლიოს იარაღის სამოქალაქო ბაზარზე.


SL-8-ს სპორტული სროლებისთვის ხშირად იყენებენ


HK SL-8

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობილი საიარაღო ფირმები, რომლებიც საბრძოლო შეიარაღებას აწარმოებენ, ბუნებრივია, მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის არმიების, პოლიციისა თუ სპეცსამსახურების, როგორც პოტენციური მყიდველების, იმედზე უნდა იყვნენ. მათ ბაზრის გაფართოება სჭირდებათ, ამის ერთ-ერთი საშუალება კი სხვადასხვა ქვეყნის კანონების გათვალისწინებით საბრძოლო იარაღის გადაკეთებითა და იარაღის მაღაზიებში შეტანით არის შესაძლებელი. მათი სარეკლამო სლოგანი თითქმის ერთნაირია: „იყიდეთ საიმედო იარაღი თქვენი ოჯახების დასაცავად, სანადიროდ ან სულაც სპორტული სროლებისა და გართობისთვის!“

მსოფლიოს ცნობილ საიარაღო ფირმებს შორის გამოირჩევა ლეგენდარული გერმანული საიარაღო კონცერნი -ი, რომელმაც საბრძოლო იარაღის მოდიფიცირებული ვარიანტების საქალაქო საიარაღო ბაზარზე გატანა ჯერ კიდევ 30 წლის წინ დაიწყო.

სამოქალაქო საიარაღო ბაზრისთვის განკუთვნილი პირველი მოდელები HK SL-6 და SL-7, ფაქტობრივად, ამავე ფირმის შაშხანა „მოდელი-660“-ისა და „მოდელი-770“-ის მოდიფიცირებული ვარიანტებია და კალიბრებიც შესაბამისად 5,56X45 მმ და 7,62X51 მმ ვაზნებზე ჰქონდათ გათვლილი.

ამ ორივე შაშხანას აერთიანებდა სასროლი მექანიზმის სქემა, აღებული ცნობილი ავტომატური შაშხანა G3-ისგან და დაფუძნებული ნახევრად თავისუფალი საკეტის გორგოლაჭებით დამუხრუჭების ავტომატიკაზე.

„ჰეკლერ-კოჰის“ მესვეურთ სამოქალაქო ბაზარზე სხვა არანაკლებ გრანდიოზული გეგმაც არ აძლევდათ მოსვენებას — კერძოდ, სურდათ ეს შაშხანები ბუნდესვერს მასობრივად შეეძინა და რე-

**ჩვენი დოსიე:** თვითდამტენი შაშხანა, SL-8 უვაზნებოდ 4,1 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე 980 მმ-ია, ხოლო კონდახზე რეზინის სამაგრების დაყენების შემთხვევაში (რათა მსროლელმა მხარზე უკეთ მოირგოს იარაღი) შაშხანის სიგრძე 1030 მმ-მდე იზრდება. ლულის სიგრძე 510 მმ-ს შეადგენს. გამჭვირვალე მჭიდი .223 Remington-ის (5,56X45 მმ) კალიბრის 10 ან 30 ცალ ვაზნას იტევს.

შაშხანში გამოყენებულია აირგადამტანი მექანიზმი — ლულის თავზე განთავსებულია მცირე გადაადგილების მქონე აირდგუში. აირგადამტანი მექანიზმის რეგულირება ავტომატურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოლივუდურ ბლოკ-ბასტერში სპეცრაზმის სნაიპერს სამოქალაქო SL-8 აქვს მომარჯვებული

ზერვისტების მოსამზადებლად გამოეყენებინა.

მიზეზთა გამო (მათ შორის, გერმანიის მკაცრი კანონმდებლობის გამო) „ჰეკლერ-კოჰის“ იმედი არ გამართლდა და შაშხანების სერიულმა წარმოებამ ფართო მასშტაბი ვერ მიიღო, მაგრამ ფირმის ხელმძღვანელობას ფარ-ხმალი არ დაუყრია.

1995 წელს ბუნდესვერმა შეიარაღებაში მიიღო „ჰეკლერ-კოჰის“ ავტომატური საიერიშო შაშხანა G36, რომელიც დღემდე ერთ-ერთი საუკეთესოა თავის კლასში მთელ მსოფლიოში (სტატიის ავტორს მისი გაცნობის საშუალება ჯერ კიდევ 10 წლის წინ პანკისის ხეობაში მიეცა, შემდგომში ხშირი სასროლო გამოცდების ჩათვლით და G36 ერთ-ერთ საუკეთესო თანამედროვე საბრძოლო იარაღად მიაჩნია).

სამ წელში „ჰეკლერ-კოჰმა“ საზოგადოებას წარუდგინა G36-ის ბაზაზე შექმნილი SL-8 ტიპის სპორტულ-სანადირო შაშხანა, რომელიც ფართოდ რეკლამირდებოდა როგორც საცხოვრებლის საიმედო დამცველი საშუალება. SL-8, ისევე როგორც მისი „მშობელი“ G36, გათვლილი იყო .223Remington-ის (5,56X45 მმ) კალიბრის ვაზნებზე, თუმცა, ბუნებრივია, მასავით ავტომატური ჯერებით სროლა არ შეეძლო. განსხვავება გამოიხატებოდა პლასტიკური კონდახის ორიგინალურ ფორმაში, რომელიც არ იკეცებოდა. იმ ქვეყნებში, სადაც აკრძალული იყო 10 ვაზნაზე მეტი ტევადობის მჭიდიანი სამოქალაქო ხრახნულიანი იარაღის გაყიდვა, „ჰეკლერ-კოჰი“ SL-8-ს მხოლოდ ათვაზნიან გამჭვირვალე მჭიდს ატანდა, სადაც ასეთი აკრძალვა არ მოქმედებდა, იქ SL-8-ა G36-ის სტანდარტული 30--ვაზნიანი მჭიდით კომპლექტდებოდა.

გერმანული იარაღი ტრადიციულად მაღალი ხარისხისა და საიმედოა, რაც „ჰეკლერ-კოჰის“ SL-8-ზეც ითქმის, მაღალი ხარისხის პროდუქტი კი, როგორც წესი, ძვირია.

ევროპაში SL-8-ს გასაყიდი ფასი 1649 ევროა (2009 წლის შვეიცარიული საიარაღო კატალოგის მიხედვით), რაც ნამდვილად არ არის მცირე თანხა, თუმცა იარაღის კოლექციონერებისა და მდიდარი მონადირეებისთვის ეს არაფერია.

„ჰეკლერ-კოჰი“ არ დასჯერდა თავისი პოპულარული საბრძოლო ნიმუშის G36-ის „გაქალაქებით“ და კიდევ ერთი იარაღი გაიტანა სხვადასხვა ქვეყნის იარაღის მაღაზიებში. ეს არის „ჰე-



G36-ის სამოქალაქო ვარიანტი SL-8 სანადიროდაც გამოდგება და სროლაში შეჯიბრისთვისაც



ნახევრადავტომატური კარაბინი USC

კლერ-კოჰის“ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ UMP-45-ის სამოქალაქო ვარიანტი USC. ბუნებრივია, USC ავტომატური ჯერით არ ისვრის, რის გამოც პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების კლასიდან თვითდამტენი კარაბინის კლასში გადადის, თუმცა ნამდვილ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს ჰგავს, განსხვავებული და ორიგინალური ფორმის დაუკეცავი კონდახით.

USC, ისევე როგორც UMP-45, .45ACP ტიპის 11,43X25 მმ კალიბრის ვაზნებზეა გათვლილი. იმის გამო, რომ ამ კალიბრის იარაღი უფრო აშშ-შია პოპულარული, ჩანს, „ჰეკლერ-კოჰის“ ხელმძღვანელობას სწორედ სამოქალაქო იარაღის ამერიკული ბაზრის დაპყრობა ჰქონდა განზრახული.

მართალია, .45ACP-ს ვაზნა 9 მმ-იან „მაკაროვისა“ და „პარაბელუმის“ ვაზნებზე უფრო მძლავრია, მისი სანადიროდ გამოყენება მაინც ნაკლებად პრაქტიკულია. ამიტომაც USC-ს „ჰეკლერ-კოჰი“ ამერიკული იარაღის მოყვარულთ უფრო ოჯახების დასაცავად და სპორტული სროლებისთვის სთავაზობდა. უცნობია, გაამართლა თუ არა USC-ის ამერიკულმა ვოიაჟმა, თუმცა მისი მაღალი ღირებულების გამო დიდ პოპულარობაზე ლაპარაკი, ალბათ, არ ღირს.

ცნობილი საბრძოლო იარაღის მიმგვანებული არაავტომატური სამოქალაქო იარაღი ყოველთვის იქცევს მყიდველების ყურადღებას, რადგან ქვეცნობიერად, ალბათ, ყველა ჩვენგანს სურს ჰგავდეს რემბოსა და ტერმინატორს...

***ირაკლი ალადაშვილი***

**ჩვენი დოსიე:** თვითდამტენი კარაბინი HK USC უვაზნებოდ 2,7 კგ-ს იწონის. მის საერთო სიგრძე 900 მმ-ია, ლულისა კი 406 მმ. მჭიდში .45ACP-ს (11,43მმX25 მმ) ტიპის 10 ვაზნა ჩადის.

ამ იარაღის ავტომატიკა დაფუძნებულია თავისუფალი საკეტის გადაადგილებაზე. ვაზნების გახარჯვის შემდეგ საკეტი ღია რჩება (ისევე როგორც პისტოლეტებში) და მჭიდის შეცვლის შემდეგ პირველი ვაზნა პირდაპირ სალულეში მიდის. სამოქალაქო ბაზრისთვის განკუთვნილი ამ თვითდამტენი, პისტოლეტის ვაზნებზე გათვლილ კარაბინზე, ისევე როგორც მის „მშობელ“ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ HK UMP-45-ზე, თითქმის ყველა თანამედროვე საიარაღო აქსესუარის დაყენება შეიძლება, კერძოდ, ტაქტიკური ფარანის, ლაზერული მიზანმომნიშვნელისა და ოპტიკური სამიზნეების ჩათვლით.





„ტერმინატორი“ შვარცენეგერის ხელში დანახული UMP-ს შემდეგ ალბათ ბევრ კინომოყვარულს გაუჩნდა სურვილი მისი მსგავსი, თუნდაც ნახევრად ავტომატური USC-თი ემარიაჟა“, მითუმეტეს რომ მისი ყიდვა უპრობლემოდ შეიძლებოდა იარაღის მაღაზიებში



# Heckler-Koch HK SL-8

ISSN 1987 - 5061